პალიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 აგვისტო **სამშაბათი** 2011
№ 197 (13494) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 42 ქულა ლატვიას ქართველი ტერმინატორისგან




12

გუშინ. ლატვია-საქართველო 79:83. ზაზა ფაჩულიამ (ბურთით) 42 ქულა მოაგროვა და სანაკრებო რეკორდიც დაამყარა

# თავს ზემოთ... მანჩესტერ იუნაიტედია

## დენი უილბეკმა ტოტენჰემი გოლით და საგოლე პასით გატეხა

5






ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



# შოთა გრიგალაშვილი
# კარგი და ცუდი კარგ მოედანზე გამოჩნდება

## ჭიაბრიშვილს და ფეხბურთელებს ერთმანეთისა სჯერათ

**თბილისური 3:3-ით "ბრიუგეს" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი გაეზარდა, მაგრამ უიმედოდ არც "ზესტაფონის" წევრები არიან. თუ საქართველოს ჩემპიონებმა ბელგიაში ისევე ითამაშეს, როგორც პირველი მატჩის მეორე ტაიმში, ამ ბარიერის გადალახვა შეუძლებელი სულაც არ იქნება.**

**"ლელო" "ზესტაფონის" ერთ-ერთ ლიდერს, 25 წლის შოთა გრიგალაშვილს ესაუბრა.**

**- რატომ ჩააგდო გუნდმა "ბრიუგესთან" შეხვედრის პირველი ტაიმი?**

- დიდი იმედი გვქონდა, რომ გავიმარჯვებდით, მაგრამ ისე მოხდა, რომ მატჩის პირველ ნახევარში ძალიან არეულად ვითამაშეთ. პირველმა გაშვებულმა გოლმა ცუდად იმოქმედა, მერე მალევე მეორეც მივიღეთ და კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდით. საბედნიეროდ, შესვენებისას მობილიზება შევძელით და მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ.

**- რა დაგავალათ გია ჭიაბრიშვილმა შესვენებაზე?**

- გვითხრა, რომ არაფერი იყო დაკარგული და თამაშის შემოტრიალება შეგვეძლო. მისმა სიტყვებმა წარმოუდგენელი მუხტი მოგვცა. ამას გარდა, ბიჭებმაც შევუძახეთ ერთმანეთს – კარგად გავაცნობიერეთ, რომ ამდენი ხალხის წინაშე შერცხვენის უფლება არ გვქონდა და მგონი, რაღაც გამოგვივიდა. შეიძლება, ეს ანგარიში ჩვენთვის დიდი ვერაფერი იყოს, მაგრამ ისიც კარგია, რომ ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი შევინარჩუნეთ და ხალხს ვასიამოვნეთ.

**- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებ?**

- მეორე ტაიმში ნორმალურად ვითამაშე, საერთოდ კი, მთელმა გუნდმა ძალიან მონდომა და იმის მიუხედავად, რომ შეცდომა მრავლად გვქონდა, დადებითი შედეგის მისაღწევად ცდა არ დაგვიკლია. გამოვარჩევ ნიკა გელაშვილსა და ჯაბა დვალს. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მაღალი კლასის თავდამსხმელები არიან და შესანიშნავი გოლები გაიტანეს.

**- გია გეგუჩაძის გადადგომა ფეხბურთელებისთვის რამდენად მოულოდნელი იყო?**

- ეს ჩვენთვის უდიდესი შოკი იყო. შეიძლება, ბევრს ეგონოს, რომ მისი გადაწყვეტილების შესახებ ვიცოდით, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ამბავი ფეხბურთელებმა ტელევიზიისა და პრესის საშუალებით გავიგეთ. წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე დავდგებოდით "ბრიუგესთან" მატჩის წინ. პირველი ტაიმი რომ ცუდად ჩავატარეთ, ეს ამითაც იყო გამოწვეული. გეგუჩაძეს მეც და ჩემი თანაგუნდელებიც ძალიან ვემადლიერებით, მან ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა და ყველგან წარმატებებს ვუსურვებ.

**- ქართული საფეხბურთო სამყარო ნაკლებად იცნობს გია ჭიაბრიშვილს.**

- საკმაოდ დადებითი პიროვნება და მცოდნე სპეციალისტია. გეგუჩაძესთან ერთად ჯერ "გაგრაში", შემდეგ კი "ზესტაფონში" იმუშავა და მისგან ბევრი ისწავლა. მისი საფეხბურთო ხედვა გეგუჩაძისგან დიდად არ განსხვავდება და აქედან გამომდინარე, ფეხბურთელებისთვის საკუთარი იდეების მიწოდება არ გაუჭირდება. ვფიქრობ, გია მზად არის მთავარი მწვრთნელობისთვის, ფეხბურთელები მას მაქსიმალურად დავუდგებით მხარში.

**- რამ შეიძლება გადაწყვიტოს "ბრიუგე"-"ზესტაფონის" საპასუხო მატჩის ბედი?**

- ერთმანეთს ორი შემტევი გუნდი დაუპირისპირდება და გაიმარჯვებს ის, ვინც საკუთარ შანსებს უკეთ გამოიყენებს. დარწმუნებული ვარ, ბელგიაშიც კარგი სანახაობა გაიმართება და გატანის შესაძლებლობა ორივე გუნდს ექნება. იქ მოედანიც უკეთესი იქნება, რაც მაღალი დონის თამაშის წინაპირობაა. კარგ მოედანზე უკეთესი გუნდი იმარჯვებს და გვაქვს იმის ამბიცია, რომ "ბრიუგეზე" უკეთესი გუნდი გვყავს. "ზესტაფონისთვის" დაკარგული არაფერია, ჩვენს გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე, ჩვეულ სტილში ვითამაშებთ და ვეცდებით, სანახაობასთან ერთად გამარჯვებაც ჩვენს მხარეზე იყოს..

**- "შტურმთან" განცდილი მარცხი, ალბათ, მძიმე გადასატანი აღმოჩნდა.**

- ადვილია, თქვა, ცხოვრება გრძელდებაო, მაგრამ რეალურად ის მარცხი მთელი ცხოვრება არ დაგვავიწყდება. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფამდე ხომ სულ ცოტა დაგვაკლდა. თუმცა ახლა ვალდებულნი ვართ, მხოლოდ "ბრიუგეზე" ვიფიქროთ. ქართველები ფეხბურთში საერთაშორისო წარმატებებით არ ვართ განებივრებულნი და ევროპის ლიგის ჯგუფურ რაუნდამდე გაღწევაც დიდი წარმატება იქნება.

**- როგორც ვიცით, თბილისურ მატჩში ფეხი იტკინე.**

- ასეა და ამის გამო "ზესტაფონმა" ვარჯიშიდან გამათავისუფლა, თუმცა ბელგიისთვის ასი პროცენტით მზად ვიქნები.

**- "ვიტ ჯორჯიასა" და მარტვილის "მერანის" მატჩს შენი ძმის, ელგუჯას თამაშის სანახავად ესწრებოდი.**

- ჩემი ძმის პირველი გულშემატკივარი ვარ და ვფიქრობ, სასურველი ტემპით პროგრესირებს. საკმაოდ ჭკვიანი მოთამაშეა, არც შრომა ეზარება და იმედი მაქვს, დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**- ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეროვნულ ნაკრებსაც დაუბრუნდი.**

- თემურ ქეცბაიამ პოლონეთთან ძირითად შემადგენლობაში დამაყენა და ასეთი ნდობისთვის მას მადლობას ვუხდი. ნაკრებში გამოძახება ჩემთვის დიდი სტიმულია. ბევრს ვიშრომებ იმისთვის, რომ "ზესტაფონსაც" გამოვადგე და ნაკრებშიც დავიმკვიდრო ადგილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სანაკრებო მატჩების წინ

# ესპანელები: ქუთაისი! ეროვნული ვაკეში






გადაწყდა – 1 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ესპანელთა გუნდს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე უმასპინძლებს. ფედერაციის პრესატაშე ლაშა დვალიშვილის ცნობით, ესპანელებმა დაათვალიერეს ქუთაისის სტადიონი, ქალაქში არსებული სასტუმროები, მთლიანობაში ნანახით კმაყოფილები დარჩნენ და თანხმობა განაცხადეს. შეხვედრა 20:30 საათზე დაიწყება, "საზოგადოებრივი მაუწყებელი" კი მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს გეგმავს. დვალიშვილისვე თქმით, უკვე გადაწყდა, რომ საქართველოსა და ლატვიის ეროვნული ნაკრებების მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

# ალექსიძე დინამოში?
## ეს მხოლოდ ლაპარაკია

სამწუხარო ფაქტია – 25 წლის თავდამსხმელი **სანდრო იაშვილი** ისე წავიდა თბილისის "დინამოდან", თავის გამოჩენა ვერ მოახერხა. ჯერჯერობით გუნდშია კიდევ ერთი ფორვარდი — **ვახტანგ ფანცხავაც**, მაგრამ თბილისელთა ესპანელი მთავარი მწვრთნელი **ალექს გარსია** არც მას ათამაშებს და უცნობია, ვახტანგი ახალ გუნდს მოძებნის თუ თავის შანსს დაელოდება. უთამაშებლობა, ცხადია, არავის სიამოვნებს, თანაც ფანცხავა 21 წლისაა, ბუნებრივია, ამბიციაც აქვს და რა გასაკვირი იქნება, დროებით სხვა კლუბში თუ ვიხილავთ.

თბილისის "დინამოს" კი თავდასხმის პრობლემა დღემდე მოუგვარებელი აქვს. აგორდა კიდეც ხმები, თითქოს პრობლემის მოსაგვარებლად გუნდის ხელმძღვანელობა ახალი მოთამაშის შეძენას აპირებს.

ხმების თანახმად, "დინამომ" მოლაპარაკება წამოიწყო უნგრული "დიორი ეტოს" თავდამსხმელთან, 33 წლის **რატი ალექსიძესთან**, რომელიც თბილისური კლუბიდან 2004 წელს "როსტოვში" გადავიდა და მას შემდეგ კარიერას უცხოეთში აგრძელებს. თუმცა 2005 წლიდან ორწლიანი ჩავარდნა ჰქონდა, საქართველოში დაბრუნდა და ფეხბურთს შეეშვა.

ალექსიძემ კარიერა 2007 წელს განაგრძო თბილისის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის თხოვნით, ამ გუნდში 2009 წლამდე ითამაშა, ეროვნულ ნაკრებშიც დაბრუნდა და უნგრეთშიც მიიწვიეს. "დიორი ეტოში" გამართულ 68 შეხვედრაში რატიმ 21 გოლი გაიტანა, მაგრამ მალე კონტრაქტი უმთავრდება და შესაძლოა, "დინამოში" მის გადმოსვლაზე ლაპარაკი ამის გამო დაიწყო.

თბილისელთა გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** ეს ხმები უარყო და გვითხრა, რომ უცხოეთიდან გამოცდილი ქართველი მოთამაშის დაბრუნება გუნდს ძალიან წაადგება, მაგრამ ალექსიძესთან მოლაპარაკება არ ჰქონიათ.

**მერაბ მამულაშვილი**



რატი ალექსიძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


ლევან მჭედლიძე (თეთრ მაისურაში)

# ჩვენი პაერი სავსე სტადიონია

## მჭედლიძეს ესპანელებთან ქუთაისის იმედიც აქვს

1 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ესპანელ თანატოლებს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე დაუხვდება. იტალიის სერია B-ს "ემპოლის" თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე** იმედოვნებს, რომ ქუთათურები სტადიონს შეავსებენ.

*"ქუთაისში ჩემი მეგობარი თორნიკე თარხნიშვილი თამაშობს. ველაპარაკე და გამიხარდა, როცა მითხრა, ქუთაისში კარგი ბალახი დააგესო. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ესპანელებს ხეირიან მინდორზე შევხვდეთ, რათა ჩვენი ფეხბურთის ჩვენების საშუალება მოგვეცეს. ძალიან მინდოდა ქუთაისში თამაში, რადგან ვიცი, რომ იქაურებმა გულიანი მხარდაჭერა იციან და სტადიონი ივსება. ესპანელებთან კი სავსე სტადიონი ჰაერივით გვჭირდება"* – თქვა მჭედლიძემ.

თავად ლევანმა კი 20 აგვისტოს იტალიის თასზე "სამპდორიასთან" მატჩი (რომელიც "ემპოლიმ" 2:1 მოიგო) ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ ამბობს, რომ საშიში არაფერია:*"ახლა უკეთ ვარ. "სამპდორიასთან" იმიტომ ვერ ვითამაშე, რომ ტრავმის გამო სამი დღე არ მივარჯიშია. მხარი ამომივარდა და ჩამისვეს. როდესაც ორთაბრძოლისას მეჯახებოდნენ, ძალიან მტკიოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მიწებებული ხელით ვთამაშობდი. არ მინდოდა ვარჯიშის შეწყვეტა, მაგრამ ბოლოს ესპანეთთან მატჩი გამახსენდა და თავად ვთხოვე მწვრთნელს, უნდა დავისვენო-მეთქი. თუმცა ხვალ გუნდთან ერთად ვივარჯიშებ და საშიშიც არაფერია"*.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლევანის ამბავი ლევანისგან

## ყენიამ ვარჯიში განაახლა

ჩვენი ფეხბურთის იმედმა, გელზენკირხენის "შალკეს" შემტევმა ნახევარმცველმა **ლევან ყენიამ** ვარჯიში განაახლა. ეს გასახარი ამბავი "ემპოლის" თავდამსხმელმა **ლევან მჭედლიძემ** გვაცნობა.

*"ვიცი, რომ რამდენიმე დღეა, რაც ყენიამ ვარჯიში დაიწო, ჯერ დარბის და ფიზიკურად ემზადება, მალე კი გუნდს შეუერთდება. მისმა გამოჯანმრთელებამ ძალიან გამახარა. იმედია, რეაბილიტაციას მალე დაასრულებს და მოედანსაც უახლოეს პერიოდში დაუბრუნდება. იშვიათი ნიჭის პატრონია, ასეთებს ევროპაში ეძებენ და ამიტომაც მიხარია, მკურნალობა რომ დაასრულა. ნებისმიერი ქართველის წარმატება მსურს, მით უფრო ყენიასი და მინდა, მალე დაამტკიცოს, რომ დიდი ფეხბურთელია."* – ამბობს მჭედლიძე.

ლევანი იმედოვნებს, რომ ყენიას მოედანზე დაბრუნება საქართველოს ნაკრებსაც წაადგება:*"ჩვენი გუნდის პრობლემა შეტევების ორგანიზებაა, ლევანს კი სწორედ ამ პრობლემის მოგვარება, ბურთის დაჭერა და კარგი გადაცემების გაკეთება შეუძლია, სირაძესა და დვალიშვილს კი ბურთის მიმწოდებელი ეყოლებათ. დღეს ისინი არიან ნაკრების თავდამსხმელები და ამიტომაც განსაკუთრებით ვქომაგობ. მესმის, რა ვითარებაცაა, ასე ძნელია გოლის გატანა. კარგად იხსნებიან, სულ მოძრაობენ, მაგრამ ბურთის მიმწოდებელი სჭირდებათ"*.

**მერაბ მამულაშვილი**


ლევან ყენია

# სკანდალი მძაფრდება: "ინტერი" გამოძიებას მოითხოვს

ბაქოურ დერბიში, რომელშიც ერთმანეთს "ინტერი" და "ბაქი" ხვდებოდნენ, მსაჯის მიერ დამატებული პირველი წუთი მიმდინარეობდა, როცა "ინტერის" მეკარე **გიორგი ლომაია** ბურთს დაეუფლა და მისი ფეხი აშკარად უნებლიეთ მოხვდა "ბაქის" ფეხბურთელს. არბიტრმა ლომაიას წითელი ბარათი უჩვენა და მის კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. მომხდარით აღშფოთებულმა "ინტერის" პრეზიდენტმა **გეორგი ნიკოლოვმა** თავის გუნდს მოედანი დაატოვებინა. აღსანიშნავია, რომ "ინტერის" კარში პენალტი 49-ე წუთზეც დაინიშნა და ლომაიამ დარტყმა მოიგერია. მატჩში გოლი არ გასულა.

ბუნებრივია, ამ სკანდალს აზერბაიჯანულ სპორტულ მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. "ინტერისა" და განსაკუთრებით მისი ქართველი მთავარი მწვრთნელის, **კახა ცხადაძის** მოძულე "აზერისპორტმა" მოსალოდნელი შეფასებები გააკეთა და ყველაფერში "ინტერი" გაამტყუნა, ლომაიას კი კიკბოქსიორი უწოდა.

ცხადია, თამაშის თვითნებურად მიტოვება არ არის კარგი საქციელი და "ინტერი" დამსახურებულ სასჯელს მიიღებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსაჯთა ბრიგადა მთელი მატჩის განმავლობაში "ბაქის" სასარგებლოდ მოქმედებდა.

ნიკოლოვმა ღიად განაცხადა, რომ მსაჯები მოსყიდულები იყვნენ. *"მოედნის დატოვების გადაწყვეტილება პირადად მე მივიღე და ამიტომაც ამაზე პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ. ეს არ იყო ემოციურ ნიადაგზე გადადგმული ნაბიჯი, უნამუსო მსაჯობის წინააღმდეგ ხმა უნდა ამოგვეღო და ამიტომაც პროტესტის ეს ფორმა მისაღებად მივიჩნიე. პროტესტი მხოლოდ ლომაიას გაძევების გამო არ გამომითქვამს, მსაჯები მიზანმიმართულად მუშაობდნენ "ინტერის" წინააღმდეგ. რამილ დინიევის ბრიგადას ჩვენი ძალღის უკანალში შეტენვა ჰქონდა დავალებული და ამ დავალებას ნახევრად პროფესიონალურ დონეზე ასრულებდა. ასეთ ჩემპიონატში თამაშს ის სჯობს, საერთოდ არ ითამაშო"*, - განაცხადა ნიკოლოვმა.

თავისი პოზიცია დააფიქსირეს "ბაქის" წარმომადგენლებმაც. გუნდის ლატვიელმა დამრიგებელმა **ალექსანდრს სტარკოვსმა** თქვა, **ნურლან ნოვრუზოვს** ლომაიას 45-ნომრიანი ბუცის კვალი მკერდზე ახლაც ეტყობა და ამიტომაც პენალტი დასანიშნი იყოო. ცხადაძეს ბრალი სტარკოვსის სიტყვიერ შეურაცხყოფაში დასდეს, რაც ქართველმა სპეციალისტმა კატეგორიულად უარყო.

აზერბაიჯანის პროფესიული საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტი მომხდარზე დღეს იმსჯელებს და სასჯელებსაც ჩამოარიგებს. როგორც ამბობენ, "ინტერი" ქულების დაკლებას გადაურჩება და მხოლოდ ფულადი სანქცია დაეკისრება. ბუნებრივია, "ბაქისთან" მატჩში გუნდს წაგება ჩაეთვლება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

*P.S. ბოლო ინფორმაციით, ნიკოლოვმა მოიპოვა ფაქტები, რომ ერთ-ერთ აზიურ ტოტალიზატორში "ბაქის" მოგებაზე დიდძალი თანხა დაიდო. "ინტერის" პრეზიდენტი უეფაში წერილს გზავნის და ფაქტის გამოძიებას მოითხოვს.*


მატჩის საკამათო ეპიზოდი


კახა ცხადაძე მსაჯის გადაწყვეტილებამ აღაშფოთა

# ქართველები კასპიის ზღვის აქეთ-იქით

"ინტერი"-"ბაქის" სკანდალურ მატჩში **გიორგი ლომაიას** გარდა კიდევ სამმა ქართველმა ითამაშა – **ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად, ხოლო **ბაჩანა ცხადაძე** მოედანზე 77-ე წუთზე შევიდა. "თურანი" შინ 1:3 დამარცხდა "ხაზართან". მასპინძელთა რიგებში **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** სრულად ითამაშა, **გიორგი ბერიაშვილი** კი სათადარიგო იყო.

„ყარაბახმა" სტუმრად „ქიაფაზს" 2:1 სძლია, მე-8 წუთზე ანგარიში **გიორგი ადამიამ** გახსნა.

სომხეთის ჩემპიონატში "განძასარისა" და "მიკას" შეხვედრა 2:2 დასრულდა. მასპინძელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა მეკარე **ლევან ბუბუტეიშვილმა.**

უზბეკეთში ტაშკენტის "ფახთაქორი" "ბუნიოდკორთან" 1:2 დამარცხდა. **კახა მახარაძემ** ტაშკენტელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა, **ირაკლი კლიმიაშვილი** კი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა.

ყაზახეთში "ვოსტოკი"-"ქაისარის" მატჩი სრულად ჩაატარა ვოსტოკელმა **ოთარ ხიზანეიშვილმა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**


გიორგი ადამია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაგრასთან მატჩში... არ დაჯარიმდეთ!

## გოლები ცოტაა, მაგრამ განსაკუთრებული

ტური არასრული გამოდგა და, ალბათ, მხოლოდ ამას უნდა მივაწეროთ ერთობ დაბალი შედეგიანობა; შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის სტარტზე ამ მხრივ სასაყვედურო ჩვენს ფეხბურთელებს არაფერი ჰქონდათ: პირველ ტურში 19 გოლი გავიდა, მეორეში — 14. ახლა კი, მართლაც დაბალი მაჩვენებელია — ოთხ შეხვედრაში ოთხი გოლი ვიხილეთ! ჰოდა, ოთხივე გოლის ავტორი უნდა ვახსენოთ, მით უფრო, რომ ოთხივე შემთხვევა განსაკუთრებული თუ არ იყო, გარკვეულ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, **ლევან შარიქაძის** მართლაც ზღაპრულად შესრულებული საჯარიმო უნდა ვახსენოთ: „გაგრას" 22 წლის ნახევარმცველმა მხოლოდ მესამე ტურის კი არა, საერთოდ, ახლადდაწყებული სეზონის საუკეთესო გოლი გაიტანა! ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „გაგრამ" მეორე გოლიც შორეული დარტყმით გაიტანა: საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო ბურთი შეაგდო გუნდის უკრაინელმა ლეგიონერმა, 26 წლის **ვლადიმირ ორდინსკიმ.** დანარჩენი ორი გოლი კი ზუგდიდში, „მეგრულ დერბიში" გავიდა: ჯერ იყო და ამ ჩემპიონატის პირველი „ავტოგოლი" დაფიქსირდა (**ლევან შავგულიძე**), შემდეგ კი თავი მასპინძელთა ნახევარმცველმა **ავთანდილ ენდელაძემ** გამოიჩინა. სხვათა შორის, 16 წლის ენდელაძე შეცვლაზე ათი წუთის შემოსული იყო, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი რომ გაიტანა.

ამ ტურს ჩვენც განსაკუთრებულად ველოდით და ... ქუთაისშიც: ამბიციურ „ტორპედოსთან" საპაექროდ ხომ ქართული ფეხბურთის მარადიული ფავორიტი თბილისის „დინამო" უნდა ჩასულიყო. სამწუხაროდ, „დინამოს" ესპანელ თავკაცს ალექს გარსიასა და მის ოთხ თანამემამულე ფეხბურთელს (ჩისკოს, ალვაროს, იაგუეს, კოტოს) მომთხოვნი ქუთაისელი ქომაგების „გაცნობა" ამჯერად არ მოუწიათ: ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად მიჩნეული „ტორპედო"-„დინამოს" შეხვედრა ჯერჯერობით გაურკვეველი ვადით გადაიდო; გასულ ტურში არც „ზესტაფონს" უთამაშია და, ალბათ, ლოგიკური გადაწყვეტილებაც იყო: ევროტურნირებზე ორი გუნდი შემოგვრჩა და თუ „დინამოს" ინტერესებს ვითვალისწინებთ, მაშინ „ზესტაფონმა" რაღა დააშავა? გასაგებია, რომ წინა ხუთშაბათს „დინამოს" გასვლითი მატჩი ჰქონდა საბერძნეთში და ათენიდან თბილისში მეორე დღეს დაბრუნებულ გუნდს „ტორპედოსთან" მატჩამდე მოსამზადებლად ძალზედ ცოტა დროღა რჩებოდა. ეს ყველაფერი მართლაც გასათვალისწინებელია, მით უფრო, როცა ევროპის ლიგის პლეი-ოფის მატჩები ერთკვირიან შუალედში ტარდება; მაგრამ, „ზესტაფონის" ფეხბურთელებმა ნაკლები ენერგია დახარჯეს „ბრიუგესთან" უხვგოლიან „ტრილერში"? მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ შეღავათი ევროტურნირებზე მოსპარეზე ორივე გუნდს ეკუთვნოდა და ასეც მოხდა: „დინამოსა" და „ზესტაფონს" ევროპის ლიგის პლეი ოფის განმეორებითი მატჩებისათვის მოსამზადებლად საკმარისზე მეტი დრო აქვთ და დანარჩენი უკვე მათზეა დამოკიდებული. ისე, ჩვენი აზრი ვინმეს თუ აინტერესებს, წინასწარ დადგენილი კალენდარი... არ უნდა იცვლებოდეს! რა თქმა უნდა, ყველას გვიხარია ევროტურნირებზე „დინამოსა" და „ზესტაფონის" წარმატებული ასპარეზობა და უფრო დიდი სურვილიც გვაქვს, რომ ჩვენმა ორივე გუნდმა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშოს; ჰოდა, ასე რომ მოხდეს, ჯგუფური ეტაპის ყველა მატჩის წინაც იგივე უნდა განმეორდეს?

თუმცა, კალენდრის შეცვლა გვიკვირს? აბა, გაიხსენეთ წინა სეზონი, როცა ჩემპიონატის რეგლამენტი... ბოლოსწინა ტურის წინ შეიცვალა! ისე, სხვანაირად, ალბათ, ვერც იქნებოდა — მაშინ უმაღლესი ლიგიდან ხომ კონკრეტული გუნდი უნდა გავარდნილიყო, და ამ გუნდის დაქვეითება კი „ძალიან ზემოთ" არავის აწყობს. ანუ, რეგლამენტის შეცვლის გადაწყვეტილება, ალბათ, ბევრად უფრო „მაღლა" გადაწყდა, ვიდრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაში.







გაგრა-მეტალურგი 2:0

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

### ძველები და ახლები

აგვისტოს ბოლოს „სატრანსფერო ფანჯარა" იხურება და საქართველოს ჩემპიონატში კვლავაც არაერთ საინტერესო ტრანსფერებს უნდა ველოდოთ. ნურც ის ფაქტი გაუკვირდეს ვინმეს, რომ პირველ სამ ტურში კონკრეტულ ფეხბურთელს ერთ გუნდში ჰქონდეს ნათამაშები, მერე კი სხვაგან გადავიდეს. მსგავსი პრეცედენტი ამ ტურში უკვე მოხდა: 32 წლის **გივი კვარაცხელიამ** სეზონი „სპარტაკში" დაიწყო (ორი მატჩი ჩაატარა), ახლა კი უკვე „მეტალურგის" ღირსებას იცავს. კვარაცხელიას გარდა გასულ ტურში სხვა ფეხბურთელებმაც ჩაატარეს პირველი მატჩი ახალი გუნდის მაისურით: **დავით ლომაიამ, გელა ხუბუამ, ირაკლი სამხარაძემ, ზვიად ქანთარიამ** (ყველა-„სპარტაკი"), ხოლო 18 წლის ნიგერიელ შემტევს **უმარ მაგაჯის** საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა.

### მეკარეთა ალბუმი

ტურის დაბალი შედეგიანობა აღვნიშნეთ, მაგრამ ის კი „დაგვავიწყდა" გვეთქვა, რომ ეს, დიდწილად, მეკარეთა დამსახურებაც იყო. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, „გაგრას" 25 წლის მეკარე **კონსტანტინე სეფიაშვილი** უნდა აღვნიშნოთ — „მეტალურგთან" მატჩში საიმედოდ და უშეცდომოდ რომ გაისარჯა. იგივეს ვიტყოდით იმ მეკარეებზეც, გასულ ტურში თავიანთი კარი მშრალად რომ შეინახეს: 30 წლის **გიორგი სომხიშვილმა** („ბაია"), 25 წლის **ვლადიმერ ზუხბაიამ** და 21 წლის **ჯონი შეროზიამ** („მერანი") საკუთარი გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. სომხიშვილმა სულაც პენალტი მოიგერია, ზუხბაიას უშეცდომო თამაშმა კი „სიონს" ჩემპიონატში პირველი ქულა მოუტანა.

### სტანდარტული მიმდინარეობა

... საქართველოს თასის წლევანდელ ფინალში ყველანი დამატებითი დროის მოლოდინში ვიყავით, როცა „გაგრას" სტანდარტულს გამარჯვების მომტანი გოლი მოჰყვა! ასევე გონივრულად გათამაშებული საჯარიმოს შემდეგ გაიტანა „გაგრამ" მეორე გოლი კვიპროსულ „ანორთოსისთან" განმეორებით მატჩშიც; აი, დაიწყო XXIII ჩემპიონატი და ამ ახალგაზრდული გუნდის გოლების თითქმის ნახევარი კვლავაც სტანდარტულ მდგომარეობებზე მოდის და გამონაკლისი არც ტურის ცენტრალური მატჩიც ყოფილა. ფაქტია, რომ უკრაინელი სპეციალისტი **ანატოლი პისკოვეცი** ამ კომპონენტზე თავის ფეხბურთელებთან ბევრს მუშაობს და „გაგრას" მომავალი მეტოქეებიც ამ გუნდთან პაექრობისას მაქსიმალურად უნდა მოერიდონ ჯარიმების „აკიდებას"; თანაც, საფრთხეს ერთი-ორი კონკრეტული ფეხბურთელისგან კი არა, ლამის ნახევარი გუნდისგან უნდა ელოდოთ, — „გაგრაში" ბევრია ისეთი ფეხბურთელი, ეფექტური თუ ეფექტიანი საჯარიმოთი მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლია.

**გია ტუხაშვილი**

---

სიტუაცია

# კესანის ზესტაფონი გაახსენდა. ზესტაფონშიც კარგად ახსოვთ...

უცნაური ამბავია – 29 წლის გაბონელ **პოლ კესანის** საქართველოში, კერძოდ კი, "ზესტაფონში" დაბრუნება სურს. ეს მოულოდნელი ამბავი კლუბის პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** გაგვიმხილა.

გაბონის ნაკრების კაპიტანი (35 მატჩი) საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობაში 2007-08 წლების სეზონში გამოდიოდა, 29 მატჩში 3 გოლი გაიტანა და ჩვენებურ ქომაგს თავი კარგი თამაშით დაამახსოვრა.

თუმცა შემდეგ უმადურობითაც გამოირჩა – "ზესტაფონს" ფიფაში რასიზმის ბრალდებით უჩივლა. ფიფამაც მისი მხარე დაიჭირა და არა "ზესტაფონის", რომლის თავკაცსაც დღემდე ვერ გაუგია, თუ გაბონელს წასვლა უნდოდა, რა შუაში იყო რასიზმი?

აფრიკელი ფეხბურთელი ხასიათით შაქარი არ იყო, ქართული უწმაწურობებიც კარგად ისწავლა და თანაგუნდელებს ჭირვეულობისას ხშირად აგონებდა ვერმოსათმენს. ამან არაერთი კონფლიქტური სიტუაცია შექმნა, ერთი ასეთი კი მისი გალახვითაც დასრულდა. კესანის ჭკუაზე მოსაყვანი შემოლაწუნება რასიზმად მოეჩვენა და გაუვიდა კიდეც.

სხვათა შორის, აფრიკელებმა რასიზმის მოტივით კონტრაქტის გაწყვეტის მოთხოვნა კარგად აპრობირებულ მეთოდად აქციეს და ფიფაშიც მიხვდნენ, რომ ბევრი მათგანი უსაფუძვლო პრეტენზიას აყენებს. თბილისში ყოფნისას ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** კოკაიას პირობა მისცა, რომ ვითარებას გაარკვევდა და იმის გამო, რომ კესანის უცხოეთში წასვლა სურდა, ფიფა კონტრაქტის დარღვევის უფლებას არ მისცემდა.

თუმცა მალევე ფიფას მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერების კომიტეტმა პოლ კესანის ებრაულ "ჰაპოელში" ტრანსფერის ნება დართო, ქართულ კლუბთან ხელშეკრულება კი ბათილად სცნო.

2009 წლიდან კესანი საფრანგეთის რანგით მეორე ლიგის კლუბ "ისტრში" გამოდიოდა, ეტყობა, იქ დამკვიდრება გაუჭირდა და ევროთასებზე გასულ "ზესტაფონში" დაბრუნება ამიტომ მოისურვა. თუმცა "ზესტაფონის" პრეზიდენტი მისი დაბრუნების წინააღმდეგია და არც გაემტყუნება — ასეთ მოთამაშეს ვერ ენდობა.

**მერაბ მამულაშვილი**



პოლ კესანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ექსპერტის აზრით



ემანუელ ფრიმპონგი ამ დარღვევისთვის გააძევეს

# უნიჭიერესი ფრიმპონგის უიღბლობა

**„ლელოს“ ფურცლებიდან ხშირად გთავაზობთ სხვადასხვა ინგლისელი სპეციალისტისა და მიმომხილველის ნააზრევს. ისინი ხშირად ზოგად თემას მიმოიხილავენ, ხშირად კი კონკრეტულ საკითხს, მაგალითად, განვლილ ტურს ეხებიან. „ლივერპულის“ ყოფილი ფეხბურთელს, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელის, ჰარი რედნაპის ვაჟის, ჯეიმი რედნაპის წერილი პრემიერლიგის მეორე ტურს ეხება.**

**გთავაზობთ რედნაპის მოსაზრებებს, რომლებიც თავად ავტორმა ქვესათაურებით გამოყო:**

## უიღბლო ფრიმპონგი

**ემანუელ ფრიმპონგი** პირველად რამდენიმე წლის წინ, „არსენალისა“ და „ტოტენჰემის“ აკადემიათა შეხვედრაში ვნახე. ის მოედანზე გამოკვეთილი ლიდერი იყო და მეც, შინ დაბრუნების შემდეგ, მამაჩემს აღფრთოვანებული ველაპარაკებოდი ამომავალი ვარსკვლავის შესახებ. პრემიერლიგის მეორე ტურში ჩემს ფავორიტს არ გაუმართლა. მან იჩქარა, ორთაბრძოლაში სულელურად შევიდა და მსაჯს თავი გააგდებინა. კაცმა რომ თქვას, ეს სველმა მოედანმაც განაპირობა, მაგრამ ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს. გასულ უქმეებზე ფრიმპონგის გაძევება თვალში ძალიან მომხვდა. მინდა დამიჯეროთ, რომ ამ 19 წლის ბიჭს გაცილებით მეტის შემოთავაზება შეუძლია, ვიდრე ჯერჯერობით ახერხებს.

## რეინჯერსის დაბრუნება

გამარჯვებას ვულოცავ „ქუინზ პარკ რეინჯერსს“. პირველ ტურში ვუყურე, როგორ გაანადგურა ეს გუნდი „ბოლტონმა“ მისსავე მოედანზე 4:0, მაგრამ აი, გავიდა ამის შემდეგ სულ რაღაც ერთი კვირა და გუნდმა ლივერპულში „ევერტონი“ დაამარცხა, 1:0. ასეთი შემოტრიალება იმას ნიშნავს, რომ „რეინჯერსს“ კლასი და ოსტატობა აქვს. რა საკვირველია, „გუდისონ პარკზე“ მათ თამაშს ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ **ტომი სმიტის** გოლმა დაამტკიცა, რომ კლუბს იმ კვირაში, როდესაც ახალი მეპატრონე გამოუჩნდა, მომავლის იმედი უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, აგვისტოს დარჩენილ დღეებში მწვრთნელი, **ნილ უორნოკი** სატრანსფერო ბაზარზეც გამოჩნდება.

## ყოჩაღ, სამირ!

„არსენალი“ იმ კლუბს ჰგავს, რომლის ფეხბურთელებსაც პარაშუტები უკეთიათ და როგორც კი გადახტომის საშუალება აქვთ, ხტებიან, რათა იქაურობას მოშორდნენ. ამის ფონზე ის, რაც **სამირ ნასრიმ** „ლივერპულთან“ შეხვედრაში გააკეთა, სანაქებო საქციელი იყო. მოგეხსენებათ, მას „მანჩესტერ სიტი“ თავისთან გადასვლას სთავაზობს, სატრანსფერო მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება და სწორედ ასეთ დროს ბიჭს ეყო გამბედაობა, „მეთოფეთა“ მაისურა ჩაეცვა და მოედანზე გასულიყო. ახლა ყველანი ძალიან საინტერესო საკითხის წინაშე ვდგავართ: ითამაშებს ნასრი ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში „უდინეზეს“ წინააღმდეგ? ეს ფრანგი ფეხბურთელის ამბიციათა ნამდვილი ტესტი იქნება. პირადად მე, არ დაგიმალავთ, ვფიქრობ, რომ ის ამ შეხვედრაში არ ითამაშებს.

## მხარი დაუჭირეთ ბოსს

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, **ალან პერდიუმ** სანდერლენდში მოგებით დროც მოიგო. პერდიუს კალენდარმა დიდი გამოცდა მოუწყო, მაგრამ აგერ უკვე ორი ტური ჩატარდა და „კაჭკაჭებს“ ოთხი ქულა აქვთ. ახლა ვნახოთ, რას იზამენ „ჯორდები“ შემდეგ ტურში „ფულჰემის“ წინააღმდეგ. „ნიუკასლ იუნაიტედის“ შემყურეს მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ გუნდში თამაშობენ პატიოსანი ადამიანები, რომლებიც გულწრფელად, თავდადებით მუშაობენ და ცდილობენ, როგორც კოლექტივმა, ერთსულოვნად მიაღწიონ წარმატებას. ასეთ დამოკიდებულებასა და ადამიანთა ჯგუფს ახლა ხელმძღვანელთა დიდი მხარდაჭერა სჭირდება.

## დარჩი, კარლოს

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა **კარლოს ტევესს** „მანჩესტერ სიტის“ დატოვება. „სიტი“ სწორედ ის გუნდია, სადაც ფეხბურთელს ყოფნა და თამაში უნდა უნდოდეს. მერედა, კვირას, ბოლტონში თამაშის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ ისტლენდელთა შორის არანაირი წყენა არ არსებობს და „მანჩესტერ სიტი“ დიდი შემტევი პოტენციალის მქონე გუნდია. ტევესს მადრიდის „რეალი“ რომ იწვევდეს მის დამოკიდებულებას კიდევ გავიგებდი, მაგრამ იტალიაში წასვლის გამო „სიტის“ დატოვება?... იტალიური ფეხბურთი ხომ კრიზისშია. „სიტის“ აშკარად შეუძლია გახდეს პრემიერლიგის ჩემპიონი, მაშ, პრობლემა სადღაა? მე ტევესს დარჩენას და ბრძოლას ვურჩევდი.

## მიდი, ედინ

გახსოვთ, რა საშინელი პირველი სეზონი ჰქონდა **ედინ ჯეკოს** „ვოლფსბურგში“, სანამ გარემოს მოერგებოდა და ძლიერად ათამაშდებოდა? ასევე მოხდა იანვარში, როდესაც ის „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა და აშკარად გამოჩნდა, რომ თავის ადგილას არ არის, მაგრამ აი, დაიწყო ახალი სეზონი და, მართალია, ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, მაგრამ რასაც აკეთებს, იმედისმომცემია. თან, თავის პოზიციაზე კონკურენტი არ ჰყავს — ყველა ის ფორვარდი, რომლის დატოვებასაც ისტლენდელები აპირებენ, სხვა სტილის ფეხბურთს თამაშობს. ვფიქრობ, ეს გარემოება ჯეკოს ძალიან დაეხმარება.

● დისციპლინარული საკითხი

# ვენგერი დასაჯეს

„არსენალის“ თავკაცი, **არსენ ვენგერი** უეფამ ორი თამაშით დასაჯა. მიზეზი: ჩემპიონთა ლიგაში, „უდინეზესთან“ თამაშის დროს ის დისკვალიფიცირებული იყო, მაგრამ წესი დაარღვია და გუნდს თავისი ასისტენტის დახმარებით მითითებებს აძლევდა. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ დააჯარიმა „არსენალიც“ - კლუბს 8 743 ფუნტის გადახდა დაეკისრა. ჩრდილოლონდონელთა კლუბმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ აუცილებლად შეიტანს საჩივარს, რადგან ის „უდინეზესთან“ საპასუხო შეხვედრაზე იქონიებს გავლენას.



არსენ ვენგერი

უეფას ოფიციალურ განცხადებაში კი წერია: *„უეფას კონტროლისა და სადისციპლინო კომიტეტმა დაასკვნა, რომ „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი ორი საერთაშორისო თამაშით უნდა დაისაჯოს. ეს გადაწყვეტილება კომიტეტმა იმიტომ მიიღო, რომ ვენგერი 16 აგვისტოს, „უდინეზეს“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მის წესებს არ დაემორჩილა“.*

● ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

# თავს ზემოთ... მანჩესტერ იუნაიტედია

**მანჩესტერ იუნ.–ტოტენჰემი 3:0**

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – სმოლინგი, ევანსი, ჯონსი, ევრა – ნანი, კლივერლი (81. გიგზი), ანდერსონი, ე. იანგი (81. პარკი) – რუნი, უილბეკი (81. ერნანდესი)

**ტოტენჰემი** (4-4-1-1): ფრიდელი – უოქერი (46. ჩორლუკა), დიუსონი, ქაბული, ასუ-ეკოტო – ლენონი, ლაივმორი (74. ჰადლსტოუნი), კრანჩარი (74. პავლიუჩენკო), ბეილი – ვან დერ ვაარტი - დეფო

**გოლი:** 1:0 უილბეკი (61), 2:0 ანდერსონი (76), 3:0 რუნი (87)

**გაფრთხილება:** ევანსი – დოუსონი, დეფო

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 11-14; **კარში დარტყმა:** 18-16 (13-10); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 75 498

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 2. მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. ვულვზი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. ასტონ ვილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6. ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. ნიუკასლი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 8. ბოლტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| 9. ქუინზ პარკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| 10. ნორვიჩი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 11. უიგანი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. სტოკ სიტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 13. სანდერლენდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14. არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 15. ფულჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 16. სუონსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 17. ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 18. ვესტ ბრომვიჩი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 19. ბლექბერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 20. ტოტენჰემი | 0 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |



„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მეორე ტურში მეორე გამარჯვება მოიპოვა - ინგლისის ჩემპიონმა „ოლდ ტრეფორდზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ უმასპინძლა და შთამბეჭდავად მოუგო. „სფურზს“, მოგეხსენებათ, ამ სეზონში ოთხეულში მოხვედრა აქვს დაგეგმილი, ანუ, წესითა და რიგით, მანჩესტერელებს ჩრდილოლონდონელებზე გაცილებით მაღალი დონის გუნდი არ უნდა ჰყავდეთ, მაგრამ... გუშინ საღამოს სწორედ რომ ასე იყო.

პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა. თავი ორივე გუნდის მეკარემ გამოიჩინა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი „სფურზის“ გოლკიპერი **ბრედ ფრიდელი** გახლდათ, რომელმაც **ტომ კლივერლის** აულო დიდებულად. მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა სტუმრებს გაცილებით აჯობეს, განსაკუთრებით კი 20 წლის თავდამსხმელმა **დენი უილბეკმა** გამოიჩინა თავი. მან, ჯერ უკვე ნახსენები კლივერლის ჩაწოდებულ ბურთს ეფექტური თავური დაარტყა, შემდეგ კი ქუსლით საოცარი პასი მიაწოდა **ანდერსონს**, რომელმაც სხვაობა ორამდე გაზარდა. მესამე გოლი **უეინ რუნიმ** კვლავ ლამაზი თავურით გაიტანა.

„ტოტენჰემელთაგან“ მიზანთან ახლოს **ჯერმაინ დეფო** გახლდათ. მან ძელს გაარტყა ბურთი.

„დეზების“ ხორვატმა გამთამაშებელმა, **ლუკა მოდრიჩმა** ამ დღეს გაფიცვა გამოაცხადა და შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● სავარაუდო ტრანსფერი

# ნასრის 24 საათი და სხვა ისტლენდური ამბები



„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა, იტალიელმა **რობერტო მანჩინიმ** თქვა, რომ თუ 24 წლის ფრანგი ფეხბურთელი, „არსენალის" ნახევარმცველი **სამირ ნასრი** ოთხშაბათს „მეთოფეთა" მაისურით ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაშიც მიიღებს მონაწილეობას, „სიტი" მის ყიდვაზე ხელს აიღებს. ნასრიმ, შაბათს, „ემირეიტ სთედიუმზე" „არსენალისა" და „ლივერპულის" შეხვედრაში ითამაშა („ლივერპულმა" მოიგო 2:0), არადა, მისი ისტლენდზე გადაყვანის შესახებ მოლაპარაკებები თითქოსდა ბოლოში იყო გასული. სატრანსფერო თანხა, 22 მილიონი ფუნტი შეათანხმეს და გარკვეული იყო ფეხბურთელის ხელფასიც. ერთადერთი, რამაც ბოლოს ტრანსფერი დააბრკოლა ნასრის აგენტების მადა თუ თავად ვარსკვლავის სიძუნწე იყო — ვერაფრით გადაწყდა, რამდენი უნდა წაელოთ შუამავლებს.

მანჩინიმ ნასრის საკითხზე „ბოლტონთან" 3:2 გამარჯვების შემდეგ ილაპარაკა. მან თქვა, რომ ნასრის 24 საათში ყიდვის იმედი აქვს. ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ჰყავს თუ არა „სიტის" შეგულებული ვინმე სხვა, იმ შემთხვევისთვის თუ ფრანგის ტრანსფერი ჩაიშლება. მათ მწვრთნელს შეახსენეს, რომ საკმარისია ნასრიმ ოთხშაბათს, უდინეში, ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში „არსენალის" მაისურა თუნდაც ერთი წამით ჩაიცვას, რომ ის ისტლენდელთათვის გამოუსადეგარი გახდება — ამ სეზონში, ლიგაში, „სიტის" შემადგენლობაში ველარ ითამაშებს.

*„მოდი, ნურაფერს გამოვრიცხავთ, მაგრამ... იმედი მაქვს, რომ 24 საათში ყველაფერს მოვაგვარებთ,* — უპასუხა მანჩინიმ, — *რასაკვირველია, ნასრიმ ჩემპიონთა ლიგაში „არსენალის" სახელით რომ ითამაშოს, ჩვენთვის ძალიან ცუდი იქნება. 40 დღეა ამ ფეხბურთელის გადმობირებას ვცდილობთ და ბოლოს და ბოლოს, პრინციპის ამბავია, საქმეს ხელი რომ მოვკიდეთ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ კიდეც. ვერც იმას გეტყვით ზუსტად, აქამდე რატომ არ მოგვარდა ყველაფერი".*

ბოლტონის „რიბოკ სთედიუმზე" „მანჩესტერ სიტიმ" შესანიშნავად ითამაშა, ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და დაამტკიცა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტია. მანჩინიმ თქვა, რომ მას ნასრის გარდა კიდევ ერთი ფეხბურთელის ყიდვის იმედი აქვს. მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ იტალიელი ცენტრალურ მცველს ეძებს - „ბოლტონთან" შეხვედრაშიც გამოჩნდა, რომ **ჟოლიონ ლესკოტს** უჭირს. ლოგიკურად, ცენტრალურმა მცველმა, რომელსაც მანჩინი შეიძენს ლესკოტის ადგილი უნდა დაიკავოს, ლესკოტი კი იჯარის წესით გაუშვან რომელიმე გუნდში. ისტლენდელთა თავკაცმა დასძინა:

*„გუნდის დაკომპლექტება რომ დავასრულოთ, ერთი-ორი ფეხბურთელი კიდევ გვინდა. ნასრიზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა იმედი მაქვს, რომ ის ამ ზაფხულს უკანასკნელი არ იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, გუნდი ყველა რგოლში დაბალანსებული იყოს და სულელური გოლები აღარ გაუშვას. უმაღლესი დონის გუნდი საკუთარ თავს ასეთი გოლების გაშვების საშუალებას არ უნდა აძლევდეს. როდესაც მოწინააღმდეგეზე გაცილებით უკეთ თამაშობ, საშიშროება იმისა, რომ თამაში 3:3 დასრულდება აღარ უნდა არსებობდეს".*

„რიბოკ სთედიუმზე" მანჩესტერელთაგან გოლები გაიტანეს **დავიდ სილვამ, გარეთ ბერიმ** და **ედინ ჯეკომ**. ეს სამი გოლი „სიტის" დიდებული თამაშის შედეგი იყო — თავდასხმაში ისტლენდელებმა კითხვის ნიშანი არ დატოვეს. ამის მიუხედავად, მასპინძლებმა **ივან კლასნიჩმა** და **კევინ დევისმა** ორი გოლით უპასუხებს სტუმრებს.

რაც შეეხება „მანჩესტერ სიტის" არგენტინელ ვარსკვლავს, **კარლოს ტევესს**, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ისტლენდიდან წასვლას ცდილობდა, ის კვლავ გუნდშია და ბოლტონში მოედანზე მეორე ტაიმის ბოლოსკენ, თანამემამულე **სერხიო აგუეროს** ნაცვლად შევიდა. ეს იყო მისი პირველი გამოჩენა ახალ სეზონში — შეგახსენებთ, რომ ტევესი „სიტიდან" წასვლის საბაბად ოჯახისგან შორს ცხოვრებას ასახელებდა. თავიდან იყო ვარიანტი, რომ არგენტინელი თავდამსხმელი ბრაზილიურ „კორინთიანსში" გადასულიყო, მაგრამ ის ჩაიშალა და როგორც მანჩინი ამბობს, აგვისტოს ბოლო დღეებამდე მისი სხვა რომელიმე კლუბში გადასვლის შანსიც არ ჩანს.

*„კარლოსი აქ არის და, მართალი გითხრათ, ვერ ვხედავ რაიმე მოძრაობას, რომელიც სიტუაციას შეცვლის. ტევესი ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, ახალი წინადადებები მის ყიდვასთან დაკავშირებით კი არ მიგვილია".*

„ბოლტონის" მწვრთნელი **ოუენ კოილი** კი წაგების მიუხედავად უკმაყოფილო არ ჩანდა: *„ჩემმა ფეხბურთელებმა თავდადებით იბრძოლეს, ტექნიკურად ითამაშეს და ცალკეულ ეპიზოდებში შესანიშნავი კომბინაციებიც გაათამაშეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს იყო შეხვედრა ელიტური, მდიდარი, საუკეთესო ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას, „ბოლტონმა" დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია. ერთადერთი, რამაც უკმაყოფილების გრძნობა დამიტოვა, დაცვა იყო. მოწინააღმდეგეს სამიდან ორი გოლი ვაჩუქეთ, არადა როდესაც ასეთ დიდ გუნდს ხვდები, გოლს ნულარ ჩუქნი. დაე, თავისი კლასითა და ბრძოლით გაჯობოს".*

● ჩელსი



# ჩელსის დაემატა

„ჩელსიმ" და „ვალენსიამ" დაადასტურეს, რომ 23 წლის ესპანელი ფეხბურთელის, **ხუან მატას** ტრანსფერთან დაკავშირებით პრინციპულ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს, თუმცა თანხის დასახელებისგან თავი შეიკავეს. სხვა საქმეა, რომ ზოგიერთმა გამოცემამ მაინც შეიტყო, რომ „ლურჯები" „ღამურებს" 26 მილიონ ფუნტს ანუ 30 მილიონ ევროს უხდიან. საქმე სამედიცინო შემოწმებაზელაა მიმდგარი. დასავლეთლონდონელებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური განცხადება, სადაც წერია:

*„ნახევარმცველ ხუან მატას ჩვენს კლუბში გადმოყვანასთან დაკავშირებით „ვალენსიასთან" შეთანხმება მიღწეულია. ახლა ფეხბურთელის სამედიცინო შემოწმება და პირადი საკითხების შეთანხმებაღა დარჩა".*

აქ შეიძლებოდა „ვალენსიას" ოფიციალური განცხადების მოტანაც, მაგრამ ის იმდენად ჰგავს „ჩელსისას", რომ ამის გაკეთებას აზრი არ აქვს.

ადრეც გვიხსენებია, რომ „ლურჯების" ახალ თავკაც **ანდრე ვილაშ-ბოაშს** გუნდში მისვლის შემდეგ უპირველეს ყოვლისა, შემოქმედი ნახევარმცველების ნაკლებობა ეცა თვალში. დასავლეთლონდონელები ამის გამოსწორებას აგვისტოში, სატრანსფერო ბაზრის დაკეტვამდე შეეცდებიან. პორტუგალიელ სპეციალისტს ეჭვი არ ეპარება, რომ მატა სწორედ აღნიშნულ დანაკლისს შეუვსებს.

ამავდროულად, რამდენადაც ცნობილი გახდა „ჩელსი" სულაც არ არის ერთადერთი ინგლისური კლუბი, რომელსაც ხუან მატას ყიდვა უნდოდა. „რეალში" დაფრთიანებული ვალენსიელის ყიდვა ჩრდილოლონდონის ორ კლუბს, „ტოტენჰემ ჰოთსპურსა" და „არსენალსაც" სურდა.

მატა „ვალენსიაში" „რეალიდან" 2007 წელს გადავიდა და ახალ გუნდში თავი ისე გამოიჩინა, რომ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ითვლებოდა. **ვისენტე დელ ბოსკემ** ის 2010 წელს მსოფლიოს პირველობაზე წაიყვანა, სადაც ესპანეთის ნაკრები ჩემპიონი გახდა. ორი თვის წინათ, დანიაში გამართულ 21 წლამდელთა ევროპის პირველობაზე, სადაც ტიტული კვლავ ესპანეთის ნაკრებმა მოიპოვა, მატა ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა და მთავარი ვარსკვლავი გახლდათ.

● დებიუტი

# კინის გოლი




მოგეხსენებათ, ირლანდიელი თავდამსხმელი, 31 წლის **რობი კინი** „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" ამერიკაში, „ლოს ანჯელეს გელექსიში" გადავიდა, სადაც პირველივე შეხვედრაში თავი გამოიჩინა, გოლი გაიტანა. „გელექსიმ" „სან ხოსე ერსქუეიქს" 2:0 მოუგო.

კინში ლოს ანჯელესის გუნდმა ლონდონელებს 3,5 მილიონი ფუნტი ანუ 5,7 მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადა. აღსანიშნავია, რომ უცხო კონტინენტზე პირველი გოლი კინმა **დევიდ ბექჰემის** მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებული პასით გაიტანა. მატჩის შემდეგ, ბედნიერმა ირლანდიელმა თქვა:

*„ამაზე უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი. საოცრად გამიმართლა. როდესაც თავდამსხმელი ახალ გუნდში გადადის, პირველ გოლს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია, რამდენიმე შეხვედრაში მეტოქის კარი ვერ დალაშქრო, რომ ნერვიულობას იწყებ".*

გოლის ეპიზოდზე ბექჰემმაც ილაპარაკა: *„ვიცოდი, რობი საითაც გაიქცეოდა და საით უნდა ჩამეწოდებინა ბურთი. კინი ის თავდამსხმელია, რომელმაც ძალიან კარგად იცის საით უნდა გაიქცეს. თუ მის ტალღაზე მოექცევი, დიდი შანსი მოგეცემა".*

რობი კინი 72-ე წუთზე შეცვალეს და 27 ათასმა გულშემატკივარმა ფეხზე წამოდგომით მოუწყო ოვაცია. საინტერესოა, რომ „გელექსის" მეორე გოლი მის ნაცვლად შესულმა **მაიკ მეგიმ** გაიტანა.

*„კინის დამატებამ ძალიან გაგვაძლიერა. მან შესანიშნავი 70 წუთი ჩაატარა და, მერწმუნეთ, კიდევ უფრო უკეთეს თამაშს მომავალში გვაჩვენებს"* — თქვა „გელექსის" მწვრთნელმა **ბრუს არენამ**.

● ტოტენჰემი

# საქმეში დეზები ჩაერივნენ

„ბოლტონის" მცველი, 25 წლის **გარი კეჰილი** დატაცებაზეა — ინგლისური კლუბებიდან ბევრს უნდა მისი შეძენა და ახლა ამ „სატრანსფერო რბოლას" „ტოტენჰემ ჰოთსპურიც" დაემატა. ბრიტანული გაზეთები წერენ, რომ „სფურზი" ბოლტონელებს რაციონალურ წინადადებას უმზადებს.

საქმე ისაა, რომ „დეზების" თავკაცი **ჰარი რედნაპი** საკუთარ დაცვას არ ენდობა და ეჭვობს, რომ ამ სეზონში მის ხელთ არსებული მცველებით დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევს. რედნაპს „ბლექბერნისგან" **კრის სამბას** ყიდვა უნდოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. რედნაპი კვირას ბოლტონში, „ბოლტონ უონდერერზისა" და „მანჩესტერ სიტის" თამაშზე იყო — მისი „ტოტენჰემი" შემდეგ ტურში, კვირას, სწორედ „სიტის" ხვდება და გამოცდილი მწვრთნელი მომავალი მეტოქის თამაშს კიდევ ერთხელ სწავლობდა. ამ შეხვედრაში კეჰილმა „დეზების" თავკაცზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

როგორც მიმომხილველები წერენ, „სფურზი" ბოლტონს ფულის გარდა კამერუნელ **სებასტიან ბასონგს** და **დევიდ ბენტლის** შესთავაზებს. წერენ იმასაც, რომ „ბოლტონს" სხვა ინტერესი აქვს: „მანჩესტერ სიტის" ცენტრალური მცველები, ბელგიელი **დედრიკ ბოიატასა** და ნიგერიული წარმოშობის ინგლისელი **ნედამ ონუოჰა** მოსწონს და მათი გადაბირება უნდა.



გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსეთი. პრემიერლიგა. XXI ტური


ანჟი-დინამო 2:1

# ვოლგა ეჭვებში ჩაიძირა...

**ამკარი-რუბინი 1:1**

**გოლები:** 1:0 სეკრეტოვი (36), 1:1 კვერკველია (84)

**ცსკა-ტომი 3:0**

**გოლები:** 1:0 დუმბია (51), 2:0 ჰონდა (63), 3:0 დუმბია (68)

**კრილია სოვეტოვი-ზენიტი 2:5**

**გოლები:** 0:1 დანი (22), 0:2 შიროკოვი (29), 1:2 იაკოვლევი 31), 1:3 ლომბერტსი (32), 1:4 ფაიზულინი (34), 2:4 იაკოვლევი (51), 2:5 შიროკოვი (78, პენალტით)

**ტერეკი-როსტოვი 1:1**

**გოლები:** 0:1 კალაჩოვი (19), 1:1 კაცაევი (90)

**ანჟი-დინამო 2:1**

**გოლები:** 1:0 ბუსუფა (22), 1:1 ვორონინი (45), 2:1 პრუდნიკოვი (72)

**სპარტაკი (ნ)-სპარტაკი (მ) 1:1**

**გოლები:** 1:0 გოშოკოვი (26), 1:1 ძიუბა (53)

**ყუბანი-ვოლგა 5:0**

**გოლები:** 1:0, 2:0 ტრაორე (20, 45), 3:0 ბუკური (53), 4:0 კომკოვი (71), 5:0 დავიდოვი (89)

**ლოკომოტივი-კრასნოდარი 1:0**

**გოლი:** 1:0 გლუშაკოვი (34)

რუსული პრემიერლიგის გასულ ტურს სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეუტანია: ერთადერთი „ანჟიმ" გადაინაცვლა მეოთხე ადგილზე და ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის ბრძოლაში მოსკოვის „დინამოს" წამოეწია. სწორედ ამ ორი გუნდის დაპირისპირება იყო მიჩნეული ტურის ცენტრალურ შეხვედრად, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ; მანამდე კი ის ტენდენცია გვინდა აღვნიშნოთ, წლევანდელ გათამაშებას სტარტიდან მოყოლებული რომ ახასიათებს. ერთობ მაღალ შედეგიანობას ვგულისხმობთ — ახლაც, რვა შეხვედრაში 25 გოლი გავიდა (ანუ, ერთ მატჩში საშუალოდ სამი ბურთი!), ყველაზე უხვგოლიანი მატჩი კი სამარაში ჩატარდა, სადაც აუტსაიდერმა „კრილია სოვეტოვმა" ვერაფერი გააწყო ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტთან „ზენიტთან". **ლუჩანო სპალეტის** გუნდის გამარჯვება არავის გაჰკვირვებია, უბრალოდ, „უცნაური" ის იყო მხოლოდ, რომ ბევრი მცდელობის მიუხედავად გოლი ვერ გაიტანა „ზენიტის" საუკეთესო ბომბარდირმა, 28 წლის **ალექსანდრ კერჟაკოვმა.** აი, მასპინძელთა შორის კი, უდავოდ, გამოსარჩევია 20 წლის **პაველ იაკოვლევი** — ახალგაზრდა ნახევარმცველმა „დუბლი" შეასრულა და მეორე გოლი მართლაც ეფექტური შორეული დარტყმით გაიტანა.

ბევრისთვის მოულოდნელად უხვგოლიანი გამოდგა „ყუბანი"-„ვოლგას" მატჩიც, — მასპინძლებმა ამ გამარჯვებით, ფაქტობრივად, დაიბევეს ადგილი პირველ რვა გუნდში. ერთი შეხედვით, მასპინძელთა გამარჯვება არავის უნდა გაჰკვირვებოდა — წარსულში ცნობილი რუმინელი ფეხბურთელის, **დან პეტრესკუს** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ყუბანი" მეტოქეს კლასითაც აღემატება, ფინანსებითაც და ამბიციითაც; თუმცა, შეხვედრამდე ჯერ კიდევ... ოთხი-ხუთი დღით ადრე რუსულ მასმედიაში მართლაც „არანორმალური" აჟიოტაჟი იყო ატეხილი ამ მატჩის ირგვლივ! ანუ, ყველა დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ კრასნოდარელები ამ შეხვედრას წააგებდნენ და ამიტომაც იყო „ყუბანი"-„ვოლგას" მატჩზე ფსონებს... არავინ რომ იღებდა! უფრო ზუსტად, რამდენიმე საბუქმეიქერო კანტორამ მაინც „გაბედა" და ფსონები გამოაქვეყნა, მაგრამ შემდეგ ეს ფსონები 180 გრადუსით შეიცვალა და მატჩის უდავო ფავორიტის სტატუსიც... „ვოლგას" ჰქონდა. რეალურად კი რაც მოხდა, ანგარიში მეტყველებს: 20 წლის კოტ'დივუარელი ფორვარდის **ლასინა ტრაორეს** „დუბლით" მასპინძლებმა საქმე, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში მოამთავრეს, შემდეგ კიდევ სამი გოლიც დაუმატეს და ასე „ამოაყირავეს" მატჩამდელი არსებული ყველა პროგნოზი. სხვათა შორის, შეხვედრის დასრულების შემდეგ დან პეტრესკუმ ამაყად განაცხადა, რომ ვიდრე „ყუბანის" მთავარი მწვრთნელი იქნება, მისი გუნდი გარიგებულ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებს. ჩვენთვის კი საწყენი ის იყო, რომ ამ წაგებით „ვოლგას" სატურნირო მდგომარეობა ისევ არასახარბიელო დარჩა; არადა, ნიჟნი ნოვგოროდელთა მთავარმა მწვრთნელმა **დმიტრი ჩერიშევმა** თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ოთხ ქართველს ანდო ადგილი: 26 წლის **გოჩა ხოჯავამ,** 22 წლის **მათე ვაწაძემ,** 23 წლის **ზურაბ არზიანმა** და 22 წლის **გია გრიგალავამ** შეუცვლელად ითამაშეს, მაგრამ...

ტურის ცენტრალური მატჩი კი მახაჩყალაში ჩატარდა და **გაჯი გაჯიევის** „ანჟიმ" დაძაბულ ბრძოლაში შეძლო უშუალო კონკურენტის, „დინამოს" დამარცხება. სხვათა შორის, მატჩამდე რუსი ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, რომ გაჯიევი ასეთ პრინციპულ მატჩში სხვა მეკარეს დაეყრდნობოდა, მაგრამ გამოცდილმა სპეციალისტმა კვლავაც **ნუკრი რევიშვილს** გამოუცხადა ნდობა და არც შემცდარა! საქართველოს ნაკრებისა და „ანჟის" 24 წლის მეკარემ სტუმართა ცნობილ შემტევებს, 31 წლის **ანდრეი ვორონინსა** და 29 წლის **კევინ კურანის** ორი რთული ბურთი აუღო და, საერთოდაც, მთელი მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა. ასევე მხოლოდ ქების სიტყვებით გვინდა აღვნიშნოთ „რუბინის" ახალგაზრდა მცველის, **საბა კვერკველიას** მორიგი ჩინებული მატჩი: 19 წლის ქართველმა უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა! თანაც, კვერკველიას გოლმა „რუბინს" ქულა მოუტანა: **ყურბან ბერდიევის** გუნდი „ამკართან" მარცხდებოდა, როცა ისრაელის ნაკრებისა და ყაზანელთა გუნდის 23 წლის ნახევარმცველის **ბიბრას ნათხოს** კუთხურს ქართველი ფეხბურთელის ეფექტური თავური დარტყმა მოჰყვა! ამ მატჩში კიდევ ერთი ქართული გვარ-სახელის მქონე ფეხბურთელიც ვიხილეთ: „ამკარის" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა 25 წლის **ზურაბ ცისკარიძემ,** ვისაც ბავშვობა პოლონეთში გაუტარებია, შემდეგ კი ოჯახთან ერთად აშშ-ში გადასულა. ცისკარიძის სიტყვებით, სხვადასხვა დროს უთამაშია „კანზასში", „კოლამბუსში" (ორივე-აშშ), „ვანკუვერში", „იმპაქტეში" (ორივე-კანადა), „ინტერნასიონალში", „ბარუერში" (ორივე-ბრაზილია). ეგ კი არა, ქართული გვარ-სახელის მქონე ფეხბურთელმა ჩვენ რუს კოლეგებს ისიც ამცნო, რომ გარკვეული პერიოდი... ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრებშიც თამაშობდა!

დაბოლოს, თანაკლუბელთა დაპირისპირებაზეც: ნალჩიკის „სპარტაკი" ტაიმნახევარი უგებდა რუსების სახალხო გუნდს, მაგრამ 23 წლის **არტიომ ძიუბამ** ანგარიშის გათანაბრება შეძლო. მასპინძელთა შორის ძირითადში იყვნენ 29 წლის **დავით სირაძე** და რუსეთის მოქალაქე, 24 წლის **ელგუჯა რუხაია;** აი, სტუმართა გუნდის ქართველი ლეგიონერი, 18 წლის **ჯანო ანანიძე,** ისე როგორც წინა ტურის მატჩში, კვლავაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 21 | 13 | 6 | 2 | 40-15 | 45 |
| 2. ზენიტი | 21 | 12 | 7 | 2 | 36-15 | 43 |
| 3. დინამო | 21 | 11 | 5 | 5 | 37-25 | 38 |
| 4. ანჟი | 21 | 10 | 6 | 5 | 24-18 | 36 |
| 5. რუბინი | 21 | 9 | 8 | 4 | 27-18 | 35 |
| 6. სპარტაკი (მ) | 21 | 10 | 5 | 6 | 28-23 | 35 |
| 7. ყუბანი | 21 | 10 | 4 | 7 | 29-20 | 34 |
| 8. ლოკომოტივი | 21 | 9 | 6 | 6 | 32-22 | 33 |
| 9. კრასნოდარი | 21 | 6 | 8 | 7 | 24-27 | 26 |
| 10. ტერეკი | 21 | 6 | 5 | 10 | 19-29 | 23 |
| 11. ამკარი | 21 | 5 | 7 | 9 | 15-28 | 22 |
| 12. ტომი | 21 | 4 | 7 | 10 | 18-35 | 19 |
| 13. სპარტაკი (ნ) | 21 | 3 | 8 | 10 | 18-27 | 17 |
| 14. ვოლგა | 21 | 5 | 2 | 14 | 17-29 | 17 |
| 15. როსტოვი | 21 | 4 | 5 | 12 | 22-36 | 17 |
| 16. კრილია | 21 | 3 | 7 | 11 | 14-33 | 16 |

**მომდევნო ტური**

**27 აგვისტო**

ტომი-ამკარი
ვოლგა-ტერეკი
როსტოვი-ანჟი

**28 აგვისტო**

ზენიტი-კრასნოდარი
დინამო-სპარტაკი (ნ)
რუბინი-კრილია
სპარტაკი (მ)-ცსკა
ყუბანი-ლოკომოტივი

**გია ტუხაშვილი**

● ბერლუსკონის თასი

# მილანის მორიგი ტრიუმფი
## და აკვილანის მოლოდინი

**მილანი-იუვენტუსი 2:1**

**მილანი (4-4-1-1):** აბიატი – აბატე (89. ოდო), ნესტა (58. ელი), ბონერა, ტაიო (48. ძამბროტა) – გატუზო, ამბროზინი, ზეედორფი (85. ანტონინი) – ემანუელსონი – ბოატენგი (30. ფლამინი) – კასანო.

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბონუჩი, კიელინი, დე ჩელიე (86. ციგლერი) – პირლო, მარკიზიო (72. პაციენცა), ვიდალი (54. პასკუატო), კრასიჩი (86. კვალიარელა) – ვუჩინიჩი, მატრი (44. დელ პიერო).

**გოლები:** 1:0 ბოატენგი (9), 2:0 ზეედორფი (22), 2:1 ვუჩინიჩი (55).

ბერლუსკონის თასი ტრადიციულად "მილანის" და "იუვენტუსის" პაექრობაში თამაშდება და ბუნებრივია, ამჯერადაც ასე მოხდა. სანამ უშუალო მატჩზე გადავიდოდეთ, იმის შესახებ ვთქვათ თუ რატომ ეთამაშება "მილანი" ყოველ წელს მაინც და მაინც "იუვენტუსს"?! უფრო სწორად, ამის შესახებ **სილვიო ბერლუსკონი** იტყვის:

*"ამის ახსნა მარტივია – ერთმანეთის წინაშე ქვეყნის ორ ყველაზე ტიტულოვან გუნდს უწევს დაპირისპირება. თუ "იუვენტუსს" შიდა ტიტულებში ბადალი არ ჰყავს, ჩვენ საერთაშორისო ტროფეების რაოდენობით ვართ სხვებზე წინ. გამომდინარე აქედან, წესით გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ თასისთვის ბრძოლაში მეტოქედ "იუვენტუსი" გვყავს არჩეული. თუ დააკვირდებით, თითოეული ჩვენი თამაში საინტერესო გამოდის და გულშემატკივარი ყოველთვის კმაყოფილი რჩება განურჩევლად შედეგისა".*

გულშემატკივარი ამჯერადაც კმაყოფილი დარჩა, მით უმეტეს, "მილანმა" გაიმარჯვა და მთლიანობაში დაჯაბნა კიდეც მეტოქე. არადა, **ანტონიო კონტესგან** განსხვავებით, **მასიმილიანო ალეგრის** არაერთი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ალეშანდრე პატო, ტიაგო სილვა, რობინიო, მარკ ვან ბომელი...** მიუხედავად ამისა, "მილანმა" უპირატესობით წარმართა შეხვედრა და როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, დამსახურებულად გაიმარჯვა.

ალეგრის შეგირდებმა მალევე გაიტანეს ორი გოლი და საქმე ფაქტობრივად მოამთავრეს – მეცხრე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ინაციო აბატემ** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და ბურთი პირდაპირ **კევინ პრინც ბოატენგს** დაასვა ფეხზე, ამ უკანასკნელის დარტყმული უზადო გამოდგა, 1:0. მეორე გოლი **კლარენს ზეედორფის** ანგარიშზეა, რომელმაც საჯარიმოს შესრულება აიღო საკუთარ თავზე და **ჯანლუიჯი ბუფონის** კარის შორეული ცხრიანი დალაშქრა, 2:0. ერთი ბურთი მეორე ტაიმში **მირკო ვუჩინიჩმა** გაქვითა, ჩერნოგორიელი **ალესანდრო დელ პიერომ** შეატოვა კიპერს პირისპირ და მანაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი **კრისტიანი აბიატის** კარში, 2:1. მომენტები კიდევ არაერთი შეიქმნა, განსაკუთრებით "იუვენტუსის" კართან, მაგრამ მთელ რიგ ეპიზოდებში ჯიჯი ბუფონი შეუდარებელი გახლდათ. ის, რომ ძალიან კარგად მოასპარეზე **ანტონიო კასანომ** გოლის გატანა ვერ მოახერხა, პირველ რიგში სწორედ ბუფონის დამსახურებაა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ალეგრიმ ყველასათვის მოულოდნელად 4-4-1-1 ტაქტიკა აირჩია, რამაც გაამართლა კიდეც. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი კასანო გახლდათ, მის უკან კი ბოატენგი ირჯებოდა. ფლანგებიდან შემტევებს **ურბი ემანუელსონი** და კლარენს ზეედორფი ეხმარებოდნენ. ექსპერიმენტმა გაამართლა, "მილანის" შეტევა საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და ალეგრის მისამართით კრიტიკა არავის დასცდენია. რაც შეეხება "იუვენტუსს", აშკარაა, რომ ანტონიო კონტე ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. **კლაუდიო რანიერისა** და **ლუიჯი დელ ნერის** მსგავსად, მანაც 4-4-2-ზე შეაჩერა არჩევანი და თავდასხმაში მირკო ვუჩინიჩის და **ალესანდრო მატრის** ტანდემი გაამწესა. თუმცა, "იუვეს" შეტევა მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც მოედანზე მეორე ალესანდრო, დელ პიერო შევიდა. რამდენჯერმე, **პირლომ** და დელ პიერომ მაღალი კლასის და შეთამაშების კარგი მაგალითი გვიჩვენეს და "სან სიროზე" შეკრებილ გულშემატკივრებს ტაშიც კი დასტყუეს. ბარემ ვთქვათ, რომ პირლოს "მილანის" ქომაგები გულთბილად დახვდნენ და ტაშიც არაერთხელ დაუკრეს. ნამატჩევს, ანდრეა აღელვებული იყო:

*"ძალიან სასიამოვნოა იმ სტადიონზე დაბრუნება, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გაქვს გატარებული. ხშირად ვფიქრობდი იმაზე თუ როგორ მიმიღებდნენ "მილანის" გულშემატკივრები და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოლოდინი ბოლომდე გამართლდა. მართალია, "იუვენტუსის" ფეხბურთელი ვარ, მაგრამ ჩემი გულის ნაწილი ნამდვილად "მილანს" ეკუთვნის. რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ სასწავლი და დასახვენი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. "მილანმა" კარგად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა, ჩვენ კი ხარვეზების აღმოფხვრა მოგვიწევს. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ რესურსი არის და გუნდს უმაღლეს დონეზე შეუძლია თამაში".*

თამაშს სილვიო ბერლუსკონი დაესწრო და ზემოთ მისი კომენტარიც გაგაცანით – "მილანის' პრეზიდენტს კიდევ ერთხელ უნდა მივიბრუნდეთ, რადგან მატჩის შემდეგ სხვაც ბევრი თქვა საინტერესო: *"თამაშს ყურადღებით მივადევნე თვალი და მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი. შეტევის ხაზი აშკარად ძლიერია და ეს მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ყოველთვის ტრავმირებული გვყავს. თავად განსაჯეთ, "იუვენტუსის" წინააღმდეგ ალეშანდრე პატომ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და რობინიომ ვერ იასპარეზეს – მიუხედავად ამისა, საკმაოდ სახიფათოდ ვუტევდით. გამომდინარე აქედან, მარიო ბალოტელის და კაკას გადაბირების საკითხი დღის წესრიგში ნამდვილად არ დგას. რაც შეეხება ალბერტო აკვილანის, ის ნამდვილად წაადგება*



გოლის ავტორები

*გუნდს და მის ტრანსფერზე ვმუშაობთ კიდეც. მატჩის მსვლელობისას ადრიანო გალიანისთან სწორედ სატრანსფერო საკითხებზე ვსაუბრობდი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ აკვილანი გვჭირდება. როგორც გალიანიმ მითხრა, ეს მასიმილიანო ალეგრის სურვილია, რომელიც დიდია შანსი ასრულდეს კიდეც. დღეს, რაიმეზე გადაჭრით ლაპარაკი გამიჭირდება, მაგრამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს ვაკეთებთ. როგორ ფორმაში ხვდება გუნდი ახალ სეზონს? – ეს კითხვა უფრო ალეგრის ეკუთვნის, მაგრამ შევეცდები, რომ ვუპასუხო. ჩემი პირადი აზრით, ბოლო ათ წელიწადში "მილანი" ასე კარგად არასდროს ყოფილა მომზადებული სეზონისთვის".*

სიტყვამ მოიტანა და ბოლოს აკვილანის 'მილანში" შესაძლო გადაბარგების შესახებ ვთქვათ. თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია შესული და თითქმის გადაწყვეტილია, რომ აკვილანი სწორედ "როსონერიში' გააგრძელებს კარიერას. რაც მთავარია, ავტორიტეტულ გამოცემასთან საუბარში ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაადასტურა:

*"დასამალი არაფერია, ძალიან ახლოს ვარ იმასთან, რომ "მილანის" ფეხბურთელი გავხდე. ეს ჩემი ახდენილი ოცნება იქნება და არც ვმალავ, რომ ამ ტრანსფერით დაინტერესებული ვარ. კლუბებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და დღე დღეზე ყველაფერი გადაწყდება".*

**ლაშა ნიკლაური**

● რაიო ვალეკანო (მადრიდი) | პრიმერადივიზიონი. კლუბების წარდგენა | ბეტისი (სევილია)



# როცა მეოთხე ზედმეტი არაა

## რაიო: ღარიბი, მაგრამ ამაყი

ამ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატის ელიტაში პირველად იასპარეზებს 4 მადრიდული კლუბი, ტრადიციულ „რეალსა" და „ატლეტიკოს", აგრეთვე გარეუბნის „ხეტაფეს", დაემატა „რაიო ვალეკანო", რომელიც პრიმერადივიზიონს დაუბრუნდა.

„რაიო ვალეკანოს" წარმატებაში ორმა ფაქტორმა უდიდესი როლი ითამაშა, პირველი გუნდის ერთგული ფანობაა, მეორე კი მწვრთნელი **ხოსე რამონ სანდოვალი**, რომელმაც საჭირო დროს, საჭირო სიტყვები გამონახა ფინანსურ კრიზისში მყოფი კლუბის ფეხბურთელების გასამხნევებლად. ერთი ხანობა, უხელფასობით გატანჯული ფეხბურთელები გაფიცვასაც კი აპირებდნენ, არადა, იმ დროს გუნდი სეგუნდადივიზიონში ლიდერობდა!

„რაიო ვალეკანო" ელიტაში გადავიდა, თუმცა ფინანსური სიტუაცია დიდად არ გამოკეთებულა. გუნდმა ერთ-ერთმა უკანასკნელმა დაიწყო სეზონისთვის მზადება. ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობამ დავალიანების ნაწილი გაისტუმრა. ფინანსური გაუმართავობის გამო, კლუბს ახალი ფეხბურთელების შეძენაზე გარკვეული შეზღუდვებიც კი დაუწესეს. ელიტაში გადასვლის მიუხედავად, მადრიდელებმა უამრავი ფეხბურთელი დაკარგეს: **კოკე** და **არმენტეროსი** „სევილიაში" გაიქცნენ, **დე ლა ვეგამ** და **ტრეხომ** „მალიორკა" გააძლიერეს, **ამაიამ** - „უიგანი" (შემდეგ „ბეტისი"), **დავიდ აგანსოც** „ელჩეში" მიდის. მათი შეცვლა კი მთლად სრულფასოვნად ვერ მოხერხდა. კლუბში დარჩენილები ამტკიცებენ, რომ მთავარია, მოთმინება და ყველაფერი გამოსწორდება.

კლუბის პრეზიდენტმა **რაულ მარტინ პრესამ** მთელს ლა ლიგაში ყველაზე იაფი ფასი დაადო სეზონის აბონემენტებს.

### ციტატები

**მიგელ პერეს კუესტა** (იგივე **მიჩუ**): *„რაიო ვალეკანოს" ესპანეთში ყველაზე საუკეთესო და ერთგული ფანები ჰყავს. გასულ სეზონში „სელტაში" ვთამაშობდი და კარგად მახსოვს, რა კოშმარი მოგვიწყეს მათ მადრიდში. არადა, მათი გუნდი 1:3-ს აგებდა, თუმცა გულშემატკივრებს ერთი წამითაც არ შეუწყვეტიათ მხარდაჭერა. „რაიო" პრიმერას ყველა გუნდს ნამდვილ ბრძოლას გაუმართავს".*

**პიტი**: *„სხვა გუნდებიდან მოწვევები მქონდა, მაგრამ დარჩენა ვარჩიე, რადგან აქ გულშემატკივრებს ძალიან ვუყვარვარ. „რაიო" ჩემთვის ყველაფერია - როცა სათამაშოდ გამოვდივარ, ყოველთვის ვფიქრობ, რომ ამ კლუბისთვის ბოლომდე დავიხარჯები. ვფიქრობ, ამ სეზონში 10 გოლს მაინც გავიტან".*

### სეზონის მიზანი - პრიმერაში დარჩენა

სანდოვალი მიიჩნევს, რომ გუნდში ცვლილებები ჯერ არ დასრულებულა. მწვრთნელი წინასასეზონო მზადებით კმაყოფილია: *„მართალია, ბიუჯეტით სხვა კლუბებს ვერ გავუტოლდებით, მაგრამ როცა მსაჯის სასტვენი გაისმება, მოედანზე ყველა თანასწორი ხდება. ჩვენი მთავარი ამოცანა, პრიმერაში დამკვიდრებაა".*

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **პედრო ბოტელიო** (არსენალი, 300 ათასი ევრო), **მიჩუ** (სელტა, თავ. აგენტი), **ხორდი ფიგუერასი** (რუბინი, თავ. აგენტი), **ალბერტო პერეა** (ატლეტიკო ბ, თავ. აგენტი), **სუელიტონ პერეირა** (ვიტორია, თავ. აგენტი), **რობერტო ტრაშორასი** (სელტა, თავ. აგენტი), **მიკელ ლაბაკა** (რეალ სოსიედადი, თავ. აგენტი).

წავიდნენ: **ემილიანო არმენტეროსი, რაფაელ გარსია, ნესტორ სუსაეტა, მიჩელი, ხოსე მოვილია, კარლოს დე ლა ვეგა, სალვა, იუმა, დანიელ პროვენსიო, ბრაიან ანგულო, ბორხა გარსია, კოკე, დავიდ აგანსო.**

*დოსიე*

### რაიო ვალეკანო დე მადრიდ



**დაარსდა**: 1924 წ.

**სტადიონი**: ესტადიო დე ვალეკასი (ტერესა რივერო), 14 700

**პრეზიდენტი**: რაულ მარტინ პრესა

**მწვრთნელი**: ხოსე რამონ სანდოვალი

**კლუბის წევრი**: 7 800

13 სეზონი პრიმერაში

**მეტსახელი**: რაიო

**გასულ სეზონში**: მე-2 ადგილი სეგუნდაში

**ოფიციალური საიტი**: http://www.rayovallecano.es

**ყველაზე მეტი თამაში** 2010/11: მოვილია (41), ტრეხო (40), არიბასი (38), კოკე (38), ხავი ფუეგო (37).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: არმენტეროსი (20), ტრეხო (9), პიტი (8), დელიბაშიჩი (7), აგანსო (7).

| გუნდი 2011/12 | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. დავიდ **კობენიო** | 06.04.1982 |
| 13. **დანი** ხიმენესი | 30.07.1983 |
| 26. **ხუან კარლოსი** | 20.01.1988 |
| **მცველები** | |
| 2. **ტიტო ტრიგუერო** | 11.07.1985 |
| 3. ხოსე მანუელ **კასადო** | 09.081986 |
| 5. ალეხანდრო **არიბასი** | 01.05.1989 |
| 6. მიკელ **ლაბაკა** | 10.08.1980 |
| 11. პედრო **ბოტელიო** (ბრაზილია) | 14.12.1989 |
| 4. **ხორდი** ფიგუერასი | 16.05.1987 |
| 15. **სუელტონ პერეირა** (ბრაზილია) | 19.08.1986 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. ხოსე მარია **მოვილია** | 08.02.1978 |
| 8. მიგელ ანხელ **მიჩელი** | 30.10.1975 |
| 14. ნესტორ **სუსაეტა** | 11.12.1984 |
| 16. **რაფა** გარსია | 14.01.1986 |
| 17. **ხული** სერდა | 09.08.1981 |
| 18. **ხავი ფუეგო** | 04.01.1984 |
| 20. რობერტო **ტრაშორასი** | 28.02.1981 |
| 22. **მიჩუ** პერესი | 21.03.1986 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ალბერტო **პერეა** | 16.05.1990 |
| 10. ფრანსისკო **პიტი** | 26.05.1981 |
| 25. ანდრია **დელიბაშიჩი** (ჩერნოგ.) | 24.04.1981 |
| 31. **როდრი** პენია | 07.03.1986 |
| 32. ლასანა **ბანგურა** (გვინეა) | 30.03.1992 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით - წარწერა მაისურზე*

# შესრულებული მისია

## ჩაშლილი ჯაშუშური თამაშები

„ბეტისზე" ენა ვერ მოგიბრუნდება ახალწვეული უწოდო, გუნდს ხომ დიდი ტრადიციები მოსდგამს და მრავალრიცხოვანი ფანიც ჰყავს. „ბეტისის" დაბრუნებით აღდგა ძალიან საინტერესო დაპირისპირება, რომელიც უთუოდ ალამაზებდა ესპანურ პრიმერას - სევილიის დერბი.

სეგუნდაში „ბეტისი" ყველას სჯობდა, თუმცა სეზონი მაინც მძიმე გამოდგა ანდალუსიელებისთვის. **პეპე მელის** გუნდს განსაკუთრებით მაშინ გაუჭირდა, როცა „ბარსელონას" თასის მეოთხედფინალში 3:1 მოუგო. „ბეტისმა" თავი შეაკლა გრანდს, მიზანს კი ვერ მიაღწია (შემდეგ ეტაპზე მაინც „ბარსა" გავიდა) და კინალამ ჩემპიონატშიც გაირთულა საქმე - ამ გამარჯვებას წაგებათა სერია მოჰყვა. ამას დაერთო შემზარავი ცნობა, რომ გუნდის ნიჭიერ მცველ **მიკი როკეს** სიმსივნე აღმოაჩნდა, ამის შესახებ თვალცრემლიანმა ფეხბურთელმა თავად განუცხადა ჟურნალისტებს. მაშინ მან ბიჭებს მიმართა: *„თუ გსურთ ჩემი დახმარება, აუცილებლად მოიპოვეთ პრიმერას საგზური"*. და, მართლაც, როცა „ბეტისმა" ელიტის საგზური გაინაღდა, ფეხბურთელებმა მაისურზე წარწერით უპასუხეს თანაგუნდელს: *„მისია შესრულებულია! მიკი, ჩვენ შენთან ვართ"*.

„ბეტისის" დაბრუნება პრიმერაში რიგითი მოვლენა სულაც არ არის, ამ კლუბს სულ სხვა ისტორია აქვს, ის წლების განმავლობაში თანასწორად ებრძოდა ესპანური ფეხბურთის გრანდებს და ქვეყნის ჩემპიონიც კი ყოფილა. ორწლიანი პაუზის შემდეგ, გულშემატკივრებს სევილიური დერბიც გვარიანად მოენატრა.

„ბეტისი" სეზონის დასრულების შემდეგ გაძლიერდა კიდეც, ახალწვეულებიდან კი **ხავიერ ჩიკას, ამაიას, მარიოსა** და „ვილიარეალის" ორ ფეხბურთელს, **ხავიერ მატილიასა** და **მონტეროს**. ანდალუსიელებმა თვალი **ნელსონ ვალდესსაც** დაადგეს, თუმცა მათ მდიდარმა „რუბინმა" აჯობა. სხვათა შორის, პირველ ტურში სევილიური დერბი უნდა გამართულიყო, რაც გაფიცვამ შეიწირა. არადა, გუნდები მთელი სერიოზულობით ემზადებოდნენ. ამბობენ, მათ საქმეში საფეხბურთო ჯაშუშებიც კი ჩართესო...

### ციტატები

**პეპე მელი**: *„ბეტისი უბრალოდ ჰაერივით სჭირდება პრიმერას"*.

**მარსელინო** („სევილიას" მწვრთნელი): *„ბეტისი" ჩვენთან რას მოვა, მას სულ სხვა ამოცანები ელის ამ სეზონში"*.

**ანტონიო ამაია**: *„გვინდა ახალ სეზონს საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ"*.

**მიგელ გილიენი** (გუნდის პრეზიდენტი): *„ვხედავ ბიჭების მონდომებას, ისინი ძალიან შემართულები არიან, რაც პატივისცემას იმსახურებს"*.

### სეზონის მიზანი - ცხრილის შუაში დამკვიდრება

პეპე მელი მიიჩნევს, რომ გუნდი უნდა გაძლიერდეს, რათა აღმაფრენას ძირს დაცემა არ მოჰყვეს. მწვრთნელის აზრით, „ბეტისი" ისევე მუდმივი წევრი უნდა იყოს პრიმერის, როგორც „ვალენსია", „ატლეტიკო" და „ბილბაო".

### ტრანსფერები

მივიდნენ: **ნელსონი** („ოსასუნა", იჯარა), **ანტონიო ამაია** („უიგანი", 400 ათასი ევრო), **ჯეფერსონ მონტერო** („ვილიარეალი", იჯარა), **ხავიერ მატილია** („ვილიარეალი", 1.5 მლნ.), **ფაბრისიო** („ვალიადოლიდი", თავ. აგენტი), **ხუანიტო** („ბეტისი ბ"), **მარიო ალვარესი** („ხეტაფე", თავ. აგენტი), **ხავი ჩიკა** („ესპანიოლი", თავ. აგენტი), **ხუანდე** („გრანადა"), **როდრი** („კარტახენა"), **უსტარიცი** („ბილბაო").

წავიდნენ: **ოდონკორი, როვერსიო, მ. ლოპესი, რაზაკი, ბელენგერი, ისრაელი, მ. პავონე, ემანა.**

*დოსიე*

### რეალ ბეტის ბალომპიე



**დაარსდა**: 1907 წ.

**სტადიონი**: ბენიტო ვილამარინი, 56 500

**პრეზიდენტი**: მიგელ გილიენი

**მწვრთნელი**: პეპე მელი

**კლუბის წევრი**: 29 500

46 სეზონი პრიმერაში

ჩემპიონი (1935), თასის მფლობელი (1977, 2005)

**მეტსახელი**: ვერდიბლანკოსი

**გასულ სეზონში**: 1-ელი ადგილი სეგუნდაში

**ოფიციალური საიტი**: http://www.realbetisbalompie.es

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: რ. კასტრო (42), ბენატი (36), ირინეი (36), მოლინა (34), ნაჩო (34).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: რ. კასტრო (27), მოლინა (18), ემანა (13), ბენატი (4), ირინეი (3).

| გუნდი 2011/12 | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ინიაკი **გოიტია** | 02.03.1982 |
| 13. **კასტო** ესპინოსა | 18.06.1982 |
| 25. **ფაბრისიო** რამირესი | 31.12.1987 |
| **მცველები** | |
| 2. ხოსე **ისიდორო** გომესი | 01.08.1986 |
| 3. **მარიო** ალვარესი | 02.02.1982 |
| 4. ანტონიო **ამაია** | 31.05.1983 |
| 5. **ჩეჩუ დორადო** | 10.07.1982 |
| 6. **ხუანიტო** კალაორო | 12.05.1988 |
| 15. **უსტარიცი** | 16.02.1983 |
| 17. ხავიერ **ჩიკა** | 17.05.1985 |
| 22. **ნელსონი** (პორტუგალია) | 10.06.1983 |
| 23. **ნაჩო** პერესი | 24.06.1980 |
| **ფერნანდო ვეგა** | 03.07.1984 |
| 26. **მიკი როკე** | 08.07.1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. **ხუანმა** სანჩესი | 29.05.1981 |
| 8. ხავიერ **მატილია** | 01.01.1988 |
| 10. **ბენატ** ეჩებარია | 19.02.1987 |
| 11. ხერონიმო ფიგეროა **მომო** | 15.07.1982 |
| 14. **სალვა სევილია** | 18.03.1984 |
| 18. **ირინეი** სანტოსი (ბრაზილია) | 23.04.1981 |
| 20. ჯეფერსონ **მონტერო** (ეკვადორი) | 01.09.1989 |
| 21. ხოსე ალბერტო **კანიასი** | 27.05.1987 |
| არტურო **არსუ** | 17.03.1981 |
| **ხუანდე** ლოპესი | 12.08.1986 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. **ხონათან** როდრიგესი | 12.05.1987 |
| 19. **ხორხე მოლინა** | 22.04.1982 |
| 24. **რუბენ კასტრო** | 27.06.1981 |
| 28. **ესეკიელ** კალვენტე | 12.01.1991 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. გაფიცვა

# დღეს გავიგებთ, იქნება თუ არა მეორე ტური

საფეხბურთო საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ესპანეთის პროფესიული ლიგისა (LFP) და ფეხბურთელთა ასოციაციის (AFE) მოლაპარაკებებს. როდის დაიწყება პრიმერადივიზიონის გათამაშება. ჯერჯერობით ჩემპიონატის პირველ ორ ტურზე ფეხბურთელთა ასოციაციის მიერ გამოცხადებული გაფიცვა ძალაშია, ერთი ტური უკვე ჩაიშალა, ახლა საფრთხე მეორე ტურს დაემუქრა, რომელიც 27-28 აგვისტოს უნდა გაიმართოს.

ბევრი მიიჩნევდა, რომ გადამწყვეტი გუშინდელი შეხვედრა უნდა გამომდგარიყო, მაგრამ მხარეებმა მოლაპარაკების მაგიდა ისე დატოვეს, კიდევ ვერ შეთანხმდნენ მთავარზე. მე-2 ტურიც ჰაერში გამოეკიდა...

თუმცა მთლად უნაყოფოც არ ყოფილა ეს მოლაპარაკება, მხარეებმა ერთმანეთს წარუდგინეს წინადადებები, რომლებსაც განიხილავენ და დღეს, საღამოს 4 საათისთვის (ესპანეთის დროით) ახლა უკვე გადამწყვეტი მოლაპარაკება გაიმართება, რომელიც გადაწყვეტს კიდევაც მე-2 ტურის ბედ-იღბალს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩების წინ

# ოლიჩის გარეშე

## ზოგი სასწაულს ელოდება, ზოგიც ფანებს

| დღეს | | |
|---|---|---|
| აპოელ (კვიპროსი)-ვისლა (პოლონეთი) | 22:45 | (I მატჩი 0:1) |
| გენკი (ბელგია)-მაქაბი ჰ. (ისრაელი) | 22:45 | 1:2 |
| მალმიო (შვედეთი)-დინამო ზ. (ხორვატია) | 22:45 | 1:4 |
| ვილიარეალი (ესპანეთი)-ოდენსე (დანია) | 22:45 | 0:1 |
| ციურიხი (შვეიცარია)-ბაიერნი (გერმანია) | 22:45 | 0:2 |
| **ხვალ** | | |
| რუბინი (რუსეთი)-ლიონი (საფრანგეთი) | 20:00 | 1:3 |
| პლზენი (ჩეხეთი)-კოპენჰაგენი (დანია) | 22:45 | 3:1 |
| შტურმი (ავსტრია)-ბატე (ბელარუსი) | 22:45 | 1:1 |
| ბენფიკა (პორტუგალია)-ტვენტე (ჰოლანდია) | 22:45 | 2:2 |
| უდინეზე (იტალია)-არსენალი (ინგლისი) | 22:45 | 0:1 |



ივიცა ოლიჩმა სერიოზული ტრავმა მიიღო



ეხებს უკვე თავი ქუდში აქვთ

დღეს-ხვალ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი საბოლოოდ დალაგდება, რასაც პარასკევს მონაკოში გასამართავი წილისყრა დააგვირგვინებს. სულ 10 ვაკანსიაღაა შესავსები, ბრძოლას საკვალიფიკაციო ბატალიებში 20 გუნდი შემორჩა. თითქმის ყველა დაპირისპირებაში დაძაბულ საპასუხო შეხვედრებს უნდა ველოდოთ, რადგან თითქმის არსად არაა გამოკვეთილი ჯგუფში შეღწევის ფავორიტი.

გამონაკლისია ჩეხეთის ჩემპიონ პლზენის „ვიქტორიასა“ და დანიური „კოპენჰაგენის“ დაპირისპირება. როგორც ჩანს, „პლზენი“ ისტორიაში პირველად ითამაშებს ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, რადგან პირველ მატჩში სტუმრად 3:1 დაამარცხა დანიის ჩემპიონი და, არა გვგონია, ამხელა უპირატესობა გაფლანგოს. **პაველ ვრბას** გუნდს სტატისტიკაც ხელს უწყობს, ევროთასებზე შინ ეს გუნდი მხოლოდ ერთხელ და ისიც შორეულ 1971 წელს დამარცხდა მიუნხენის „ბაიერნთან“.

შეგვიძლია, წინასწარ ჯგუფში გასვლა ზაგრების „დინამოსაც“ მივულოცოთ, ხორვატებმა ხომ შინ 4:1 გაანადგურეს „მალმიო“, თუმცა შვედთა ფორვარდი **აგონ მეჰმეთი** დანებებას არ აპირებს: *„ჩვენს უბრალოდ, უნდა დავიჯეროთ, რომ შეგვიძლია. ჩვენი წარმატების არც „რეინჯერსთან“ დაპირისპირების წინ სჯეროდათ, თუმცა დავამტკიცეთ, რომ პესიმისტები მწარედ სცდებოდნენ“*, - განაცხადა სკანდინავთა 21 წლის შემტევმა.

„დინამო“ სტუმრად შესაშური განწყობით მიდის, 4:1 მოგების შემდეგ გუნდმა ხორვატიის ჩემპიონატში სტუმრად 4:0 მოუგო „ოსიეკს“. არადა, მწვრთნელმა შინაურ პირველობაზე „დინამოს“ ვარსკვლავი **სამირი** დაასვენა, ისევე როგორც არ ათამაშა **ანტე რუკავინა**, **ივან კრსტანოვიჩი** და პორტუგალიელი მცველი **ტონელი**. „დინამოს“ ტრავმების გამო ლიგის მატჩზე არ ეყოლება, **მეჰმედ ალისპაჰიჩი** და **არიან ადემი**. არც პირველ თამაშში მიულია მონაწილეობა გამოცდილ **იგორ ბიშჩანს**.

სოლიდური, 2-ბურთიანი სხვაობით, მაგრამ ცუდი განწყობით მიემგზავრება „ბაიერნი“ შვეიცარიაში „ციურიხთან“ სათამაშოდ. ბავარიელებს ხორვატი ფორვარდი **ივიცა ოლიჩი** დაემტვრათ და ორ თვემდე ვადით გამოაკლდა. ოლიჩმა ტრავმა „ჰამბურგთან“ მატჩში (5:0 „ბაიერნის“ სასარგებლოდ) გოლის გატანისას მიიღო. სხვათა შორის, ეს 31 წლის ფორვარდის პირველი ბუნდესლიგური გოლი იყო 2010 წლის მაისის შემდეგ, ოლიჩს უიღბლობა თან სდევს, მუხლის ტრავმამ მას თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდინა. მან ახლა მენჯი დაიზიანა.

**ლადო დვალიშვილის** „მაქაბი“ ბელგიას სტუმრობს, სადაც „გენკთან“ მცირე უპირატესობა აქვს დასაცავი. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ებრაელებმა 2:1 მოიგეს, გამარჯვების გოლი კი ქართველმა თავდამსხმელმა გაიტანა. „გენკი“ ცუდ ფორმაშია, ბელგიის ჩემპიონატში ეს გუნდი „სერკლ ბრიუგესთან“ 2:3 დამარცხდა. მასპინძლებს არ ეყოლებათ: **კევინ დე ბრუინი** და **მარვინ ოგუნჯიმი**, ხოლო ახალწვეულ მეკარე **გრეგორჟ სანდომიერსკის** ჯერ ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება არა აქვს. „ჰაიფას“ შეტევაში პრობლემა არა აქვს ლადოსთან ერთად ბრწყინვალე ფორმაშია **ვეამ ამაშა,** რომელმაც ისრაელის ჩემპიონატის პირველ ტურში პოკერი შეასრულა. აი, დაცვაში კი გუნდს უჭირს, ხორვატი **იურიცა ბულიატი** კიდევ 2 თვეს ვერ დაეხმარება „მაქაბის“.

„ვილიარეალი“ კატასტროფიდან ერთ ნაბიჯზეა, ესპანურმა გუნდმა „ოდენსეს“ დანიური მარცხი (0:1) უნდა „ამოუქაჩოს“. „ყვითელი წყალქვეშა ნავი“ სათანადო ფორმამდე შორსაა, ამიტომ ყველაფერია მოსალოდნელი. სხვათა შორის, „ელ მადრიგალზე“ „ვილიარეალს“ „ოდენსესთვის“ ერთხელ 2:0 აქვს მოგებული, ეს 2004 წელს იყო. *„თუკი სტადიონი გაივსება, ფანტასტიკური საღამო შედგება. ამ შემთხვევაში, ჩვენს მეტოქეს კარგი არაფერი ელის“*, - ამბობს ესპანელთა 27 წლის ნახევარმცველი **ბრუნო სორიანო**.

ითამაშებენ თუ არა „ლიონი“, „ბენფიკა“ და „არსენალი“ ჯგუფურ ეტაპზე, ხვალ გადაწყდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გერმანია. ბუნდესლიგა

# კიკერის რჩეულნი



მარკო როისი

ტურის საუკეთესო ფეხბურთელად მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ თავდამსხმელი მარკო როისი დაასახელეს, რომელმაც უმაღლესი შეფასება - 1 მიიღო. საოცარია, მაგრამ ჯერჯერობით გლადბახელთა ბრწყინვალე ფორვარდი გერმანიის ნაკრების მწვრთნელთა ყურადღების მიღმა რჩება. მას ბუნდესლიგაში დებიუტი 2009 წელს ჰქონდა და მას შემდეგ 68 მატჩში 20 გოლი გაიტანა და 15 საგოლე პასი გააკეთა. „ვოლფსბურგთან“ მატჩში ჩვენებურმა 2 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასი გააკეთა. მარკო როისი 22 წლისაა.

გუშინ „კიკერმა“ ბუნდესლიგის III ტურის სიმბოლური ნაკრები შემოგვთავაზა, რომელიც 3-2-3-2 სქემის მიხედვითაა შედგენილი: **ტომ შტარკე** - 2 (ჰოფენჰაიმი, 1,5) - **დანიელ ვან ბუიტენი** (ბაიერნი, 2,0), **ბონფიმ დანტე** (გლადბახი, 2,0), **ფილიპ დაემსი** (გლადბახი, 2,0) - **ტიმი სიმონსი** (ნიურნბერგი, 2,0), **სიმონ როლფესი** (ლევერკუზენი, 2,0) - **არიენ რობენი** (ბაიერნი, 1,5), **თომას მიულერი** (ბაიერნი, 1,5), **მარკო როისი** (გლადბახი, 1,0) - **ჯეფერსონ ფარფანი** (შალკე, 1,5), **რაულ ბობადილია** (გლადბახი, 1,0).

საუკეთესოები „კიკერის“ შეფასებით

| ფეხბურთელი | კლ. | საშ. ქ |
|---|---|---|
| 1. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | გლადბახი | 1,83 |
| 2. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 2,33 |
| 3. მარკო როისი | გლადბახი | 2,33 |
| 4. ტომ შტარკე | ჰოფენჰაიმი | 2,33 |
| 5. რონ-რობერ ზილერი | ჰანოვერი | 2,33 |
| 6. ბონფიმ დანტე | გლადბახი | 2,50 |
| 7. კლემენს ფრიტცი | ვერდერი | 2,50 |
| 8. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 2,50 |
| 9. უილიამ კვისტი | შტუტგარტი | 2,50 |
| 10. მატს ჰუმელსი | დორტმუნდი | 2,67 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერო

# ჯილარდინოს მსურველები არ ელევა

## ნაპოლიც გააქტიურდა



ალბერტო ჯილარდინო

**ალბერტო ჯილარდინოზე** ნამდვილი ტაციაობაა გაჩაღებული და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "ფიორენტინას" დატოვება მოუწევს. აი, სად გააგრძელებს კარიერას, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. ერთი ხანობა, მის მომავალს ფრანგულ პსჟ-ს უკავშირებდნენ, რომელიც ისედაც გვარიანად გაძლიერდა და კიდევ აგრძელებს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას. ბოლო დღეებში ჯილას "ჯენოაში" შესაძლო გადასვლის შესახებ იწერებოდა, გენუური კლუბის პრეზიდენტმა კი ტრანსფერი განხორციელებულად გამოაცხადა. თუმცა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, **ენრიკო პრეციოზიმ** იჩქარა და 29 წლის თავდამსხმელი სულ ტყუილად გამოაცხადა "ჯენოას" ფეხბურთელად. ჯილა ჯერ კიდევ "ვიოლაშია" და ახალ-ახალ წინადადებებს იღებს. თუ არ გჯერათ, "ნაპოლის" პრეზიდენტს, **აურელიო დე ლაურენტისს** მოუსმინეთ:

*"თავდასხმის ხაზით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაძლიერებაზე უარი უნდა ვთქვათ. გულშემატკივრებს მაღალი კლასის ფორვარდის გადაბირებას შევპირდი და სიტყვას აუცილებლად ავასრულებ. რამდენიმე დღის წინ, "ფიორენტინას" მესვეურებს შევეხმიანეთ და ალბერტო ჯილარდინოს შესახებ ჩამოვუგდეთ სიტყვა. მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და დიდი შანსია, წარმატებით დასრულდეს. დღეს, უფრო მეტს და საინტერესოს ვერაფერს გეტყვით, თუმცა ყველაფერი მალე გაირკვევა"*.

"კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, დე ლაურენტისმა ფლორენციელ კოლეგას ჯილარდინოს სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შესთავაზა, რაც დელა ვალეებს ეცოტავათ. ლაპარაკია იმაზე, რომ თანხა 15 მილიონამდე გაიზარდოს – ყველაფერი მართლაც რამდენიმე დღეში გაცხადდება.

**ლაშა წიკლაური**

რომა

# დი ბენედეტო: ტოტი საუკეთესოა

წინა ნომერში გაცნობეთ, რომ **ფრანჩესკო ტოტიმ** უკვე აუშვა აფრები და **ლუის ენრიკე** სასტიკად გააკრიტიკა. ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ესპანელმა სპეციალისტმა "სლოვანთან" ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობის მიღმა დატოვა. ტოტიმ ენრიკეს საჯაროდ მოუწოდა, რომ წარსულ დამსახურებებს და გამოცდილებას მეტი პატივისცემით მოეკიდოს. მოკლედ, პუპონე გაცხარდა, ასეთ დროს კი მას ყველაზე მეტად ერთ-ორი ტკბილი სიტყვა შველის. როგორც ჩანს, კლუბის ახალმა მეპატრონე **ტომას დი ბენედეტომ** მისი ხასიათი კარგად შეისწავლა და პრესასთან შემდეგი განცხადება გააკეთა:

*"საშუალო კლასის მეტოქესთან მარცხი ყველას გვეწყინა, მაგრამ უმჯობესია ემოციები მოვთოკოთ და ჩვენი საქმე მშვიდად ვაკეთოთ. შეხვედრას მივადევნე თვალი და მიუხედავად ხარვეზებისა, დავრწმუნდი, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. რაც შეეხება ტოტის გულისწყრომას, ესეც სავსებით ბუნებრივია, რადგან როდესაც შენი გუნდი მარცხდება, გსურს, რომ მოედანზე იყო და თანაგუნდელებს დაეხმარო. ეს ფეხბურთია, სადაც ემოციების გარეშე არაფერი ხდება. ისე კი, მეც და ლუის ენრიკეც ტოტიზე უდიდეს იმედებს ვამყარებთ, ფრანჩესკო "რომას" ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელია და მას დაფასება არასდროს დააკლდება"*.

**ლაშა წიკლაური**



ფრანჩესკო ტოტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცინცხალი რეპორტაჟები ევრობასკეტიდან ქართველი გულშემატკივრისთვის

ევროპის ჩემპიონატის გახსნამდე ერთი დღით ადრე, 30 აგვისტოს, კლაიპედაში „ლელოს" კორესპონდენტი - **ვაჟა სიმონიშვილიც** ჩავა. საქართველოს ნაკრების მსგავსად, ისიც სასტუმრო „ამბერტონში" იცხოვრებს და მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდებას არა მხოლოდ კლაიპედის საკალათბურთო დარბაზიდან, არამედ ჩვენი ქვეჯგუფის ყველა ბინადრის დისლოკაციის ადგილიდან, ანუ შიდა სამზარეულოდანაც შეძლებს. გარდა ამისა, „ლელოს" ჟურნალისტი რეპორტაჟებს „პალიტრა TV"-სთვისაც მოამზადებს, საქართველოს ნაკრების მატჩების მსვლელობისას კი რადიო „პალიტრას" პირდაპირ ეთერში რამდენჯერმე ჩაერთვება. სპორტული გაზეთის კორესპონდენტის „ცინცხალი" რეპორტაჟები ქართველი გულშემატკივრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

# ზაზას ეშინია ლატვიას

## ფაჩულიას აბსოლუტური სანაკრებო რეკორდი – 42

ლატვიასთან გუშინდელი მატჩის შემდეგ ბალტიისპირელებმა **ზაზა ფაჩულიას** კავკასიელი „ტერმინატორი" უწოდეს. შეგახსენებთ, რომ ჰოლივუდურ ფილმში „ტერმინატორი", **არნოლდ შვარცნეგერი** მარტოდმარტო უამრავ მოწინააღმდეგეს უსწორდება. ფაქტობრივად, გუშინ, ლატვიელებთან მატჩის ბედიც მარტო ფაჩულიამ გადაწყვიტა - 42 ქულა ჩააგდო, რაც აბსოლუტური სანაკრებო რეკორდია. ზაზამ თავისივე რეკორდი მოხსნა: 2007 წლის 23 ივლისს მაკედონიასთან 39 წუთში 39 ქულა ჰქონდა მოგროვილი. ამჯერად კი 42 ქულის ჩასაგდებად 29(!) წუთიც ეყო.

ეს არაოფიციალურ შეხვედრებში. ოფიციალურ მატჩებში სანაკრებო რეკორდიც ზაზა ფაჩულიას ეკუთვნის. მან 2006 წელს ფინეთში 36 ქულა მოაგროვა, 2009 წელს კი თბილისში სლოვაკეთს 34 ქულა ჩაუგდო...

ზემოთ კი ვთქვით, ლატვიელებს მარტო ზაზამ მოუგოო, მაგრამ მასაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ თანაგუნდელთა დახმარების გარეშე ვერც თავად დაამყარებს რეკორდებს და ვერც გუნდი მოიგებს. ლატვიასთან ქართველებმა შეატყვეს, რომ მეტოქეს ფაჩულიას შემჩერებელი არ ჰყავდა და თამაში კაპიტანზე ააწყვეს. ასეთმა ნაბიჯმა გაამართლა - მთელი თამაშის განმავლობაში ეფექტურმა ფაჩულიამ ბოლო წამებზეც უშეცდომოდ ითამაშა და საქართველომ 83:79 გაიმარჯვა.

ახლა უშუალოდ გუშინდელი მატჩის შესახებ. იგი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ 2 ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ტაიმი ჩაატარა. პირველში **იგორ კოკოშკოვის** გუნდი ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე, ხოლო მეორეში მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

პირველმა ტაიმმა ორმხრივ შეტევებში და შეცდომებში ჩაიარა. ლატვიელები იოლად გადიოდნენ სასროლ პოზიციაზე. მართალია, მასპინძლები ბევრს აცილებდნენ, თუმცა საკმარისადაც ჩააგდეს და პირველი მეოთხედი 7 ქულითაც მოიგეს. საქართველოს ნაკრების კალათბურთელები შეტევაში ბევრ შეცდომას უშვებდნენ, იქნებოდა ეს ბურთის დაკარგვა, არაზუსტი ტყორცნა თუ შეტევაში ჯარიმა. შეცვლებმა ბევრი ვერაფერი შეცვალა. **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა, გიორგი შერმადინმა** და **მარკიზ ჰაინსმა** ჩვენების თამაშს აგრესია ვერ შემატეს. ერთ ეპიზოდში იგორ კოკოშკოვის გუნდმა ოდნავ გამოასწორა დაცვა და შედეგად ანგარიშის გაბათილებაც შეეძლო, მაგრამ ფართან პირისპირ დარჩენილ მარკიზ ჰაინესს მეურვე წამოეწია და დაუფარა. მომდევნო ორ შეტევაში ლატვიელებმა 2 სამქულიანი ჩააგდეს და პირველი მეოთხედი ხელჩასაჭიდი უპირატესობით – 20:13 მოიგეს.

მეორე მეოთხედის დასაწყისში მოედანზე პირველად გამოჩნდა **თორნიკე შენგელია**, რომელმაც კარგი პასები მიიღო თანაგუნდელებისგან და ფარქვეშიდან ბურთი ორჯერ ჩააგდო. ლატვია პრესინგზე გადავიდა, რაც კარგად გამოუვიდათ. პირველი ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ბალტიისპირელების უპირატესობამ 10-ქულიან ზღვარს გადააჭარბა – 32:21.

კოკოშკოვმა მოედანზე ძირითადი ხუთეული დააბრუნა. ზაზა ფაჩულიამ ზედიზედ 3 შეტევა შედეგიანად დაასრულა, **ვიქტორ სანიკიძემაც** სამიანი ჩააგდო და ჩვენებმა ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირეს – 30:37. თუმცა, მასპინძლებმა ბოლო შეტევა შედეგიანად დაასრულეს და ლატვია დიდ შესვენებაზე ათქულიანი ლიდერობით გავიდა – 44:34. ერთი საინტერესო მომენტი: ლატვიელებმა პირველ ტაიმში 22 სამქულიანი ისროლეს, ჩვენებმა კი – 4.

მესამე მეოთხედი საქართველოს შტურმით დაიწყო. კოკოშკოვის გუნდი მთლიანად გარდაისახა. ქართველებმა დაცვა გაამაგრეს და ამით შვება იგრძნეს. ჩვენებმა საწყისი 3 წუთი 12:2 მოიგეს და ანგარიში გაათანაბრეს – 46:46. დაცვაში კარგ თამაშს შეტევაში წარმატებული გარჯაც დაერთო, რაშიც ზაზა ფაჩულია გამოირჩეოდა. ზაზას **მანუჩარ მარკოიშვილიც** შეეშველა, რომელმაც შორი სროლაც ჩააგდო და გამოჩნდა გზა, რასაც სტუმრები საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიეყვანა.

| ლატვია-საქართველო | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 09:24 | შტრელნიეკსი 3ქ (1:0) |
| 09:02 | ფაჩულია 2ქ (3:2) |
| 08:51 | შტრელნიეკსი 2ქ (5:2) |
| 07:47 | კუკსიკსი 2ქ (7:2) |
| 07:29 | მარკოიშვილი 2ქ (7:4) |
| 07:12 | მეიერსი 2ქ (9:4) |
| 06:56 | ფაჩულია 2ქ (9:6) |
| 06:37 | ბლუმსი 3ქ (12:6) |
| 06:20 | ვ. ბოისა 1ქ (12:7) |
| 05:50 | ვ. ბოისა 2ქ (12:9) |
| 05:26 | ბლუმსი 2ქ (14:9) |
| 04:13 | კუკსიკსი 1ქ (15:9) |
| 03:55 | ფაჩულია 2ქ (15:11) |
| 02:27 | სანიკიძე 2ქ (15:13) |
| 01:35 | ბერტანსი 2ქ (17:13) |
| 00:59 | ბლუმსი 3ქ (20:13) |
| **II პერიოდი** | |
| 08:54 | ცქიტიშვილი 2ქ (20:15) |
| 08:34 | შელაკოვსი 2ქ (22:15) |
| 08:12 | შენგელია 2ქ (22:17) |
| 07:48 | შელაკოვსი 2ქ (24:17) |
| 07:22 | შენგელია 2ქ (24:19) |
| 05:15 | მეიერსი 2ქ (26:19) |
| 04:59 | მარკოიშვილი 2ქ (26:21) |
| 04:54 | შტრელნიეკსი 2+1ქ (29:21) |
| 04:22 | კუკსიკსი 3ქ (32:21) |
| 04:00 | ფაჩულია 2ქ (32:23) |
| 03:40 | შტრელნიეკსი 3ქ (35:23) |
| 03:24 | ფაჩულია 2ქ (35:25) |
| 03:05 | კუკსიკსი 2ქ (37:25) |
| 02:45 | ფაჩულია 2ქ (37:27) |
| 02:08 | სანიკიძე 3ქ (37:30) |
| 01:40 | ბლუმსი 2ქ (39:30) |
| 01:06 | ჟეროშნავსი 3ქ (42:30) |
| 00:46 | ცინცაძე 2ქ (42:32) |
| 00:22 | ჰეინსი 2ქ (42:34) |
| 00:01 | კუკსიკსი 2ქ (44:34) |
| **III პერიოდი** | |
| 09:48 | ფაჩულია 2ქ (44:36) |
| 09:22 | ბლუმსი 2ქ (46:36) |
| 09:01 | მარკოიშვილი 3ქ (46:39) |
| 08:08 | ფაჩულია 2ქ (46:41) |
| 07:21 | მარკოიშვილი 3ქ (46:44) |
| 06:46 | ფაჩულია 2ქ (46:46) |
| 06:21 | ბერზინსი 2ქ (48:46) |
| 05:59 | სანიკიძე 3ქ (48:49) |
| 04:40 | ბლაუსი 1ქ (49:49) |
| 04:24 | ფაჩულია 2+1ქ (49:52) |
| 03:56 | ცქიტიშვილი 2ქ (49:54) |
| 03:40 | ვაიროგსი 1ქ (50:54) |
| 03:19 | ფაჩულია 2ქ (50:56) |
| 03:06 | ბლუმსი 2ქ (52:56) |
| 02:09 | ფრეიმანისი 3ქ (55:56) |
| 01:35 | შელაკოვსი 1ქ (56:56) |
| 01:35 | ბლუმსი 2ქ (58:56) |
| 01:23 | ბერტანსი 2ქ (60:56) |
| 00:56 | ვაიროგსი 1ქ (61:56) |
| 00:15 | ბერტანსი 2ქ (63:56) |
| 00:03 | მრკოიშვილი 3ქ (63:59) |
| **IV პერიოდი** | |
| 09:10 | ცქიტიშვილი 2ქ (63:61) |
| 08:05 | ცქიტიშვილი 3ქ (63:64) |
| 05:40 | ფაჩულია 2+1ქ (63:67) |
| 05:05 | ბლუმსი 2ქ (65:67) |
| 04:47 | ფაჩულია 2ქ (65:69) |
| 04:24 | ბლუმსი 2ქ (67:69) |
| 03:54 | კუკსიკსი 2ქ (69:69) |
| 03:42 | ფაჩულია 2ქ (69:71) |
| 03:21 | შტრელნიეკსი 2ქ (71:71) |
| 03:02 | ფაჩულია 2ქ (71:73) |
| 02:18 | ფაჩულია 2ქ (71:75) |
| 02:09 | ბლუმსი 2ქ (73:75) |
| 01:22 | ფაჩულია 2ქ (73:77) |
| 01:00 | ფაჩულია 2ქ (73:79) |
| 00:52 | ბლუმსი 3ქ (76:79) |
| 00:21 | შტრელნიეკსი 2+1 (79:79) |
| 00:20 | ფაჩულია 2ქ (79:81) |
| 00:00 | ფაჩულია 2ქ (79:83) |



თუმცა, მეოთხე პერიოდის წინ მაინც ლატვიელები დაწინაურდნენ: 63:59. ამან ფაჩულია და ცქიტიშვილი არ შეაშინა, მეოთხე რაუნდის დასაწყისში 8:0 გაქცევა მოაწყვეს, სირენამდე 5:40 წუთით ადრე 67:63 დაწინაურდნენ. ამ მომენტისთვის ზაზას უკვე მოგროვილი ჰქონდა 26 ქულა (12-დან 10 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო).

ლატვიელთა ლიდერი იანის ბლუმსი არ დანებდა და მისი შეწევნით ლატვიამ ანგარიში მალე გაათანაბრა: 71:71. ფაჩულია კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო და ჩვენები ისევ 4 ქულით დააწინაურა – 75:71.

დარჩენილ დროში დრამა გათამაშდა. ლიტველები მოსაგებად გაიწიენ, მათ კი პასუხს მხოლოდ ფაჩულია აძლევდა. მატჩის დასრულებამდე 1 წუთით ადრე ქართველები 6 ქულით წინ გავიდნენ – 79:73. თითქოს, ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, თუმცა ბლუმსმა (3 ქულა) და **შტრელნიეკსმა** (2+1) კიდევ ერთხელ გაათანაბრეს - 79:79. სირენამდე 21 წამი რჩებოდა, როცა ფაჩულიამ საჯარიმოების სროლის უფლება მოიპოვა და ზუსტი ტყორცნებით საქართველო 2 ქულით დააწინაურა. 20 წამში ლატვიელებმა ვერაფერი მოახერხეს, ზაზამ კი საფინალო ანგარიში ქართველთა სასარგებლოდ დააფიქსირა: 83:79.

**ამხანაგური მატჩი**

**22 აგვისტო**

**რიგა. ლატვია**

**ლატვია-საქართველო 79:83**

20:13, 24:21, 19:25, 16:24

| ლატვია | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | შ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაი. ბერტანსი | 16 | 3/3 | 1/5 | 0/0 | 0 | 2 | 0 | 1 | 9 |
| ფრეიმანისი | 18 | 0/1 | 0/2 | 0/0 | 1 | 2 | 0 | 4 | 0 |
| ბლუმსი | 30 | 3/8 | 3/11 | 10/10 | 4 | 2 | 1 | 2 | 25 |
| კუკსიკსი | 24 | 4/5 | 1/4 | 1/2 | 3 | 1 | 1 | 3 | 12 |
| ჟეროშნავსი | 5 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 2 | 0 | 1 | 0 | 3 |
| ვაიროგსი | 14 | 0/2 | 0/0 | 2/4 | 4 | 0 | 1 | 1 | 2 |
| შტრელნიეკსი | 29 | 4/6 | 2/6 | 2/2 | 2 | 3 | 1 | 2 | 16 |
| ბერზინსი | 19 | 1/1 | 0/4 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2 |
| შელაკოვსი | 21 | 2/3 | 0/0 | 1/2 | 4 | 0 | 1 | 1 | 5 |
| ბლაუსი | 9 | 0/0 | 0/0 | 1/2 | 0 | 0 | 2 | 5 | 1 |
| დავ. ბერტანსი | 4 | 0/1 | 0/1 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| მეიერსი | 9 | 2/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 2 | 4 | 4 |

| საქართველო | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | შ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 8 | 0/1 | 0/1 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 |
| ვ. ბოისა | 23 | 1/4 | 0/0 | 1/3 | 2 | 3 | 0 | 2 | 3 |
| ფაჩულია | 29 | 14/17 | 0/0 | 14/14 | 6 | 3 | 2 | 4 | 42 |
| ცინცაძე | 27 | 1/1 | 0/2 | 0/0 | 3 | 3 | 2 | 3 | 2 |
| შერმადინი | 10 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 5 | 0 | 1 | 1 | 0 |
| მარკოიშვილი | 27 | 2/3 | 3/7 | 0/0 | 5 | 2 | 7 | 3 | 13 |
| სანიკიძე | 28 | 1/2 | 2/4 | 0/0 | 3 | 2 | 1 | 1 | 8 |
| ცქიტიშვილი | 17 | 1/1 | 1/3 | 4/4 | 3 | 1 | 1 | 3 | 9 |
| შენგელია | 12 | 2/2 | 0/0 | 0/0 | 1 | 1 | 3 | 2 | 4 |
| ჰეინსი | 18 | 0/2 | 0/1 | 2/4 | 2 | 2 | 1 | 3 | 2 |

### საქართველოს ნაკრების მეტოქენი

# რუსეთი და სლოვენია ლიტვასთან და ესპანეთთან

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე რუსეთმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და ლიტვის ნაკრები კვლავ დაამარცხა. რუსებმა ამას წინათ მოსკოვში მოუგეს ლიტველებს, ახლა კი სტუმრადაც მიაღწიეს წარმატებას.

მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 4 ქულით მოიგეს, თუმცა მეორე პერიოდი სტუმრების იყო – რუსეთმა 29:17 იმარჯვა და ამის შემდეგ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. საბოლოოდ **დევიდ ბლატის** დამოძღვრილმა სლავებმა 88:80 მოიგეს.

რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში სტაბილურობით **ვიტალი ფრიდზონი** გამოირჩევა, რომელიც გამუდმებით სცდება 10-ქულიან ზღვარს. მართალია, იგი ამჯერად მატჩის ბომბარდირი არ გამხდარა, თუმცა რუსებში მხოლოდ 16 ქულის მომხვეჭ **ტიმოფეი მოზგოვს** ჩამორჩა. ფრიდზონის ანგარიშზე 14 ქულა გახლდათ, ხოლო **ანდრეი კირილენკომ** 13-ს მოუყარა თავი.

ამასობაში ამხანაგური მატჩი გამართა ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების მეტოქე სლოვენიამაც, რომელიც ესპანეთთან 61:73 დამარცხდა.

**ამხანაგური მატჩი**

**ლიტვა-რუსეთი 80:88**

**29:25, 17:29, 16:18, 18:16**

**რუსეთი:** მოზგოვი (16), ფრიდზონი (14), კირილენკო (13), ვორონცევიჩი (11), შვედი (11), ხრიაპა (9), ბიკოვი (7), მონია (3), შაბალკინი (2). ვიალცევი (2), ხვოსტოვი, პანკრაშოვი, ვორონოვი

**ესპანეთი-სლოვენია 73:61**

**16:14, 20:11, 19:17, 18:19**

**სლოვენია:** სმოდიში (11), გორან დრაგიჩი (11), ზორან დრაგიჩი (10), ლაკოვიჩი (8), ლორბეკი (8), ბეჩიროვიჩი (4), შლოკარი (4), იაგოდნიკი (2), მურიჩი (2), ოზბოლტი (1)

# ბელგია გერმანიაში

გერმანიის ქალაქ ბამბერგში მიმდინარე ოთხთა ტურნირი საბერძნეთის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს მეტოქე ბელგიამ ბოლო ადგილი დაიკავა. ბელგიელებმა პირველი მატჩი გერმანიასთან 66:71 წააგეს, მეორეში კი 60:66 თურქეთთან დათმეს, ტურნირის ბოლო მატჩში საბერძნეთთან ვერას გახდნენ.

როგორც ყველა მანამდელი მატჩი, ბელგიელებმა ბერძნებთან შეხვედრაც კარგად დაიწყეს და პირველი მეოთხედის შემდეგ დაწინაურდნენ – 16:14. მცირე შესვენების შემდეგ კი საბერძნეთმა უპირატესობა მოიპოვა და მომდევნო 2 ათწუთეული დამაჯერებლად მოიგო. შედეგად ბერძნები გადამწყვეტი მეოთხედის წინ 16 ქულით დაწინაურდნენ. ბოლო პერიოდში ბელგიელებმა ჩამორჩენის 9 ქულამდე შემცირება მოახერხეს და საბოლოოდ 61:70 დამარცხდნენ.

ბელგიელთა შორის ბომბარდირი **მარკუს ფეისონი** გახდა, რომელმაც 13 ქულა დააგროვა, **დიმიტრი ლაუერსს** კი 11 ქულა დაუგროვდა.

ვინც ბამბერგის ტურნირს მიადევნა თვალი, დაგვეთანხმება, რომ ბელგიის ნაკრები მეტად შეკრული და ორგანიზებული გუნდია.

ტურნირის ბოლო მატჩში გერმანიამ თურქეთს მოუგო და მეორე ადგილი დაიკავა.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. გერმანია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. თურქეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 3 | 3 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ბაქოში ვაჟლების ქალაქის გავლით

**აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში 27 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე გასტანს მოკრივეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრების მეოთხედფინალისტები ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებს დაისაკუთრებენ. ამ ტურნირისთვის წლის დასაწყისიდან მონდომებით ემზადება საქართველოს მოკრივეთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის - ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის, მსოფლიოს და ევროპის სამგზის ჩემპიონის რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით.**


რამაზ ფალიანი

შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ბიჭებმა წლეულს რამდენიმე ერთობლივი წვრთნა ჩაატარეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან. მათ შორის - ბულგარელებთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან და ყაზახებთან. იქვე საერთაშორისო ტურნირებშიც იასპარეზეს. საიდანაც სხვადასხვა სინჯის 15 მედალი ჩამოიტანეს. ყველაზე მთავარი მაინც ევროპის ჩემპიონატი იყო, სადაც ნაკრების 10-მა მოკრივემ მოსინჯა ძალები. მათგან **ზაალ კვაჭატაძემ** (69 კგ), **ჯაბა ხოსიტაშვილმა** (75) და **მიხეილ ბახტიძემ** (მძიმე წონა) ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ნაკრების დანარჩენმა წევრებმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

ანკარიდან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ერთი კვირა შეისვენეს და რამაზ ფალიანის თავკაცობით სვანეთს ეწვივნენ საერთო ფიზიკური მომზადებისთვის. მერე ფოთში ჰქონდათ ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება. ამ დღეებში კი საჩემპიონატოდ ძირითადი ბირთვის გამოსაკვეთად თბილისში სპარინგშეხვედრები გამართეს.

გვესაუბრება ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რამაზ ფალიანი:**

- ფოთში 25 სპორტსმენი წავიყვანეთ. როგორც იქაურმა შეკრებამაც დაგვარწმუნა, აუცილებელი იყო ზოგიერთ წონაში მოკრივეთა გადაადგილება, რადგან ბევრს უჭირს შეჯიბრების წინ წონის დაკლება და რამდენიმე ათლეტის ევროპის ჩემპიონატზე მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ამიტომ კრივის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად სამ სპორტსმენს წონის შეცვლის უფლება მივეცით.

**- კი მაგრამ, მსოფლიომდე ცოტა დრო დარჩა და შეძლებენ ახალ წონაში ადაპტაციას?**

- შეძლებენ. ანკარაში 52 კილოში გამოდიოდა გიორგი კილანავა. იგი გამოცდილი მოკრივეა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში დამარცხდა 2 ქულით ფრანგ ელი კონკისთან. საქმე ის არის, რომ კილანავა რამდენიმე თვე პარიზში ვარჯიშობდა პროფესიონალებში, თან 54 კილოში და სპარინგპარტნიორად სწორედ ეს ფრანგი ჰყავდა. იქ იოლად უგებდა. აი, თურქეთში წონადაკლებულმა ქართველმა მოკრივემ, როგორც გითხარით, მასთან წააგო. ამიტომ გიორგის 56 კილოში გამოყვანა უპრიანიც იქნება.

**- ამ წონის ფავორიტი ნიკოლოზ იზორია?..**

- ევროპის ვერცხლის პრიზიორი, პეკინის ოლიმპიადის მონაწილე იზორია მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა რინგს და, ფაქტობრივად, უწინდელ კონდიციებს მიუახლოვდა. ბაქოს საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში მან თურქ ახმედს მოუგო, ნახევარფინალში რუსთა იმედი ილდარ ვაგანოვი დაამარცხა, ფინალი კი ყაზახეთის პირველ ნომერ განი ჯაიალატოვთან დათმო. კვარცხლბეკის მეორე საფეხურამდე მან 60 კილოში მიაღწია. ასე რომ, უმტკივნეულოდ მოხდება მისი 56-დან 60 კილოში ანაცვლება. რაც შეეხება წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ კობა ფხაკაძეს, იგი 64 კილოში იასპარეზებს. ისიც პროფესიონალებში ვარჯიშობდა 6 თვე, თანაც 62 კილოში. ასე რომ, ახალ წონასთან შეგუება არც მას გაუჭირდება. ევროპის ჩემპიონატზე 64 კილოში გამოდიოდა ბაკურ გოგოჭური, რომელმაც ტრავმის გამო აქტიურ სპორტს თავი დაანება და ახლა ნაკრების მწვრთნელებს ბიჭების მომზადებაში გვეხმარება.

**- სხვა წონებში რა მდგომარეობაა?**

- სპარინგორთაბრძოლებში ყველა ფავორიტმა თავისი ადგილი შეინარჩუნა. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ზემოთ ხსენებულ სპორტსმენებთან ერთად ემზადებიან ალექსანდრე ჭუბაბრია (49), სევერიან ჭილაძე (52), ზაალ კვაჭატაძე (69 კგ), ჯაბა ხოსიტაშვილი (75), იაგო კიზირია (81), ლევან გულედანი (91), მიხეილ ბახტიძე (+91), ასევე, დათო გოგიშვილი (91), ამბროსი თავაძე (75) და კოტე მამაგეიშვილი (+91).

**- არაფერი გითქვამთ ევროპის პრიზიორ და პეკინის ოლიმპიადის მონაწილე კახა ჟვანიაზე.**

- მართალი გითხრათ, მასზე არაფერი ვიცი. საწყენი კია, რომ ასეთი გამოცდილი მოკრივე, ფაქტობრივად, ჩამოგვცილდა - არც შეკრებებზე გამოცხადდა სვანეთსა და ფოთში, არც სპარინგებში მიიღო მონაწილეობა. არადა, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ მითხრა, დამოუკიდებლად მოვემზადებიო სპარინგებისთვის. ასე რომ, 69 კილოში დღეისთვის ზაალ კვაჭატაძეა ლიდერი.

**- უახლოეს გეგმებზე რას იტყვით?**

- 27 აგვისტოს ყაზახი კოლეგების მიწვევით ალმათის ვეწვევით. იქ კი მასპინძლებთან და ბრაზილიელებთან ერთად წინასაჩემპიონატო საწვრთნელ შეკრებას ჩავატარებთ. სპარინგშეხვედრებიც გვექნება. დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს თბილისში გავივლით. ბაქოში 22 სექტემბერს გავემგზავრებით, 27-ში კი, როგორც გითხარით, შეჯიბრება იწყება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა საქართველოს კრივის ფედერაციას, მის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილს, რომელმაც წლეულს ყოველმხრივ შეგვიწყო ხელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად. დიდი თანადგომა გაგვიწიეს სპორტის სამინისტრომ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. ბიჭების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფედერაციის გენერალურ მდივან ვლადიმერ ახალკაცს, აიბას საერთაშორისო არბიტრ ზურაბ ტიბუას, ასევე, ტარიელ გოგოჭურსა და ნაკრების მწვრთნელ თემურ ოჩიგავას. საერთო ძალისხმევით, ვეცდებით, ბაქოში ორი-სამი ლიცენზია მოვიპოვეთ.

● ძალოსნობა

# პირველი მედლები დღეს გათამაშდება


რამინ შამილიშვილი დღეს იწყებს

პოლონეთის ქალაქ ჩეხანოვოში დღეს დაიწყება 1994-1995 წლებში დაბადებულ ძალოსანთა ევროპის პირველობა, რომელშიც ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ზურაბ ანთაურის** ხელმძღვანელობით 5 ქართველი ათლეტიც იასპარეზებს.

დღესვე ცნობილი გახდება ვაჟთა 56 კილოში გამარჯვებულის ვინაობა. ჩვენგან ფიცარნაგზე გავა ჩაქველი დებიუტანტი **რამინ შამილიშვილი,** რომელიც ევროპის ძალოსნობის ფედერაციაში გაგზავნილ სპორტსმენთა წინასწარი შედეგებით (ორჭიდში 200 კგ) მეშვიდე-მეცხრე ადგილებს ინაწილებს. წონის ფავორიტია თურქი ოკან იილმაზი, რომლის პირადი რეკორდია ორჭიდში 230 კილოგრამი. მას რვა კილოთი ჩამორჩება რუსი ასალი აბდულგაშიმოვი, 22 კილოთი — იტალიელი მიჩელ დი ჯუსტო. თუმცა, ეს ყველაფერი პირობითია. პრიზიორის ვინაობას ჩეხანოვოს ფიცარნაგი გამოავლენს.

24 აგვისტოს დაუპირისპირდება მეტოქეებს მსგავსი პირველობის შარშანდელი პრიზიორი ქუთაისელი **შოთა მიშველიძე** (62), 25-ში ჩაქველი **ჯაბა ჩიბურდანიძე** და ზუგდიდელი **ბაჩანა ქუხალავა** (ორივე-69 კგ) იბრძოლებენ მედლებისთვის, 26 აგვისტოს კი ზუგდიდელი **თემურ პერტაია** მოსინჯავს ძალებს.

● ჭადრაკი

# 2 ხუთოსანი და 11 მდევარი

საბერძნეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალზე ასპარეზობის მონაწილენი გუშინ ორორჯერ მიუსხდნენ 64-უჯრიან დაფებს. მე-5 ტურში სამქულიანი **დავით ჯოჯუა** თეთრი ფიგურებით მასპინძელ ხრისტოს ბანიკასს დაუზავდა, **კონსტანტინე შანავამ** და **ლელა ჯავახიშვილმა,** შესაბამისად, ტატიანა კასპაროვას (ბელარუსი) და ანტონიოს სულოგიანოპულოსს (საბერძნეთი) სძლიეს და ქულებით ჯოჯუას გაუთანაბრდნენ.

მეექვსე ტურში წარმატებით ითამაშეს ქართველმა ვაჟებმა: ჯოჯუამ მასპინძელ თეოდოროს ცეკურასს აჯობა, ამ უკანასკნელის თანამემამულე ალექსანდროს გოგოლისს კი შანავამ გააჩერებინა საათი. ჯავახიშვილი თეთრი ფიგურებით დიდოსტატ იოანის ნიკოლაიდისს (საბერძნეთი) დაუზავდა.

ამდენად, ექვსი ტურის შემდეგ ჯოჯუას და შანავას 4,5-4,5 ქულა აქვთ, ჯავახიშვილს - 4 ქულა. გათამაშების ცხრილის სათავეში 5-5 ქულით დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა) და სერგეი ვოლკოვი (რუსეთი) მოექცნენ, რომლებმაც სუათ ატალიკი (თურქეთი) და სეტურამანი (ინდოეთი) დაჯაბნეს. 11 მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს.

დღეს მე-7 ტურის ორთაბრძოლებში შანავა ვლადიმირ ბაკლანს (უკრაინა), სუათ ატალიკი - ჯოჯუას, სერგეი კასპაროვი (ბელარუსი) ჯავახიშვილს შეხვდება. ხუთოსნები - ვოლკოვი და სვეტუშკინი ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას.

# მოგებაც, წაგებაც

ქართველი დიდოსტატები - **ანა მათნაძე** და **ლევან აროშიძე** ესპანეთის საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობენ, სადაც გუშინ მე-4 ტურის პარტიები გაიმართა. აროშიძემ შავი ფიგურებით იტალიელ სიმონე დე ფილომენოს მოუგო და 3 ქულას მოუყარა თავი. მათნაძე თეთრებით მიხალ მარინის (რუმინეთი) დანებდა და 2,5-ქულიან მონაგარს ვერაფერი შესძინა. შეჯიბრებაში უდანაკარგოდ 11 მოჭადრაკე დაწინაურდა. დღეს აროშიძე ან მარი გომესს (ინდოეთი), მათნაძე კი ალექსანდრ კარცევს (გერმანია) გაუწევს მეტოქეობას.

# თასის 128 მაძიებელი

ხანტი-მანსიისკში 27 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნება 2011 წლის ფიდეს მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელშიც მთავარი პრიზისთვის 46 ქვეყნის 128 წარმომადგენელი იასპარეზებს. მათ შორის უმაღლესი რეიტინგის მქონე დიდოსტატები: ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი), ვასილი ივანჩუკი(უკრაინა),ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), გატა კამსკი (აშშ), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი), ემილ სუტოვსკი (ისრაელი) და სხვები. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს გალელი **ბაადურ ჯობავა,** რომელიც მსგავს ტურნირებში მესამედ მოსინჯავს ძალებს. წინა ორში მან ორ-ორი წრე გადალახა, მესამეში ჯერ სერგეი რუბლიოვსკისთან, შარშან კი ალექსანდრ გრიშჩუკთან დამარცხდა..

წლეულს პირველ წრეში აზერბაიჯანელ **ნამიგ გულიევს** შეხვდება. წარმატების შემთხვევაში არმან პაშიკიანსა (სომხეთი) და რადოსლავ ვოიტაჟეკს (პოლონეთი) შორის გამარჯვებულთან გაარკვევს ურთიერთობას. თუ ამ ბარიერსაც წარმატებით გადალახავს, მაშინ მესამე რაუნდში ბადის მოპირდაპირე მხრიდან დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი)-სალეხ სალემისა (არაბთა გაერთიანებული საამირო) და ჰარიკრიშნა (ინდოეთი)-მაქსიმ როდშტეინის (ისრაელი) წყვილებში უძლიერესთა შორის მოგებულს დაუპირისპირდება.

შეჯიბრებაში ორი მანდილოსანიც მიიღებს მონაწილეობას - ქალთა მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი) და ვაჟებში წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი იუდით პოლგარი (უნგრეთი). ქალბატონებს მეტოქეობას, შესაბამისად, სერგეი მოვსესიანი (სომხეთი) და ფიდელ კორალესი (კუბა) გაუწევენ.

მსოფლიოს თასის გათამაშების ექვს რაუნდში ორ-ორი, ფინალში კი ოთხი კლასიკური პარტია გათამაშდება. ფრის შემთხვევაში გამარჯვებულს ბლიცპარტიები გამოავლენს.

პირველი წრის პირველი პაექრობა 28 აგვისტოს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**
ავტორის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა



● 60 წლის წინათ ლელო წერდა



# 1951 წლის აგვისტო

**თბილისის** სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ალპინიადისადმი მიძღვნილ წერილში ნათქვამია, რომ კავკასიონზე ორი მიმართულებით მოეწყო ექსპედიცია 134 სტუდენტის მონაწილეობით. ასვლები განხორციელდა მწვერვალებზე კაბარჯინზე და ყუროზე. ალპინიადას ხელმძღვანელობდა ო. გიგინეიშვილი.

**სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში** 120-მდე მწვრთნელი, მსაჯი და ფეხბურთელი დაესწრო ლ. ჩხაიძისა და ბ. თავართქილაძის გამოსაცემად გამზადებული წიგნის „ფეხბურთის თამაშის ტექნიკა" განხილვას.

**მოსკოვში „დინამოს" საკავშირო პირველობაზე საქართველოს მოცურავეები I ჯგუფში მოსკოვისა და უკრაინის შემდეგ გუნდურ მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ და 11 შესწორება შეიტანეს საქართველოს რეკორდების ცხრილში.**

**სოხუმში** ჭაბუკ მოფარიკავეთა 1951 წლის პირველობაზე სენსაცია მოახდინეს ზესტაფონელებმა - გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად. უფროს ასაკში პირველობა მოიპოვეს გ. გოგელიამ, გ. დათიაშვილმა, ო. ჩიქოვანმა და გ. დავთიანმა.

**თბილისის „დინამო" ფეხბურთში 1951 წელს სსრკ თასის გათამაშებაში პეტროზავოდსკში შეხვდა კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკის თასის მფლობელს ადგილობრივ „ლოკომოტივს" და 11:0 დაამარცხა.**

**სტუდენტთა** XI საზაფხულო მსოფლიო თამაშების (ბერლინი) ჩემპიონები სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში გახდნენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, დავით გოძიაშვილი (სამივე - კალათბურთი), ლევან სანაძე (მძლეოსნობა), რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა), ვასილ ილურიძე და გივი კარტოზია (ორივე - ჭიდაობა).

● ჩოგბურთი

# მცირე ცვლილებებით


სოფიო ქვაცაბაია

გუშინ WTA-ის და ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა, რომელთაც ქართველ ჩოგბურთელთა შედეგები დიდად არ შეუცვლიათ. WTA: 85 (-) **ანა ტატიშვილი** - 787 ქულა; 208 (+3) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 275; 213 (+2) **მაკა ჩახნაშვილი** - 273; 295 (+1) **სოფიო შაფათავა** - 185; 432 (+21) **ეკა გორგოძე** - 89; 460 (-12) **სოფიო ქვაცაბაია** - 78; 470 (+4) **თათია მიქაძე** - 75. ATP: 847 (-3) **ლადო ჩიხლაძე** - 13 ქულა; 1223 (-9) **გიორგი ცივაძე** - 3; 1504 (-8) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1. 19 წლის გორგოძე რეიტინგში ასე მაღლა არასოდეს ყოფილა.

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ერთმანეთს გორგოძე და ქვაცაბაია გადაეყარნენ. თანამემამულეთა დაპირისპირებაში უფრო გამოცდილმა ქვაცაბაიამ იოლად მოიგო - 6:0, 6:3. იმავე ეტაპზე მიქაძემ მე-8 ნომრად განთესილ ბულგარელ **იზაბელა შინიკოვასთან** (401) წააგო - 3:6, 1:6. მეორე წრეში ქვაცაბაიას მეტოქე ჩეხი **ევა ჰრდინოვაა** (469). სტამბოლის ტურნირის ძირითად ბადეში რეიტინგით შაფათავა მოხვდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ფოტომატიანე


საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები. 1928 წ.

● ჩვენი რაგბი და ჩვენ

# ფიქრები მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინში

**დასასრული.**
**დასაწყისი იხ. ლელო N 196**



ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერია დაიშალა. ოცი წლის წინათ ეროვნულ სტადიონზე გამოცხადდა, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გამოდის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან და ამიერიდან სათავეს აიღებს ეროვნული პირველობა. ამ მოწოდებას მხარი დაუჭირეს მორაგბეებმა, კალათბურთელებმა, ხელბურთელებმა, წყალბურთელებმა და ა.შ. გულზეხელდადებულებმა და აღტყინებულებმა ვიმღერეთ ჩვენი ქვეყნის ჰიმნი, მართლაც დაუჯერებელი რამ მოხდა, ქვეყანამ ექვსსაუკუნოვანი სანატრელი დამოუკიდებლობა მოიპოვა, წინ დიდი მომავალი გველოდა, პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც და... სპორტულიც, ანუ საქართველო გახდება სოკ-ის, ფიფას უეფას, ფირას, ფილას, ირბის... სხვა უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრი; ოლიმპიადებზე, მსოფლიო, ევროპის და ა.შ. ჩემპიონატებზე ქართველი სპორტსმენები, პლანეტის წინაშე წარსდგებიან, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის გუნდები, აჟღერდება საქართველოს ჰიმნი, აფრიალდება საქართველოს დროშა. ეს ყველაფერი მაშინ დაუჯერებლად გვეჩვენებოდა. ერთადერთი, რაც გვაწუხებდა და რაზედაც იმ ისტორიულ დღეს „დინამოს" სტადიონზე შეკრებილები ვმსჯელობდით, იყო ის, თუ რით და როგორ უნდა შეივსოს დიდი ვაკუუმი, რომელიც საკავშირო შეჯიბრებების შეწყვეტით წარმოიშვება, ვის უნდა ვუგულშემატკივროთ ისე, როგორც, მაგალითად, „დინამოს" ფეხბურთელებს, რომლის თამაშებზე ბილეთის შოვნაც კი ყოველთვის პრობლემა იყო. ზეპირად ვიცოდით ამ გუნდის წლიური განრიგი, აქაურ ტრიბუნებს ხომ პირამდე ვავსებდით, - გასვლით თამაშებზეც, დიდი ამალით თან დავყვებოდით.

სანახაობაა ყველანაირი გართობა და სპორტული პაექრობა, ნაკრებების თამაშები ხომ მისი მწვერვალია. მაგრამ ამ უკანასკნელის სიმწირის გამო, ყველა ნორმალურ ქვეყანაში სანახაობის ღერძი და ხერხემალი - შიდა ჩემპიონატია,

**მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რომ რაგბის „განიავების" პროცესი შევაჩეროთ და ეს თამაში ვაქციოთ ჭეშმარიტ სახალხო სანახაობად**

საკუთარი კერპი-კლუბის ენერგიული მხარდაჭერის, მისდამი უსაზღვრო სიყვარულის, მუდმივმოქმედი, უსასრულო პროცესია - დღესასწაულის ან მისი მოლოდინის პირობებში. ვის გაუგია სანახაობა მაყურებლის გარეშე?!

სპორტის სამინისტროც და ფედერაციებიც ძალისხმევას არ იშურებენ ქვეყნის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად - მოვაწყეთ, გავარემონტეთ სტადიონები, ავაშენეთ ახალი შესანიშნავი სავარჯიშო კომპლექსები, სახელმწიფო უზარმაზარ თანხებს დებს სპორტში, კერძოდ რაგბიში და ეს ყველაფერი ხდება იმის გულისთვის, რომ ჩვენ მიერ მომზადებულმა ბიჭებმა გაართონ უცხოეთის სტადიონებზე მისული მაყურებელი? ჩვენ კი დავკმაყოფილდეთ, ნაკრების შინ წელიწადში ერთი-ორი თამაშით ან იმაზე ფიქრით, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ბიჭები, ანუ ე.წ. „ლეგიონერები"(?) მოიგებენ თუ არა რომელიმე ე.წ. „ხარეიტინგო" შეხვედრას? წელიწადში ერთი-ორი, ან ოთხ წელიწადში სამი-ოთხი თამაში (თანაც ტელევიზორში), ჩემი აზრით, არ არის ის, რასაც რაგბიდან მოველით. უცხოეთში, ქართველ მორაგბეებზე მოთხოვნები დღითი დღე იზრდება, რაგბი იქცა მიგრაციის ერთ-ერთ ლეგალურ წყაროდ, მოთხოვნებია არა მხოლოდ ჩამოყალიბებულ პროფესიონალებზე, მოთხოვნებია წამოჩიტულ მორაგბეებზეც, უცხოური სარაგბო კოლეჯებიც კი გვთავაზობენ თავიანთ სამსახურს. პროცესის ასე გაგრძელების შემთხვევაში, მაყურებელი, რომელსაც მოვუწოდებთ იარონ რაგბის მატჩებზე, მართლაც აღმოჩნდებიან დაბალი ხარისხის თამაშის მოწმენი და საბოლოო ჯამში, ინტერესი ამ თამაშის მიმართ, რადიკალურად შემცირდება.

ნინაალმდეგი, რომ რომელიმე მოთამაშე წავიდეს უცხოურ კლუბში, - არავინ არის, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ჩვენზე (ანუ, საზოგადოებაზე) და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რომ რაგბის „განიავების" პროცესი შევაჩეროთ და ეს თამაში ვაქციოთ ჭეშმარიტ სახალხო სანახაობად. მდგომარეობის გამოსწორების ერთ რეცეპტად, მენტალობის შეცვლა და შიდა ჩემპიონატებზე მაყურებლის მოზიდვა-დასწრების ტრადიციის დამკვიდრება მესახება (კარგი იქნება, თუ ამაში ფანებთან ერთად, ინიციატივას ადგილობრივი ხელისუფლებაც გამოიჩენს). მეორე რეცეპტი, მთავარი და უმთავრესი კი, რა თქმა უნდა, ფინანსებია. წინდაწინ აღვნიშნავ, რომ ფეხბურთისგან განსხვავებით, ჩვენს ლეგიონერებს, ერთი-ორის გამოკლებით, ანაზღაურება მიზერული აქვთ. მხოლოდ იმდენი, რომ თავი შეინახონ.

ფინანსური ფონდის შექმნა მატერიალურად უზრუნველყოფს და გადააფიქრებინებს ჩვენს წამყვან ან პერსპექტიულ მორაგბეებს ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ წასვლას. ამ ფონდის შექმნის რეალობა მას შემდეგ დამებადა, როცა ძალიან, ძალიან ბევრი ადამიანის, მათ შორის, არამდიდარის, რაგბისადმი განწყობა გახდა ჩემთვის ცნობილი: ამ ბიჭებისთვის ბოლო ლარს გაიღებო.

ორივე რეცეპტი, რაგბისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი, მაგრამ საზოგადოებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ლაკმუსის ქაღალდი იყოს, მისი შესაბამისობისა თანამედროვეობასთან ანუ ე.წ. „დასავლურობასთან".

რაც შეეხება „სუფთა" სარაგბო რეცეპტებს, საქართველოს რაგბის კავშირში ჩემზე კარგად იციან, რომ საჭიროა ადგილობრივი კლუბების გაძლიერება, მათთვის სპონსორის მოძიება, ან მისი, როგორც სააქციო საზოგადოებად გარდაქნა; საჭიროა კალენდრის, ანუ თამაშების განრიგის სტაბილურობა და ტრადიციულობა, რაც ნიშნავს, რომ მაყურებლისთვის, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, რომ, მაგალითად, ყოველ შაბათს ან კვირას, ერთსა და იმავე სტადიონზე (თანაც კარგ სტადიონზე), ერთსა და იმავე დროს, მუდმივად წლის განმავლობაში, რომელი კლუბი და ვისთან იასპარეზებს; იციან, რომ საჭიროა ადგილობრივი თამაშების უწყვეტი, საზრიანი რეკლამა და ა.შ. დიახ, ისიც იციან, რომ საჭიროა არაორდინალური ხერხების მოგონება მაყურებლის თამაშებზე მოზიდვის მიზნით, ფინანსების მოპოვებისთვის ტოტალიზატორების, ლატარიის, სააბონემენტო და სხვა სისტემების დანერგვა და ა.შ. იციან და აკეთებენ კიდეც, თუმც ისიც იციან, რომ მათი ძალისხმევა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, თუ მასში, მთელი საზოგადოება აქტიურად არ ჩაერთვება.

...ნაკრების წარმატებასაც, ფეხბურთში იქნება ეს, კალათბურთში თუ რაგბიში, ერთი თავისებური, უცნაური და მარტივი ფორმულა აქვს: იმ ქვეყნის ნაკრებს, რომლის შიდა შეჯიბრებებზე მაყურებელი არ დადის და ადგილობრივ თამაშებზე სტადიონები ცარიელია, ანუ, ვიდრე თამაში არ იქცევა ჭეშმარიტ სახალხო სანახაობად - დიდ წარმატებაზე ფიქრი თავის მოტყუება იქნება და მეტი არაფერი.

**გივი მრელაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი


საქართველო-ბურგუნი

# ბორჯღალოსნები ერთი კვირით დაისვენებენ

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის საფრანგეთში ემზადება, შაბათს, ელიტური, მეორე დივიზიონის „ბურგუენთან" მატჩით წვრთნის მეორე ეტაპი დაასრულა. „ბორჯღალოსნები" ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** ერთი კვირით შვებულებაში გაუშვა. ამასთან უკვე ცნობილია, რომ გუნდის 32-კაციან შემადგენლობას ტრავმირებული **ზვიად მაისურაძე** და **გიორგი ბეგაძე** გამოაკლდა. დარჩენილი 30 კი ახალ ზელანდიაში გაემგზავრება.

საფრანგეთში ჩვენს ეროვნულ გუნდს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** სტუმრობდა, რომელმაც უშუალოდ მიადევნა თვალი ნაკრების მზადების პროცესს და „ბურგუენთან" მატჩიც იხილა.

*„ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადების ძირითადი ეტაპი დასრულებულია. ის მეტწილად ფიზიკური კონდიციების ამაღლებას და ცალკეული სათამაშო სქემების დახვეწას დაეთმო. ამ უკანასკნელზე მუშაობა კიდევ გაგრძელდება. საფრანგეთში მზადება საკმაოდ ინტენსიური იყო. ნაკრებმა ორი საწვრთნელი შეხვედრაც გამართა. უნდა ითქვას, რომ ბიჭები ძალიან დაიღალნენ და ეს ერთკვირიანი შვებულება, რომელიც გუნდის მოთამაშეებს მწვრთნელმა მისცა, სწორედ რომ დროული იყო.*

*ვფიქრობ, ფიზიკურად გუნდი კარგადაა მომზადებული. მსოფლიოს თასამდე დარჩენილ დროში კი ტაქტიკურ მონახაზებზე იმუშავებენ. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ორი თამაში საკმარისი არ იყო. სამწუხაროდ, ამის საშუალებას არ გვაძლევს მოკლე სათადარიგოთა სკამი. მეტი თამაში, მეტ ტრავმირებულ მოთამაშეს ნიშნავს. ამის ფუფუნება კი ჩვენ არ გვაქვს. მიმაჩნია, რომ მწვრთნელმა სწორი გადწყვეტილება მიიღო, როცა მხოლოდ ორი მატჩის გამართვა იკმარა.*

*დანარჩენი კი ახალ ზელანდიაში გამოჩნდება. ამჟამად მზადება მიდის პირველი მატჩისთვის შოტლანდიის ნაკრებთან. ეს გუნდი ჩვენზე ობიექტურად ძლიერია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები ძალების ისეთ კონცენტრაციას შეძლებენ და ისეთი თავდადებით ითამაშებენ, რომ სასწაულთან მიახლოებულ მოვლენასთან გვექნება საქმე. ჩვენ ძალიან გვჭირდება შოტლანდიასთან კარგი თამაში.*

*მერე კი, იქნება ინგლისი, შემდეგ ცოტა დასვენება და რუმინეთისა და არგენტინის ნაკრებებთან ბრძოლა. ერთი რამის თქმა გადაჭრით შემიძლია - საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში იმისთვის არ მიდის, რომ მეტოქეებს საჩუქრები ურიგოს. ჩვენთან თამაში არავისითვის იქნება ადვილი.*

*სამწუხაროა, რომ ტრავმების გამო ნაკრებს ზვიად მაისურაძე და გიორგი ბეგაძე გამოაკლდნენ. ზვიადს მუხლი აქვს საოპერაციო. მიკრო ტრავმები აქვთ ლაშა მალაღურაძეს და ილია ზედგინიძეს, მალხაზ ურჯუკაშვილმა ტრავმა საბოლოოდ ახლახან მოირჩინა.*

*რაც შეხება თამაშს, ანგარიშს ყურადღებას ნუ მიქცევთ. მეტოქე ყველაფერში დავჩაგრეთ, განსაკუთრებით შერკინებაში. უკანა ხაზელებმა შესანიშნავი ლელო გაიტანეს, ისეთი, რომელზეც ნებისმიერი გუნდი მოაწერდა ხელს. დაცვის ხაზი მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეს ერთხელაც არ გაუჭრია. ცხადია, არის ხარვეზებიც, რომლის აღმოფხვრაზეც მუშაობა მსოფლიოს თასის დაწყებამდე დარჩენილ დროში გაგრძელდება.*

*გუნდი ოთხ-ხუთ დღეში ისევ კანში შეიკრიბება და სამ სექტემბრამდე იქ ივარჯიშებს. მერე კი ახალ ზელანდიაში გაემგზავრება"*

### საქართველოს ნაკრები

**I ხაზი:** გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

**II ხაზი:** ილია ზედგინიძე (კარკერენი) გიორგი ნემსაძე (ვალანსი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

**III ხაზი:** ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), გიორგი ჩხაიძე (ლელო), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი).

**N:9:** ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია).

**N:10:** მერაბ კვირკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა ხმალაძე (ლელო).

**N:12-13:** ლაშა მალაღურაძე (უგუნდო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).

**N:11-14:** ლექსო გუგავა, ალექსანდრე თოდუა (ორივე-ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი).

**N:15:** მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).

### მსოფლიოს თასი

**14 სექტემბერი**
საქართველო-შოტლანდია

**18 სექტემბერი**
საქართველო-ინგლისი

**28 სექტემბერი**
საქართველო-რუმინეთი

**2 ოქტომბერი**
საქართველო-არგენტინა

მეტოქეები

# რობინსონმა ბიტი შინ დატოვა

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქის, შოტლანდიის ეროვნული გუნდის ინგლისელმა თავკაცმა, ენდი რობინსონმა 30-კაციანი შემადგენლობა გააცხადა.

მსოფლიოს თასზე წამსვლელთა შორის ვერ მოხვდა გამოცდილი მესამეხაზელი (N:8) **ჯონი ბიტი,** რომლის ნაკრებში ყოფნის აუცილებლობაზე შოტლანდიურ მედიაში ბევრი იწერებოდა, თუმცა რობინსონმა თავისებურად გადაწყვიტა. „სკოტებს" ახალ ზელანდიაში მორკინალი **ალისტერ კელოკი** უკაპიტნებს, რომელსაც აქამდე ეროვნულ გუნდში 34 კეპი მოუხვეჭია. ის „ნარშავებს" იმ ისტორიულ მატჩში „ყოჩობდა", როცა ორი წლის წინათ „მერიფილდზე" ავსტრალიის ნაკრებს მოუგეს.

შოტლანდიელთა რიგებში ყველაზე ახალგაზრდაა ქერათმიანი მეორეხაზელი **რიჩი გრეი,** რომელსაც 22 წელი ხვალ შეუსრულდება. გრეის პროგრესი ბოლო ხანს სწორედ რომ თვალსაჩინოა და ლამის ერთადერთია „სკოტთა" შორის, რომელსაც ნებისმიერი გუნდის დაცვის ხაზის გაჭრა ძალუძს.

ამასთან ერთად, „ნარშავებში" საკმაოდ არიან გამოცდილი ასაკოვანი მოთამაშეებიც. მათში ყველაზე სახელოვანია მგეზავი **კრის პატერსონი,** რომელისთვისაც ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშება მეოთხე იქნება. მას ეროვნულ ნაკრებში 105 კეპი აქვს მოხვეჭილი.

საინტერესოა, რომ ნაკრებში 13 კლუბის მოთამაშე მოხვდა. 30 მორაგბედან ნახევარი შოტლანდიაში თამაშობს, ნახევარიც ლეგიონერები არიან.

*„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას იმ პროფესიონალიზმისთვის, რომელიც გუნდის თოთოეულმა მოთამაშემ მოსამზადებელ პერიოდში გამოავლინა. სამწუხაროდ, რვა მორაგბეს დავემშვიდობეთ, მაგრამ ვინც შევარჩიეთ, დარწმუნებულნი ვართ, მზად არიან თავიანთი ქვეყნის ღირსების დასაცავად ყველაფერი ილონონ"* - თქვა ენდი რობინსონმა.

შოტლანდიელები საქართველოს ნაკრებს 14 სექტემბერს ინვერქარგილში დაუპირისპირდებიან.

### შოტლანდიის ნაკრები

შერკინება: **ჯონ ბარკლი, კელი ბრაუნი, გოფ კროსი, ალისტერ დიკინსონი, როს ფორდი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, ჯიმ ჰამილტონი, ნათან ჰაინსი, ალან იაკობსენი, ალისტერ კელოკი, სკოტ ლაუსონი, მორეი ლოუ, ევან მურეი, როს რენი, ალისტერ სტროკოში, რიჩი ვერნონი.**

უკანა ხაზი: **ჯო ანსბრო, მაიკ ბლერი, კრის კასიტერი, საიმონ დენიელი, ნიკ დე ლუკა, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, რორი ლამონტი, შონ ლამონტი, გრემ მორისონი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, რორი ლაუსონი**


რუმინეთის ნაკრები

# რუმინეთის ნაკრები საბრძოლველად მზადაა

მსოფლიოს თასზე საასპარეზო შემადგენლობა გამოაცხადა, „ბორჯღალოსანთა" კიდევ ერთი მეტოქის, რუმინეთის ეროვნული ნაკების ფრანგმა თავკაცმა, რობერ ანტონენმა.

„სტეუარიმ" ამ დღეებში ევროპის ერთა თასზე უკრაინის ნაკრებთან გამოტოვებული მატჩი გამართა და ექვსი ლელო გაიტანა. რუმინეთის ნაკრებში, რომელიც ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია, რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეა. მათ შორის ყველაზე მაღალი დონის და შესაბამისად ყველაზე საშიშნი, შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ** და მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა** არიან.

საკმაოდ სერიოზულ ძალაა „მუხის ფოთლებისთვის" მეორეხაზელი **კრისტიან პეტრე** და ფულბეკი **იულიან დუმიტრაში.** აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუმინელებს საგრძნობლად დაეტყობათ მესამეხაზელის, **ალექსანდრუ მანტასა** და მეორეხაზელის **სორინ სოკოლის** არყოფნა. მანტამ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, სოკოლს კი კონფლიქტი აქვს ნაკრების მწვრთნელ **რომეო გონტინიაკთან.**

რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებების დაპირისპირება 28 სექტემბერს პალმერსტონში გაიმართება.

### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: **ნიკოლაე ნერე, მიჰაიტა ლაზარი, სილვიუ ფლორეა, დრაგოშ დიმა, პაულიკა იონი, მარიუს ტინკუ, ბოგდან ზებეგა, ანდრე რადოი, ვალენტინ ურსაკე, კრისტიან პეტრე, ვალენტინ პოპირლანი, კოსმინ რატიუ, ოვიდიუ ტონიცა, მიჰაი მაკოვეი, დანიელ კარპო, დანიელ იანუსი, სტელიან ბურეა.**

უკანა ხაზი: **ლუჩან სირბუ, ვალენტინ კალაფეტეანუ, დანიც დუმბრავა, იონუც დიმოფტე, ჩაბა გალი, კონსტანტინ გეარა, იონელ კაზანი, კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ, სტეფან ჩუნტუ, ფლორინ ვლაიკუ, იულიან დუმიტრაში, კატალინ ნიკოლაე.**

ლეგიონერები

# ელიტური ლეგიონის ბოლო რეპეტიცია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი მომავალ უქმეებზე დაიწყება. ქართველ მორაგეთა გუნდები ელიტურ, პირველ დივიზიონში პირველი ტურის მატჩებს გამართავენ. მანამდე კი ძალები ბოლო საწვრთნელ შეხვედრებში მოსინჯეს.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა" ფდერალდივიზიონელ „კარკასონს" ეთამაშა და დიდ ანგარიშით 57:3 დაამარცხა. ხინჩაგიშვილი და კაკოვინი საქართველოს ნაკრებში არიან. ნატრიაშვილმა მეორე ტაიმში ითამაშა.

მოიგო **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმაც". ჩვენებურის გუნდი შინ იტალიურ „აირონს" ეთამაშა და 17:12 დაამარცხა. შეყლაშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო.

**გურამ კავთიძის** „ლიონი" კი ვერას გახდა ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „ლესტერთან" და 3:38 დამარცხდა. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" კი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებში მივლინებული უამრავი მოთამაშე აკლია, უელსური „ჰლანეჰლი" დაამარცხა - 17:6. ზირაქაშვილი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს თასისთვის ემზადება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი

# ნოვაკი წინ მიდის, როჯერს ეწევიან

ცინცინატის ტურნირის შემდეგ ATP-სა და WTA-ის რეიტინგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

მასტერსის ფინალში წაგების მიუხედავად, **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** კიდევ უფრო


ენდი როდიკი

გაზარდა უპირატესობა მეორე ადგილზე მყოფ **რაფაელ ნადალთან.** თავის მხრივ, **როჯერ ფედერერმა** ვერ დაიცვა შარშანდელი ტიტული და მას ცინცინატის ახალი ჩემპიონი - **ენდი მიურეი** მიუახლოვდა. ტოპ-ათეულში დაბრუნდა **ნიკოლას ალმაგრო**, ხოლო **დავიდ ფერერი** მეხუთე ადგილზე გადავიდა - მან **რობინ სიოდერლინგი** შეავიწროვა.

**გაელ მონფილმა მარდი ფიშს** გაუცვალა ადგილი, ხოლო **ენდი როდიკმა** პირველად ბოლო ათი წლის განმავლობაში დატოვა საუკეთესო ჩოგბურთელთა ოცეული.

■ ■ ■

ქალთა შორის ცინცინატის ტურნირის გამარჯვებულმა **მარია შარაპოვამ** სამი საფეხურით აიწია ზემოთ და ახლა მეოთხე ჩოგანია. შესაბამისად, მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა **ვიქტორია აზარენკა**. ფინალში გასვლამ **ელენა იანკოვიჩს** მსოფლიოს კლასიკიფაციის მე-12 საფეხური მოუტანა, რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ** კი სამი ადგილი დაკარგა.

ზედიზედ ორი სუპერტურნირის პირველ წრეში წაგების მიუხედავად, რეიტინგს ლიდერობს **კაროლინ ვოზნიაცკი**, ასევე შეინარჩუნეს მეორე და მესამე პოზიციები **ვერა ზვონარევამ** და **კიმ კლაისტერსმა**.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 13 920 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 11 420 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8 380 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 6 535 |
| 5(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 200 |
| 6(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 4 145 |
| 7(8). გაელ მონფილსი (საფ) | 3 165 |
| 8(7). მარდი ფიში (აშშ) | 2 820 |
| 9(9). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 2 690 |
| 10(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 380 |
| 11(10). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 350 |
| 12(12). ჟილ სიმონი (საფ) | 2 325 |
| 13(13). რიშარ გასკე (საფ) | 2 080 |
| 14(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 035 |
| 15(15). ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 1 980 |
| 16(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1 955 |
| 17(18). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 1 830 |
| 18(19). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 1 800 |
| 19(21). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 785 |
| 20(20). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 1 740 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 9 335 |
| 2(2). ვერა ზვონარევა (რუს) | 6 820 |
| 3(3). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 6 501 |
| 4(7). მარია შარაპოვა (რუს) | 6 346 |
| 5(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 5 995 |
| 6(6). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 5 761 |
| 7(5). ნა ლი (ჩინ) | 5 671 |
| 8(8). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 4 855 |
| 9(9). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 225 |
| 10(10). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 3 930 |
| 11(11). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 3 805 |
| 12(14). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 270 |
| 13(12). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 211 |
| 14(15). შუაი პენგი (ჩინ) | 2 705 |
| 15(16). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 595 |
| 16(13). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2 481 |
| 17(17). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 415 |
| 18(18). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 2 410 |
| 19(19). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 350 |
| 20(20). იულია გორჯესი (გერ) | 2 335 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 8 306 718 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 5 336 329 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 3 016 664 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 596 439 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 778 695 |
| 6. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1 323 473 |
| 7. მარდი ფიში (აშშ) | 1 213 426 |
| 8. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 182 423 |
| 9. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 171 489 |
| 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 162 581 |
| 11. ჟილ სიმონი (საფ) | 985 853 |
| 12. ბობ ბრაიანი (აშშ) | 867 189 |
| 12. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 867 189 |
| 14. ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 866 529 |
| 15. მიკაელ ლოდრა (საფ) | 847 038 |
| 16. გაელ მონფილსი (საფ) | 824 423 |
| 17. რიშარ გასკე (საფ) | 814 605 |
| 18. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 789 273 |
| 19. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 773 151 |
| 20. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 739 827 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 3 230 434 |
| 2. ნა ლი (ჩინ) | 3 199 263 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 2 683 975 |
| 4. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 2 525 784 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2 325 741 |
| 6. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 2 203 029 |
| 7. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1 380 726 |
| 8. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 374 683 |
| 9. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 230 091 |
| 10. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 987 419 |
| 11. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 972 327 |
| 12. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 893 534 |
| 13. საბინ ლისიცკი (გერ) | 746 629 |
| 14. შუაი პენგი (ჩინ) | 736 431 |
| 15. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 714 602 |
| 16. ფლავია პენეტა (იტა) | 696 188 |
| 17. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 680 289 |
| 18. მარია კირილენკო (რუს) | 677 840 |
| 19. დ. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 646 357 |
| 20. იულია გორჯესი (გერ) | 626 491 |

# სერია ფიშმა მოიგო

ვადაზე ადრე გაირკვა ამერიკული სერიის ტურნირების გამარჯვებული. ეს საპატიო ტიტული 29 წლის ამერიკელმა **მარდი ფიშმა** მოიპოვა, რომელსაც ამ მომენტისთვის 230 ქულა აქვს. მართალია, მისი დაწევა **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შეუძლია, მაგრამ სერბი ამ კვირას უინსტონ-სალემის ტურნირზე არ გამოდის და შესაბამისად, მარდის დაწევის შანსი აღარ დარჩა.

**US Open Series**

**კაცების ჩათვლა**

1. მარდი ფიში (აშშ) - 230
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) - 170
3. ენდი მიურეი (ბრიტ) - 100
4. გაელ მონფილსი (საფ) - 95
5. ერნესტ გულბისი (ლატ) - 85
5. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) - 85

**ქალების ჩათვლა**

1. სერენა უილიამსი (აშშ) - 170
2. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) - 130
2. მარია შარაპოვა (რუს) - 130
4. ვერა ზვონარევა (რუს) - 105
5. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) - 95
5. სამანტა სტოსური (ავსტრა) - 95

■ ■ ■

ცნობილი გახდა ორი ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებიც ამერიკის ღია პირველობის მამაკაცთა ტურნირს გამოტოვებენ.

ერთ-ერთია ამერიკელი **სემ კუერი**, რომელიც იდაყვის ტრავმის მკურნალობას განაგრძობს.

*„მცირე ხანი ვარჯიშიც კი ხელს მტკენს. ხუთსეტიანი მატჩებისთვის ძალა ნამდვილად არ მეყოფა. გარისკვა არ მსურს. კიდევ მოვასწრებ ამერიკის ღიაზე თამაშს“*, - ამბობს კუერი.

კიდევ ერთი ჩოგბურთელი, რომელიც „ფლეშინგ მედოუს“ ტურნირზე ვერ გამოვა, ესპანელი **ტომი რობრედო** გახლავთ.

ტურნირები


ენდი მიურეი

# ჯოკო რობოტი არ არის

ცინცინატის მასტერსის ფინალმა არ გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი, არადა, გადამწყვეტი მატჩის აფიშა შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ფინალში ხილვას უკვე მივეჩვიეთ - სერბი წელს მე-11 ფინალს თამაშობდა და მეათე ტიტულს უმიზნებდა. ვერ ვიტყვით, რომ ნოვაკი ყველა ტურნირს ერთ დონეზე ატარებს - მასაც აქვს ჩავარდნები, თუმცა ეს აქამდე ტიტულების მოგებაში ხელს არ უშლიდა. ცინცინატი სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა სერბი საუკეთესო ჩოგბურთს არ აჩვენებდა. მან დიდი გაჭირვებით გაიარა მეოთხედფინალში **გაელ მონფილსის** ბარიერი, ნახევარფინალში კი **ტომაშ ბერდიხის** ტრავმა დაეხმარა.

რაც შეეხება ჯოკოვიჩის მეტოქეს **ენდი მიურეის**, ის ამ სეზონში მხოლოდ მეორედ გავიდა საჰარდო ტურნირის ფინალში. პირველი იყო ავსტრალიის ღია პირველობა, სადაც მან სწორედ ნოვაკთან წააგო. ცინცინატიმდე ჰარდისსაფარიან მასტერსებზე კი ბრიტანელს არც ერთი მატჩი არ მოეგო. ამჯერად მან მოახერხა კარგი ფორმის აკრეფა და ყოველი მატჩის შემდეგ უმატებდა თამაშს.

ეს ჩოგბურთელები მეათედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. უფრო ხშირად ნოვაკი იგებდა - 6:3. საინტერესოა, რომ ამ ცხრიდან რვა მატჩი მასტერსის სერიის ტურნირებზე მოდის.

ფინალის დასაწყისი მთლიანად მიურეის დარჩა. ჯოკოვიჩმა ფორჰენდიდან ვერც ერთი მწვავე დარტყმა ვერ განახორციელა და ხშირად ბექჰენდიც ღალატობდა. სეტის შუაში მსოფლიოს პირველი ჩოგანის თამაშში გარკვეული პროგრესი გაჩნდა. მან ბრეიკი დაიბრუნა, მაგრამ იქვე ისევ წააგო საკუთარი მოწოდება. ენდი საკმაოდ გონივრულად მოქმედებდა - თავად ბევრს არ უტევდა, მაგრამ არც ინიციატივას უთმობდა მეტოქეს. სერბმა რამდენიმე ლამაზი გათამაშება აჩუქა მაყურებელს, თუმცა მისთვის არადამახასიათებელ უხეშ შეცდომებს ხშირად უშვებდა. პირველი სეტის წაგების შემდეგ ჯოკოვიჩმა კორტზე ექიმს უხმო - ნოვაკი მარჯვენა მხარს იტკიებდა.

სერბმა თამაშის გაგრძელება გადაწყვიტა და კორტზე გავიდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ საბრძოლო განწყობა სადღაც გაქრა - თავის წარმატებულ დარტყმებზეც კი არანაირი რეაგირება არ ჰქონდა. მან წააგო პირველი სამი გეიმი, რის შემდეგაც თამაშის შეწყვეტა გადაწყვიტა. საინტერესოა, რომ მისი გადაწყვეტილების შემდეგ თავსხმა წვიმა წამოვიდა. ბევრს არ მოეწონა ფინალის ნაადრევად დასრულება, მაგრამ ჯოკოვიჩის სვლა ლოგიკური იყო - მას არ სურდა ამერიკის ღია პირველობის წინ რისკზე წასვლა.

*„ნორმალურად მოწოდება არ შემეძლო. მოწოდების საშუალო სიჩქარე საათში 145 კილომეტრს შეადგენდა. ფორჰენდსაც ვერ ვურტყამდი. კიდევ რამდენიმე გეიმის თამაში შემეძლო, მაგრამ რისთვის? ენდი მიურეის დონის მოთამაშის მხოლოდ ბექჰენდით დამარცხება შეუძლებელია“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმა.

ენდი მიურეიმ მასტერსის სერიის მეშვიდე, სულ კი მე-18 ტიტული მოიპოვა. ფინალი სულ რაღაც 72 წუთი გაგრძელდა - 2007 წლიდან ეს იყო ყველაზე მოკლე ფინალი მასტერსის ტურნირებზე. ოთხი წლის წინ **დავიდ ნალბანდიანმა** 70 წუთში მოუგო **რაფაელ ნადალს**. გარდა ამისა, ამ სერიის ტურნირების ფინალებში 2004 წლის შემდეგ პირველად მოხდა, როცა ერთმა ჩოგბურთელმა ტრავმის გამო მიატოვა თამაში - ასე მოიქცა შვიდი წლის წინ მაიამიში არგენტინელი **გილერმო კორია** ამერიკელი **ენდი როდიკის** წინააღმდეგ.

**ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:4, 3:0 ჯოკოვიჩის უარი.

# მარიამ ნავსი გატეხა

გაცილებით დრამატული გამოვიდა ქალებს შორის ფინალური მატჩი. **მარია შარაპოვასთვის** ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მოგების შემთხვევაში რუსი WTA-ის ჩემპიონთა რბოლას ჩაუდგებოდა სათავეში.

შარაპოვა ზედიზედ მეორედ თამაშობდა ცინცინატის ფინალში. აქ საკმაოდ სწრაფი კორტებია, რაც კარგად ერგება მარიას სათამაშო სტილს. ერთი წლის წინ რუსი აქ ახლოს იყო მიზანთან, სამი მატჩბოლი ჰქონდა ბელგიელი **კიმ კლაისტერსის** წინააღმდეგ, მაგრამ მაინც დამარცხდა. მის გუშინდელ მეტოქეს **ელენა იანკოვიჩს** კი ცინცინატიში ერთხელ მოგებული აქვს ტიტული - ეს 2009 წელს მოხდა. თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ სერბი ბოლო დროს მეტად წარუმატებლად თამაშობს, რის გამოც რეიტინგის ტოპ-ათეულის მიღმა აღმოჩნდა, ცინცინატიში კი წელს პირველად გავიდა WTA-ის „პრემიერ“ კატეგორიის ტურნირის ფინალში.

რაც შეეხება მათ ურთიერთშეხვედრებს, ელენას მარიასთვის ექვსიდან მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მოგებული - ბირმინგემის ბალახზე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ორჯერ იანკოვიჩმა ვერ დაასრულა მატჩი შარაპოვას წინააღმდეგ.

რუსმა წარმატებით დაიწყო მატჩი: თავისი საფირმო აგრესიული თამაშით ორბრეიკიანი უპირატესობა მოიპოვა. სწორედ ამ დროს ელენამ კორტზე თავის მწვრთნელს **რიკარდო სანჩესს** უხმო. მასწავლებელთან მცირე გასაუბრება მას ძალიან წაადგა, რადგან იანკოვიჩმა უკანა ხაზზე ბრძოლა გაუმართა მეტოქეს, შარაპოვამ კი შეცდომებს უმატა. შედეგად, იანკოვიჩმა ზედიზედ ხუთი გეიმი და მასთან ერთად სეტი მოიგო.

ახლა უკვე შარაპოვამ გამოიძახა მწვრთნელი. **ტომას ჰოგსტედტმა** თავის შეგირდს ურჩია, უფრო ხშირად შესულიყო კორტში, რადგან უკანა ხაზიდან ორ-სამ მეტრში თამაში - მისი სტილი არ არის. ნელ-ნელა რუსმა მართლაც იპოვნა თავისი თამაში. თითქმის ყველა გეიმში დიდი ბრძოლა იყო, მაგრამ საბოლოოდ, საქმე მაინც ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელიც შარაპოვამ ბრწყინვალედ წარმართა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტი პარტია ყველაზე დრამატული აღმოჩნდა, თუმცა წინა სეტებისგან განსხვავებით თამაშის ხარისხი ოდნავ დაბალი იყო. პრაქტიკულად ყველა გეიმში ორივე ჩოგბურთელს ჰქონდა წარმატების შანსი. საინტერესოა, რომ პირველ ექვს გეიმში ბრეიკები დაფიქსირდა. ხშირად მეტოქეები ერთმანეთს საჩუქარს უკეთებდნენ - სამი გეიმი ორმაგი შეცდომებით დასრულდა. ბოლოს კენ უფრო მეტი ენერგია შარაპოვას შემორჩა და ორ საათსა და 48 წუთში მოიგო მატჩი - 4:6, 7:6(3), 6:3.

საინტერესოა, რომ ეს იყო მარიასთვის მე-11 სამსეტიანი შეხვედრა სეზონში და მან მე-11 გამარჯვებას მიაღწია. აქედან შვიდ შეხვედრაში შარაპოვა პირველ სეტს მეტოქეს უთმობდა.

*„შარშან გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ მატჩბოლები ვერ გამოვიყენე. ახლა აქედან ჩემპიონის რანგში მივდივარ და ბედნიერი ვარ ამის გამო. ელენა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანია და მის წინააღმდეგ ყოველთვის რთულია თამაში, თანაც დღეს მას გაცილებით მეტი გულშემატკივარი ჰყავდა“*, - განაცხადა ფინალის შემდეგ მარიამ.

როგორც გითხარით, ამ მოგებამ მარიას ჩემპიონთა რბოლაში ლიდერობა მოუტანა. რეიტინგში კი ის მეოთხე ადგილზე გადავიდა და ძალიან მიუახლოვდა კიმ კლაისტერსსა და **ვერა ზვონარევას**. პირველი მათგანი აშშ-ის ღიაზე ტიტულს ვერ დაიცავს, ზვონარევას კი „დიდი სლემის“ რიგით მეოთხე ტურნირზე შარშანდელი ფინალი აქვს დასაცავი. ასე რომ, მაგრამ კლასიფიკაციაში წინსვლის კარგი შანსი გაუჩნდა.

**ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 4)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 13) 4:6, 7:6(3), 6:3.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


მარია შარაპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# პატარა სებამ დიდ სებას მოუგო


სებასტიან ოჟიე

გასულ უქმეებზე გამართული გერმანიის რალი ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და დასამახსოვრებელი ეტაპი გამოდგა წლევანდელ ჩემპიონატში. დასამახსოვრებელი იმიტომ, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, „სიტროენის" პილოტს **სებასტიან ლოებს** გერმანიაში ზედიზედ რვა (!) მოგება ჰქონდა და მისი ეს სერია თანამემამულემ და თანაგუნდელმა **სებასტიან ოჟიემ** შეწყვიტა.

ახალგაზრდა პილოტმა ბოლო დღის წინ 40-წამიანი უპირატესობა მოიპოვა და მართალია, ლოები ამის შემდეგ ყოველ სპეც-მონაკვეთზე ამცირებდა ჩამორჩენას, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

ოჟიესთვის ეს იყო მეოთხე მოგება კარიერაში და პირველი ასფალტის საფარზე. რაც მთავარია, ის კიდევ უფრო მიუახლოვდა საერთო ჩათვლაში ლოებს. ასევე ახლოსაა „ფორდის" პილოტი **მიკო ჰირვონენი**, ასე რომ, ბოლო სამ ეტაპზე ჩემპიონის ტიტულისთვის დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ასეთი ინტრიგა რალის სეზონს კარგა ხანია არ ჰქონია.

რაც შეეხება ფორმულა 1-ის მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს **კიმი რაიკონენს**, ის მეექვსე ადგილზე გავიდა, რაც რალიში მისი კარიერის საუკეთესო შედეგის გამეორებაა.

ჩემპიონატი 9 სექტემბერს ავსტრალიაში გაგრძელდება, სადაც წარმატების იმედი აქვს ჰირვონენს. „ფორდს" აწყობს იქაური ღორღიანი საფარი.

### IX ეტაპი. გერმანიის რალი

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 3:32.15,9; 2. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - +39,8; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი") - +1.55,6; 4. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - +2.43,7; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - +3.48,0; 6. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - +7.24,6; 7. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - +7.45,9...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 192 ქულა; 2. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 167; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 156; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 96; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 94; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი") - 56; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - 40; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 34; 9. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 32; 10. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი") - 23...

## ველოსპორტი. ვუელტა

# უცნაური ფინიში


სატონის ფინიში

გუნდური რბოლის შემდეგ „ვუელტაზე" მეორე ეტაპი გაიმართა, სადაც ორი უძლიერესი სპრინტერის - **მარკ კევენდიშისა** და **ტაილერ ფარარის** დუელს ელოდნენ, მაგრამ გამარჯვებული 26 წლის ავსტრალიელი **კრისტოფერ სატონი** გახდა.

სწორ მონაკვეთზე მსგავსი ეტაპები, როგორც წესი, ერთნაირი სცენარით ვითარდება. თავიდან ველომრბოლთა გარკვეული ჯგუფი პელოტონს გაურბის და მარტო აგრძელებს რბოლას. თუმცა ასეთი გაქცევები ხშირად უშედეგოდ მთავრდება, რადგან ძირითადი ჯგუფი ეწევა ლიდერებს და ყველაფერი საფინიშო სპურტისას ირკვევა.

ამჯერადაც ასე მოხდა. ბოლო გაქცეული, რომელსაც პელოტონი დაეწია, **ადამ ჰანსენი** იყო. ეს ფინიშამდე დაახლოებით 30 კილომეტრით ადრე მოხდა. სულ მალე სპრინტერული გარჩევებიც დაიწყო. წინ გავიდა „ჰაიროუდი", რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მისი ლიდერისთვის - მარკ კევენდიშისთვის გამარჯვება მოეტანა. მაგრამ ამერიკულმა გუნდმა იჩქარა, რადგან ფინიშამდე კიდევ 15 კილომეტრი რჩებოდა.

მოკლედ, „ჰაიროუდი" ტაქტიკურად შეცდა, გარდა ამისა, ფინიშზე ოდნავი აღმართი იყო და ფავორიტებმა ეს ვერ გაითვალისწინეს. საბოლოოდ, ორი ველომრბოლი გამოეყო მთავარ ჯგუფს - **კრისტოფერ სატონი** და **ვისენტე რეინესი**, რომლებმაც ერთმანეთში პირველობა გაითამაშეს. ავსტრალიელი ტრეკის ყოფილი ველომრბოლია და ძველი თვისებების წყალობით კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ამასობაში კი ლიდერის წითელი მაისურა **დანიელე ბენატიმ** მოიპოვა, რომელმაც მეექვსე ადგილზე გასვლისთვის საბონუსო ქულები მოიპოვა და ამის ხარჯზე გაუსწრო **იაკობ ფუგლსანგს**.

### II ეტაპი

1. **კრისტოფერ სატონი** (ავსტრა, „სქაი") - 4:11.41; 2. **ვისენტე რეინესი** (ესპ, „ლოტო") - იგივე დრო; 3. **მარსელ კიტერი** (გერ, „სკილი") - იგივე დრო; 4. **ტაილერ ფარარი** (აშშ, „გარმინი") - იგივე დრო; 5. **მატი ბრეშელი** (დან, „რაბობანკი") - იგივე დრო...

### საერთო ჩათვლა

1. **დანიელე ბენატი** (იტა, „ლეოპარდი") - 4:28.11; 2. **იაკობ ფუგლსანგი** (დან, „ლეოპარდი") - იგივე დრო; 3. **პეტერ საგანი** (სლოვაკ, „ლიკვიგასი") - +0.04; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - იგივე დრო; 5. **ვალერიო ანიოლი** (იტა, „ლიკვიგასი") - იგივე დრო; 6. **ჯონ დეგენკოლბი** (გერ, „ლიკვიგასი") - +0.09...

## ფორმულა 1

# ბელგიაში არ გარისკავენ

„მაკლარენის" პილოტმა **ჯენსონ ბატონმა** დაადასტურა „ჩემპიონთა რბოლაში" მონაწილეობა, რომელიც წელს 3-4 დეკემბერს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება. აქ მისი მეტოქეები იქნებიან **მიხაელ შუმახერი, სებასტიან ფეტელი** და სხვადასხვა სარბოლო სერიის ვარსკვლავები.

„ჩემპიონთა რბოლა" ტრადიციულად სეზონის ბოლოს იმართება და ის ავტოსპორტის სხვადასხვა დისციპლინის ლიდერებს ერთმანეთში საუკეთესოს გამოვლენის საშუალებას აძლევს. ისინი ერთი ტიპის მანქანებით გადიან ტრასაზე. ბატონს ორჯერ მიუღია მონაწილეობა ამ შოუში და 2009 წელს პირად პირველობაში ნახევარფინალამდე მიაღწია.

■ ■ ■

ფორმულა 1-ის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა, შესაძლოა, მთლიანად აკრძალონ ბელგიის „სპაზე" უკანა მოძრავი ანტიფრთის გამოყენება. თავდაპირველად ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ნება დართო პილოტებს ეს სისტემა „ორუჟის" მოსახვევის შემდეგ სწორ მონაკვეთზე გამოეყენებინათ. ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული მოსახვევია მთელს მსოფლიოში. ამის გამო სტიუარდები შიშობენ, რომ პილოტები ზედმეტად გარისკავენ წრის დრო რომ შეამცირონ.

სისტემის განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალური სიჩქარის 10 პროცენტით გაზრდის დროს მცირდება მოჭიდების ძალა და ბოლიდები ამ დროს, შეიძლება ტრასის მიღმა აღმოჩდნენ.

ბელგიის გრანპრის უახლოეს უქმეებზე გაიმართება.

■ ■ ■

ესპანური HRT-ის პილოტმა **ნარაინ კართიკეიანმა** განაცხადა, რომ ამ სეზონში მინიმუმ ერთ რბოლაში კიდევ მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ ინდოელი პილოტი ბრიტანეთის გრანპრის წინ შეცვალა **დანიელ რიკარდომ**. თუმცა კართიკეიანი დარწმუნებულია, რომ ინდოეთის სადებიუტო რბოლაში ბოლიდის საჭესთან სწორედ ის იჯდება და არა ახალგაზრდა ავსტრალიელი.

*„ყოველთვის ვოცნებობდი საშინაო ეტაპზე და ახლა ასეთი შანსის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ"*, - ამბობს ინდოელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ბატონი ჩემპიონთა რბოლაზე

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ბარსელონა-ნაპოლი | 5:0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| სტ. პაული-დუისბურგი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნანტი-გინგამი | 4:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| დორდრეხტი-ვილემი | 3:2 |
| **პორტუგალია** | |
| ოლანენსე-სეტუბალი | 2:2 |
| **დანია** | |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| მიოლდე-ლილესტრიომი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიონეფოსი-რანჰაიმი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| გიოტებორგი-გეფლე | 3:0 |
| ერებრო-მიალბიუ | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-კვიდინგი | 2:1 |
| ლანდსკრონა-ლიუნგსკილე | 0:0 |
| სუნდსვალი-ვასტერასი | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| იარო-ჰონკა | 2:2 |
| ინტერი-ტურკუ | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კოტეპე-ესპოო | 2:1 |
| პოპა-ჰიფკ | 1:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლინცერი-სტ. ანდრა | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-ვოლენი | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| სტ. პატრიკსი-ბოჰემიანსი | 1:1 |
| **ისლანდია** | |
| ფილკირი-ბრეიდაბლიკი | 1:2 |
| გრინდავიკი-ვიკინგური | 1:0 |
| რეიკიავიკი-სტიარნანი | 1:1 |
| ფრამი-ვალური | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ტეპლიცე-სლავია | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ენისეი-გაზპრომი | 0:0 |
| სიბირი-ალანია | 3:0 |
| ურალი-ფაკელი | 1:1 |
| გაზოვიკი-ხიმკი | 1:2 |
| ნ. ნოვგოროდი-მორდოვია | 1:1 |
| შინიკი-ტორპედო | 0:4 |
| დინამო (ბრ)-ბალტიკა | 2:0 |
| ჩერნომორეცი-სკა ენერგია | 2:1 |
| ტორპედო (ვ)-კამაზ | 3:2 |
| **პოლონეთი** | |
| ლეჩია-ლკს | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-ვოინტა | 3:0 |
| პანდური-კლუჟი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ფ-თ) | 4:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **აფრობასკეტი** | |
| სენეგალი-ჩადი | 92:54 |
| მაროკო-ანგოლა | 61:75 |
| რუანდა-ტოგო | 87:67 |
| ს. აფრიკა-ტუნისი | 52:65 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. უინსტონ სალემი** | |
| რამოსი-როსოლი | გადაიდო |
| **ბერლოკი**-ჰაიდერ მაურერი | 7:5, 6:1 |
| **დარცისი**-ჟილი | 3:6, 6:3, 6:4 |
| **ნიშიკორი**-მიულერი | 1:6, 6:4, 7:6 |
| **ბენეტო**-მელო | 6:1, 6:3 |
| **ბალდატისი**-სვიტინგი | 7:5, 6:1 |
| **სელა**-ვოლანდრი | 6:3, 6:2 |
| **ისტომინი**-ბახინგერი | 7:6, 6:1 |
| **ანდრეევი**-მელცერი | 7:5, 6:3 |
| **რასელი**-მანარინო | 6:4, 6:7, 6:2 |
| **WTA. ნიუ ჯერსი** | |
| **ბარტოლი**-როდიონოვა | 6:1, 6:4 |
| ბენეშოვა-**სუარეს ნავარო** | 3:6, 2:6 |
| მორიტა-**ჩეტკოვსკა** | 2:6, 2:6 |
| **მედინა გარიგესი**-პერვაკი | 6:2, 7:6 |
| **პავლიუჩენკოვა**-დუშევინა | 3:6, 6:4, 6:3 |
| **ვინჩი**-ჰრადეცკა | 3:6, 6:3, 6:3 |
| **ჰერცოგი**-პეტროვა | 7:5, 7:5 |
| **ა. რადვანსკა**-მაკაროვა | 6:1, 6:2 |

## TV პროგრამა

### 23 აგვისტო. სამშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. ბაიერნი-ჰამბურგი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური. პსჟ-ვალანსიენი.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. არსენალი-ლივერპული.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**22:30** ესპანეთის სუპერთასი. რეალი -ბარსელონა. I მატჩი.
**00:30** გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. მაინცი-შალკე.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. არსენალი-ველეს სარსფილდი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მაიამი-ჩიკაგო.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მარდი ფიში-იანკო ტიპსარევიჩი. მონრეალი. კანადა.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ჟო ვილფრიდ ცონგა. მონრეალი. კანადა.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**17:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ფინალი. კუბა-იაპონია. შვეიცარია.
**18:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ირლანდია.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**20:30** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - ბეკოს თასი. გერმანია-ბელგია. ბამბერგი. გერმანია.
**22:20** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. ყაზანი. რუსეთი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მაიამი-ჩიკაგო.

#### I არხი

**17:25** ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 60 კგ. 66 კგ. ქალები. 48 კგ. საფრანგეთი (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი (LIVE).

#### რუსთავი 2

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი (LIVE).
**01:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ციურიხი-ბაიერნი. საპასუხო მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**17:25** ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 60 კგ. 66 კგ. ქალები. 48 კგ. საფრანგეთი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. გენკი-მაკაბი (ჰ). საპასუხო მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (კალათბურთი)

**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი (LIVE).

#### SPORT+

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ვილიარეალი-ოდენსე. საპასუხო მატჩი (LIVE).

#### EUROSPORT

**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. IV ეტაპი. ესპანეთი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**00:00** ველოსპორტი. Pro Cycling Challenge. I ეტაპი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. ახალი ამბები


ენეს კანტერი

# კრიმინალი, მსახიობი, მეწაღე...

2011 წლის დრაფტის ერთ-ერთი ვარსკვლავი, თურქული კალათბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ენეს კანტერი** საკუთარ თავს ერთ-ერთ ყველაზე უიღბლო სპორტსმენად მიიჩნევს. მას კენტუკიში თავისი სადებიუტო სეზონის გამოტოვებამ მოუწია, რადგან NCAA-მ დისკვალიფიკაცია მისცა „ფენერბაჰჩეს" რიგებში ჩატარებული რამდენიმე მატჩის გამო, ახლა კი, როცა ის დრაფტზე აირჩიეს, შესაძლოა, ლოკაუტის მიზეზით ვერ ჩაატაროს პირველი სეზონი NBA-ში.

*„შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ყველაზე უბედური ბიჭი ვარ. ვერ შევძელი კოლეჯში თამაში, ახლა ლოკაუტის ჯერი დადგა. ისლა დამრჩენია, საკუთარ შანსს დაველოდო.*

*თითქმის ორი წელია არ მითამაშია და ასეთი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რთულია მატჩებისთვის მომზადება",* - ამბობს კანტერი.

■ ■ ■

„ოკლაჰომა-სიტის" ლიდერი **კევინ დურანტი** ახალ ამპლუაში სცდის ძალებს. გამოცემა Oklahoman-ის ინფორმაციით, ახალგაზრდა ვარსკვლავი სულ მალე კონტრაქტს გააფორმებს კინოკომპანია „უორნერ ბრაზერსთან" და მონაწილეობას მიიღებს ფილმში, რომელიც კალათბურთის თემაზე იქნება.

გადაღებების პროცესი სექტემბრის შუაში დაიწყება. თავად კალათბურთელს ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

■ ■ ■

ამასობაში, „ბოსტონ სელტიქსის" ვეტერანი ფორვარდი **კევინ გარნეტი** ჩინეთში იმყოფება და ყველანაირად ცდილობს დროის სასიამოვნოდ და ნაყოფიერად გატარებას.

მაგალითად, გარნეტმა მაგიდის ჩოგბურთში სცადა ბედი - ერთ-ერთ ქალაქში ყოფნისას მან თავისი თაყვანისმცემლების წინააღმდეგ რამდენიმე მატჩი ჩაატარა. კევინის ჩინეთში ვიზიტის მთავარი მიზანი ბიზნესია - კალათბურთელი ამ ქვეყანაში ფეხსაცმელების საკუთარი ხაზის რეკლამირებას ეწევა.

■ ■ ■

გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე, „ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელი **დერიკ როუზი** ჟურნალისტებს შეხვდა და მათ სამომავლო გეგმების შესახებ მოუყვა.

როუზმა განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის არ აპირებს ამერიკის დატოვებას.

„მე აქ ვრჩები. ამჟამად ლოს ანჯელესში ვვარჯიშობ.

*სხვა კონტინენტზე გადასვლის ვარიანტს არ განვიხილავ. მაგრამ, როცა ამ თემაზე დავფიქრდები, სურვილი მაქვს, ევროლიგაში მოთამაშე გუნდში გავაგრძელო კარიერა.*

*ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველთვის შემიძლია ჩემს აგენტს დაველაპარაკო, თუმცა პირადად მე იმედი მაქვს, რომ NBA-ში სეზონი დაიწყება",* - ამბობს როუზი.

■ ■ ■

„მემფის გრიზლისის" მძიმე ფორვარდთან **ზაკ რენდოლფთან** დაკავშირებით კი ახალი ამბავი, რა თქმა უნდა, კრიმინალური უნდა იყოს. კვირას ორეგონის შტატის პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა კალათბურთელის სახლში.

პოლიცია იძიებს ნარკოტიკებთან დაკავშირებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტს, რომელიც 20 აგვისტოს NBA-ის ვარსკვლავის სახლში მოხდა. უფრო კონკრეტულად, ამ ინციდენტთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა ვერაფერი გაარკვიეს.

როგორც ამერიკული პრესა წერს, პოლიციას რენდოლფისთვის ბრალი არ წაუყენებია და არც დაპატიმრება ყოფილა.

■ ■ ■

ზემოთ ნახსენებმა ორმა ვარსკვლავმა - როუზმა და დურანტმა, აგრეთვე **პაუ გასოლმა** და **კრის პოლმა** ლოკაუტის დროს გასართობი იპოვეს. ეს ოთხეული ავსტრალიაში ტურნეში გაემგზავრება.

იტყობინებიან, რომ ვარსკვლავები რამდენიმე შეხვედრას ჩაატარებენ მელბურნის არენაზე. რაც შეეხება დაზღვევას, ტურის სპონსორები მზად არიან, ამისთვის მილიონი დოლარი გამოყონ.

■ ■ ■

NBA-ის კიდევ ერთმა კალათბურთელმა იპოვა ევროპაში სამუშაო. კერძოდ, ამერიკელმა ფორვარდმა **რაშუალ ბატლერმა** ესპანეთის „გრან კანარიასთან" გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი.

გასულ სეზონს ბატლერი „კლიპერსში" იწყება და საშუალოდ მატჩში 5.0 ქულას აგროვებდა, რის შემდეგაც „ჩიკაგოში" გადაბარგდა, სადაც მხოლოდ ექვსი შეხვედრა ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და სამი - პლეი ოფში.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გატარებულ ცხრა სეზონში ფორვარდმა 604 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 8.5 ქულა და 2.7 მოხსნა დააგროვა.

● კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

# რუბიოსა და რუდის გარეშე?

## ფრანგები მეორე მოთამაშეს კარგავენ, ბერძნები მინი-შაკს იბრუნებენ

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა წამყვანმა ესპანურმა გამოცემა „მარკამ". გამორიცხული არ არის, რომ „მინესოტას" გამთამაშებელი **რიკი რუბიო** და „დალასის" მცველი **რუდი ფერნანდესი** ვერ დაეხმარონ ესპანეთის ნაკრებს ევროპის მომავალ ჩემპიონატზე.

ამ კალათბურთელებმა ტრავმები სლოვენიასთან ამხანაგური მატჩების დროს მიიღეს. რუბიომ ფეხი შაბათის შეხვედრაში (73:61) დაიზიანა, ფერნანდესმა კი ხელი კვირას (79:57) იღრძო.

რუბიოსთან და ფერნანდესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ექიმები უახლოეს დღეებში მიიღებენ.

■ ■ ■

მოახლოებული ევრობასკეტის წინ მოთამაშეებს კარგავს საფრანგეთის ნაკრები. „ლე მანის" მცველი **ანტუან დიო** კონტინენტის პირველობას ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე. საფრანგეთის ნაკრები დატოვა NBA-ის ლეგიონერმა **რონი ტურიაფმა** - „ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრმა ამხანაგურ მატჩში ხელი მოიტეხა. მის ნაცვლად გუნდში დააბრუნეს **ალი ტრაორე**.

რაც შეეხება დიოს შემცვლელს, ფრანგების დამრიგებელ **ვენსან კოლეს** ის ჯერ არ დაუსახელებია. ამჟამად საწვრთნელ შეკრებაზე 11 კალათბურთელი იმყოფება.

■ ■ ■

კარგი ამბებია საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში. ბერძნული პრესის ინფორმაციით, გამთამაშებელი **ვასილის სპანულისი** და ცენტრი **სოფოკლის შორცანიდისი** მზად არიან ევრობასკეტზე გასამგზავრებლად და ეროვნული გუნდის დასახმარებლად.

ადრე ცნობილი იყო, რომ სპანულისს ტურნირი ტრავმის გამო უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ მცველი სრულიად ჯანმრთელია და ვარჯიში შეუძლია. შორცანიდისს კი პირადი პრობლემები ჰქონდა და თვითნებურად მიატოვა შეკრება, რის შემდეგაც ეროვნულმა ფედერაციამ მასზე სანქციების დაწესება მოითხოვა. ახლა „მინი-შაკი" ისევ კალათბურთზეა კონცენტრირებული.

ახლა, ბერძნების დამრიგებელ **ილიას ზუროსს** დიდი თავსატეხი გაუჩნდა: სპანულისისა და შორცანიდისის გარეშეც ნაკრები შესანიშნავად გამოიყურებოდა ამხანაგურ მატჩებში და რთულია, ამ დუეტის გამო რომელიმე ორი კალათბურთელის შემადგენლობიდან ამოგდება.

■ ■ ■

გერმანიის ნაკრების დამრიგებელმა **დირკ ბაუერმანმა** გუშინ ევროპის ჩემპიონატისთვის საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა. გუნდში ორი ზედმეტი კალათბურთელი აღმოჩნდა - ცენტრი **კონრად ვისოცკი** და მცველი **პერ გიუნტერი**.

მათ გარეშე გერმანელთა განაცხადმა ასეთი სახე მიიღო:

**მცველები** - ლუკა შტაიგერი, ჰაიკო შაფარჩიკი (ორივე - „ალბა"), შტეფენ ჰამანი („ბაიერნი"), იოჰანეს ჰერბერი („სკაილაინერსი");

**ფორვარდები** - ტიმო ოლბრეხტი („ბონ ტელეკომი"), ფილიპ შვეტჰელმი („ბაიერნი"), დირკ ნოვიცკი („დალასი", NBA), რობინ ბენცინგი („რატიოფარმი");

**ცენტრები** - იან-ჰენდრიკ იაგლა („ბაიერნი"), ტიბორ პლიაისი („ბამბერგი"), სვენ შულცე („ალბა"), კრის კამანი („კლიპერსი", NBA).



კამანი და ნოვიცკი

● კალათბურთი. საკონტროლო მატჩები

# ლიტვა ფავორიტია?

სრული სვლით მიმდინარეობს მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომლის დაწყებამდე რვა დღე რჩება. გუნდები ბოლო ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ და მზადყოფნას ამოწმებენ.

ლიტვის ნაკრები მომავალი ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევა, მაგრამ ევრობასკეტის მასპინძლების მომზადების დონე ეჭვქვეშ დადგა რუსეთის ნაკრებთან ორი წაგებული საკონტროლო მატჩის შემდეგ. თუმცა იმასაც შეგახსენებთ, რომ ლიტველებმა ესპანეთის დამარცხება მოახერხეს.

ამჯერად ლიტვა მეზობელ ლატვიას შეხვდა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა - 95:75. ამ მატჩში გამარჯვებულთა რიგებში არ იყვნენ ესპანეთთან დაშავებული ცენტრი **რობერტას იავტოკასი** და ფორვარდი **დარიუს სონგაილა**. მათ არყოფნაში თავის გამოჩენის კარგი შანსი მიიღო **მარიონას პეტრავიჩიუსმა**, რომელიც საბოლოო განაცხადში მოხვედრისთვის იბრძვის. „მილანის" ცენტრმა ეს შანსი კარგად გამოიყენა: თამაშიდან ხუთიდან ხუთი ჩააგდო და 18-დან 16 საჯარიმო მოათავსა კალათში. გარდა ამისა, 7 მოხსნაც მიითვალა.

სამმა კალათბურთელმა - **დარიუშ ლავრინოვიჩმა, მარტინას პოციუსმა** და **პაულიუს იანკუნასმა** - 13-13 ქულა დააგროვეს. ხუთი შედეგიანი გადაცემა მოდის **შარუნას იასიკიავიჩუსზე**. ლატვიელთა რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ **იანის ბლუმსი** და **იანის სტრელნიექსი** (21 და 16 ქულა შესაბამისად).

■ ■ ■

გერმანიის ქალაქ ბამბერგში მიმდინარე ტურნირის გამარჯვებული გახდა საბერძნეთის ნაკრები. თავდაპირველად ამ გუნდმა 24 ქულით გაანადგურა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი თურქეთი, შემდეგ დამაჯერებლად გაუსწორდა მასპინძელ გერმანიას, ბოლო ტურში კი დაინდო და მხოლოდ ცხრა ქულით მოუგო ბელგიას. ეს უკანასკნელი სამი წაგებით ბოლო ადგილზე გავიდა.

### ბამბერგი

#### I ტური

**საბერძნეთი-თურქეთი** **62:38**
ს: ბურუსისი (17).
თ: აშიქი (10+11 მოხსნა).

**გერმანია-ბელგია** **71:65**
გ: ნოვიცკი (18), კამანი (17).
ბ: ლოუერსი (14).

#### II ტური

**გერმანია-საბერძნეთი** **56:69**
გ: კამანი (15), ნოვიცკი (11).
ს: კუფოსი (17).

**თურქეთი-ბელგია** **66:60**
თ: აშიქი (12).
ბ: ტაბუ-ებომა (11), ბეგინი (11).

#### III ტური

**ბელგია-საბერძნეთი** **61:70**
ბ: ფაისონი (13), ლოუერსი (11), დე ზეუვი (10).
ს: კუფოსი (12+11 მოხსნა), ფოცისი (12), კაიმაკოგლუ (10).

**გერმანია-თურქეთი** **64:52**
კ: კამანი (16+9 მოხსნა), ნოვიცკი (14), შულცე (11).
თ: კანტერი (12).

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. საბერძნეთი - 3 მოგება/0 წაგება; 2. გერმანია - 2/1; 3. თურქეთი - 1/2; 4. ბელგია - 0/3.

### ლონდონი

#### IV ტური

**ხორვატია-საფრანგეთი** **60:83**
ხ: ბოგდანოვიჩი (16).
ს: პაკერი (12), ნოა (11), დე კოლო (10).

**სერბეთი-ავსტრალია** **69:78**
ს: კრსტიჩი (17), სავანოვიჩი (16).

**ბრიტანეთი-ჩინეთი** **64:56**
ბ: ფრილენდი (18+13 მოხსნა), დენგი (15).

#### V ტური

**ჩინეთი-ხორვატია** **53:83**
ხ: ბოგდანოვიჩი (16), მარკოტა (12), ჟორიჩი (10), პოპოვიჩი (10), ტომიჩი (9+8 მოხსნა+6 პასი).

**ავსტრალია-ბრიტანეთი** **91:90 (ო)**
ბ: დენგი (26+9 მოხსნა), ფრილენდი (22).

**საფრანგეთი-სერბეთი** **80:77**
საფ: პარკერი (24), ბატუმი (14), დე კოლო (11), ჟელაბალე (11).
სერ: პეროვიჩი (14), რაშიჩი (11).

საფრანგეთმა ხუთიდან ხუთი მატჩი მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილი ავსტრალიას ერგო, მესამე - ხორვატიას.

### ამხანაგურები

**ზელანდია-მაკედონია** **67:68**
მ: ანტიჩი (16), მაკალები (12), გეჩევსკი (12).

**ესპანეთი-სლოვენია** **79:57**
ე: პ. გასოლი (19), ნავარო (13), იბაკა (12), ლიული (10).
ს: ლორბეკი (10).

**ისრაელი-პოლონეთი** **82:70**
ი: ელიაჰუ (19), ჰალპერინი (14), გრინი (11).
პ: კელატი (19), კოშარეკი (13), ლეონჩიკი (11), ხრიცანიუკი (10).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**